

ա թ է զ օ զ

ତୁମ୍ଭର କୁରନ୍ଦାଳୀ

ଶ୍ରୀଲୋକିତ୍ତାଦି ମେବତ୍ତେ

No x

મુદ્રણ માટે નિર્ધારિત હતું, 1903

ଓଡ଼ିଆ ଶବ୍ଦି

ИЗДАНИЕ ЧУДОВИЩНОЕ, ПРИЧЕМ ОДНО ИЗ ЧУДОВИЩ СОСТАВЛЯЕТСЯ ИЗ ДВУХ ЧУДОВИЩ.

1909

Дозволено цензурою. 4 Декабря 1902 г. Тифлисъ.

შანაარსი

- I—მრუდე მსხალი. — მოთხოვთა გ. ბჭონიშვილისა 1
- ~~II~~ — მსხვერპლი. — კომედია სამ მოქმედებად, ალფ. ღოღე-
სი, თარგმანი ინ-ანისა. (გაგრძელება) 27
- ~~III~~ — გლეხი კაცი. — რომანი ვილჟელმ ფონ-პოლენცისა, თარ-
გმანი იგ. ნალუმორდგინიშვილისა (გაგრძელება) 58
- IV — მოკლე მინირალური პიმია. — თეორეტიული ნაწი-
ლი, ა. კლდიაშვილისა. 37
- ~~V~~ — უცხოეთის მიმოხილვა. — 1. პუნგრეთი და ავსტრია. „კვა-
ლის“ ჟურნალი. — 2. მანჯურია. — 3. კიდევ „საერთო ნია-
დაგი“-ს გამო. 20

მრუდე მსხალი

1

— ხალხო და ჯამათო! თქვენ ამის სახეს კი ნუ უყურებთ
და ფერს, თქვენ იმას კი ნუ იტყვით, მუქი რამ პატარძალი
მოიყვანა კანებიანო, თქვენ ამის უნარი ნახეთ და გამრჯელობა!
ქალის ჯარასავით ტრიალი ოჯახს წალმა დააბრუნებს, ამის
გავარჯიშებული ხელი, აშის ჭრა-კერვაში დახელოვნებული
მარჯვენა სოფელსაც დაეხმარება. სწორეთ ათი თითი სანთე-
ლია სახლში შენათებული, აგრემც მიცოცხლებს ღმერთი ამ
ჩემ ჭარუმადათ შვილს! თქვა ძალუა-მართამ, როცა შეიყვანა
პატარძალი სტუმრებათ სავსე დარბაზში.

სჯობდა კი, რომ არაფერი ეთქვა ძალუა-მართას, რადგან
იმისმა სიტყვებმა მეტი ცნობისმოყვარება აღძრეს ხალხში და
უველამ თვალები შეანათა მწარიანთ გარუსულ გოგოს. პატარ-
ძალი ისეც კრთებოდა და იბუზებოდა, ეხლა ხომ მთლათ დაიწო
სირცხვილით, ალმური აედინა, თავი ჩაღუნა, წელში მოიხარა,
თუ რამ ყავლა ჰქონდა, ისიც დაჰკარგა და დუხჭირი რამ წარსდგა
ხალხის წინ.

— მუქი კი არა, სწორეთ ზანგია ე გულავდრის შვილი.
— მწარიანთ ჯიშია და კუპრში გამოსული!
— აფხუსი არ არის, ამ თეთრ ბიჭს ე ნახშირა გოგო ჩაე-
კრას გულში.

— ეგ თვალდამდგარი ი ათიოდ თუმანს თუ დახარბდა,
რომ აუთქვეს, თორემ ესეთ ჯოჯოს რათ აუთრევდა თავის
ნანინანატრ შვილს.

— ქრთამის გარდა ოჯახსაც მიეტანა: მწარიაანთ ძლიერ კერას დაიმოყვრა, ზურგი მექნებათ პირველ ხნებში.

— ცალკე გამოსვლას ხომ არ აპირობს?

— არც უიმისოა.

— სახლიკაცებს კიდეც იმისთვის ჩამოსტირით თავპირი.

— ხუმრობა ხომ არ არის, მონახევრეა: ერთი ძმისა რომ ეგენი არიან, მეორე ძმისა მალხაზა არის.

ესე ლაპარაკობდა ქორწილის ხალხი და კვლევა-ძიებაში იყო ერთხანს. მალე კი გადიყარეს გულიდან ფიქრები: შავმა ნუნუამ და უხვმა ვახშამმა დაავიწყა მექორწილეებს პატარძა ლიც და ყველა მისი მისადევარიც. აივსო ღვინით ჯერ ისცვ ბოზბაშიანი ჯამი, დატრიალდა ყანწი; ხალხი შეზარხოშდა, აუიუინდა, კარგ გუნებაზე დადგა და მწარიაანთებული აპუხ-ტებიც შაქარზე ტკბილათ მოეჩვენა, უთეთრესათ.

ქორწილშა მაინც ისე მხიარულათ ვერ ჩაიარა; როგორც შეეფერებოდა ცალყურაანთ ოჯახს და მათ სამზადისს: უკმა-ყოფილების ბინდი რამ გადაჰქინდათ ოჯახიშვილებს და სტუმრებსაც უჩრდილავდა სიხარულს.

II

მწარიაანი ქანით ხომ შავნი იყვნენ, გულიც შავი ჰქონ-დათ, გამურული, ჩახვეულ-გაუტანელი. იმათი ქალის წამოყვანა, და ისიც უფროსის დაუკითხავათ, არ უამათ ცალყურაანთ; შეფიქრიანდნენ, ვაი თუ ჩვენმა გათქმულმა ოჯახმაც ვერ დაიტიოს ახალი რძალი და რყევა დაიწყოს, დაირღვესო.

ოჯახი კი სწორეთ გათქმული ჰქონდათ. ცალყურაანთ, თითოთ საჩვენებელი, ხალხითა და დოვლათით სავსე. ჭრიან დარბაზში რომ თავს მოიყრიდა ჯალაბობა, სტუმრეული გეგო-ნებოდათ. პაპა და დიდება, მათი უფროსი შვილი დემეტრე, მისი ნაშენი შვიდი ვაჟი და ორი ქალი, რძლები და წვრილ-ფეხობა, მალხაზა თავის დედით; შთელ ჯარს წარმოადგენდა ეს ამოდენა ხალხი.

ეს ერთი ძმა დემეტრე იყო გამრავლებული, თორეშ მეორე ძმა თითქმის ამოწყვეტილად ჩაითვლებოდა: თითონ ის აღრევე მოკვდა, იმის ქვრივს უფროსი შვილები დაეხოცა და ერთათ ერთი შვილი-ლა შერჩა — მალხაზა, ძალუა-მართა მხოლოდ მალხაზას-ლა შეჰყურებდა, ცისა და ქვეყნის შუა მის მეტი არავინ გააჩნდა. როცა დავაუკაცდა მალხაზა, ძალუა-მართამ თავის ნებით შერთო იმას ცოლი. შავი ქალი მოუყვანა, თვალათ ნასი, მაგრამ მწარიანთ თეონა ნამდვილ შინაური პური ეგონა იმას, მახობელა.

ტყუილად კი გასწია ძალუა-მართაშ ურჩობა და აწყენინა სახლიკაცებს: მაზლა და მაზლის ცოლიც თავაზიანად ეპყრობოდნენ იმას და პატივისკებულით, მათი შვილები და შვილი შვილებიც ყოველთვის სიყვარულით ეალერსებოდნენ; მის შვილ მალხაზას უფროსები თავის შვილებიდან არ არჩევდნენ და პატარებმა ხომ არც კი იცოდნენ, რომ ეს ძია სხვა ძიებზე უფრო შორეული იყო მათთვის.

ეს ყველა ესე იყო, მაგრამ ძალუა-მართას გული მაინც ნაკლული ჰქონდა, კეთილით სავსე არ იყო მისი გული, ერთ კუთხეში ბოროტი რამ გრძნობა ჩასდგომოდა და დღითი-დღე მატულობდა: ძალუა-მართას ჰურდა, რომ უფროსი რძალი შვილებით იყო გარშემორტყმული და ქმარიც ცოცხალი ჰყვანდა, თითონ კი კარგი ქმარი შვილი დაჲკარგა, უფროსი რძალი ავერ შვილი-შვილებითაც აივსო, ის კი ერთ-ლერ შვილს შეჰყურებდა თავისას ჯერ, ისევ დაუქორწილებელს.

ძალუა-მართას უნდოდა, მისი შვილი მალხაზა გაერჩიათ სხვებისაგან, სხვა მოძმეებისაგან, უნდოდა, უფრო მეტი მიეკურძათ იმისთვის, უფრო მეტი შეღავათი მიეცათ იმისთვის და რადგან ამას ვერა ხედავდა, ჯავრობდა, ბოლმა მოსდიოდა. ჰქონდა კიდეც საჯავრ-საღარდი: ნახევარი მამული და სახლკარი მისი მალხაზასი იყო, სახლიკაცები კი თითქო ვერა გრძნობდნენ ამას და ბიჭს თავისანთოან ერთათ ამუშავებდნენ, მხარდამხარ.

ძალუა-მართა მეტადრე მაშინა გრძნობდა თავის თავს და ჩაგრულად, როცა ახალი რძლის მოყვანაზე ჩამოვარდებოდა.

ოჯახში ლაპარაკი: პაპა რიგ-რიგზე აქორწინებდა ბიჭებს, აგერ ჯერი მეხუთე ბიჭზე იყო მიმდგარი, მაგრამ ეს მეხუთეც მისი შვილი მალხაზა როდი იყო, რაღან ის მეხუთეზედაც უშცროსი იყო, სულ რამდენიმე თვით იყო პატარა, მაგრამ მაინც უმცროსი ერქვა. მალხაზა კი უცოლოდ რჩებოდა ჯერჯერობით, თუმცა აგერ უცდა სამი წლისა შესრულდა.

— როდემდის უნდა ველოდო მაგათ? როდის დააქორწილებენ ეგენი თავიანთ ბიჭებს, რომ ახლა ჩემი შვილისათვის მოიცალონ, — ჩიოდა მართა.

— ერთათ-ერთი შვილი დამრჩენია და მეჩქარება ვნახო შაგის ბერნიერება; ვინ იცის, დღეს რა მოაქვს და ლამეს რა.

ძალუა-მართაშ ველარ მოითმინა და ერთხელ სიტყვა გაუტარა პაპას, მაგრამ იმან გაკვირვებით შეხედა რძალს, წამობერტყა ჩიბუხი გამხმარ ხელის გულზე, მემრე მიიხედა წისქვილისკენ და უთხრა:

— ჩემო რძალო! ერთი მალხაზას უთხარ საფქვავი წაიღოს წისქვილში და დღესვე გამოფქვას, ეხლავ დააყაროს.

— დააყრის, ბატონო, თუ ჯერი მიერგო.

— უთხრას, რომ პირველად იმას ჩამოაფქვევინონ.

— როგორ შეიძლება, ბატონო! თუ სხვის ჯერი იქნება, არ დაუთმობენ.

— ჰო და, ჩემო რძალო, თუ იქ ჯერით არის საქმე და წესით, აქაც რიგი უნდა იყოს დაცული და უფროსობა, თორებ ოჯახს პირი ეერთმევა, აიბნევა და დაიქსაქსება, — მიუგო უფროსმა და ჩიბუხს დაუწყო ტენა.

ძალუა-მართა ცივად გამობრუნდა და სწორედ მაშინ გადაწყვიტა აღარ დაშმორჩილებოდა უფროსის ნებას.

საბართლიანი იყო უფროსის სიტყვა და ჭეშმარიტი, მაგრამ სასიამოვნო კი არ იყო ძალუა-მართასათვის და გულის მოსაუხანი. განა ყოველთვის ტკბილია სიმართლე და აღდგო-

მის კვერცხისავით ხელში სათამაშებელი! ესე რომ იყოს, ყველა ხელს წაატანდა იმას.

ძალუა-მართა მოუთმენლათ მოელოდდა შეიღის გაბედ ნიერებას, ოცდა სამი წელიწადი მოელოდდა ამ დღეს და რა დროს-ლა ცდა იყო და ჯერი? აკი ლარც დაიცადა! ურჩი გაუხდა ოჯახს, თავშვერაობა გასწია და სახლში რჩალი დაუკითხავათ შემოიყვანა.

ვაჟკაცებს არ მოსწონდათ ძალუა-მართის თვითნებობა, სწყინდათ, რომ წინ წაუკრა უფროსებს და შეარყია ოჯახის წესი. მემრე ვისთვის? ვიღაც გონჯი გოგოსათვის, რომელიც უფულ-უმზითვოთ გამოისტუმრეს, თუმცა აუთქვს დედაკაცს; არ კი შევშვენოდა მწარიანო თჯახს ცარიელი ქალის გასტუ-მრება, არც კალყურიანთ თჯახს კალიერი რძლის მოყვანა.

— თანაც ხმა დაუყრიათ, ისე იხვეწებოდნენ ცალყურაანთ, რომ თუ ფეხი დაგვეჭირებინა, თითონ მოგვიტანდნენ საქორწილოსამ.

— እና የዚያወንድ ስዕስዎች፣ የጠቅላላ ሰነድዎች ይፈጸማል
በዚህ በቃላት የሚከተሉት ደንብ የሚያሳይ.

— თუ ჩემთვის ეკითხა ძალ უა-მართას, მე მაგ ქალს სახლში ღრ შემოვაყენინებდი, თქვა ბებიამ.

— მერე რამდენ ლამაზ გოგოს ეჭირა მალხაზაზე თვალი!

— ჩვენ აჯახს ვინ დაარიღებდა ქალს.

— ოლბათ, ეგეც ბედია და ილბალი: ცოლქმრობის საჭე
ზეკუას რიგდებათ.

— Հայ մռեցա, մռեցա! յելո մթարուանտ տյոնաց հիշեն
սաելուս Շզոլուս, ոլոնք յո Շըշվետզուս և ոչաես հյօվզ
ար Ծաղկուս, Ծածոլուց Տրէպչը Յաձամ.

მაგრამ პატარძალმა ვერ შეითვისა საქომეულო, თავიდანვე
აითვალწუნა ცალყურაანთ კერა, გული ვერ გაუსწორა ვერც
კაცებს, ვერც ქალებს, ვერც ყმაწვილებს. ქალები იმას არა-
ფერს უშავებდნენ, კიდეც ანგბივრებდნენ, როგორც პატარ-
ძალს, მაგრამ თითონ შნოიანები იყვნენ და ე დუხვირმა გო-
გომ. შეტერი აართო იმათ, შეიძულა. იმათი დანაშაული მარტო

ის იყო, რომ როცა ქალს აბანებდნენ, ან რთავდნენ და შუსტაკს უსვამდნენ, ლიმილი ვერ შეეკავებინათ, ბევრჯელ კიდეც ანიშნებდნენ რასმე ერთმანეთს და წასჩურჩულებდნენ. ახალძალა კი ეჭვიანი იყო, ამჩნევდა ამას ყველაფერს და გესლით ივსებოდა. მაზლებიც ითვალწუნა: იცოდა, რომ ისინი წინააღმდეგნი იყვნენ მის მოყვანისა და ერიდებოდა, ცვათ ეპყრობოდა; კაცებიც გრძნობდნენ ამას და ზურგს უქცევდნენ. რადგან უფროსები უგემურათ ეპყრობოდნენ ქალს, ბავშვებიც უფთხოდნენ, არ ეკარებოდნენ, თუმცა ალერსის ეშხზე მოსული ახალძალა ცდილობდა მეზიდნა ისინი. ვერ შეექვსა მალხაზას ცოლი ცალყურაანთ კერას და ოჯახშაც გარიყა ის, ვერ შეისისხლხორცა.

რძალი ხომ განშე გადგა, დედამთილიც მისკენ გადიხარა, მხარდამხარ გაჭყვა მას და ამ ორმა დედაკაცმა რომ გაიწია, მალხაზაც ადვილათ გადიორიეს, რადგან ჯამბარით იყო მათზე მიბმული. ოჯახის კედელმა პირი ჰქნა, გადიზნიქა და დანგრევაზე მიდგა ცალყურაანთ განთქმული კერა.

iv

— თეონავ, შვილო! ხომ ხედავ, როგორ აბუჩაო აგვიგდეს და დაგვცინიან, ეჩურჩულებოდა დედამთილი რძალს; ჩვენ მალხაზასაც ეხლა უფრო მეტს ამუშავებენ, მინამ წინათ: ჰაი ტყე, ჰაი წისქვილი, ჰაი ქირა! სულ მალხაზა და მალხაზა! შინკი ველარ დავინახეთ და...

— იმ დღეს, დედიჯან, სოლომანაშ დაუყვირა, ადექ, რაღადროს ძილია, შუადღე მოვიდაო, ჯერ კი მტრედის ფრათაც არ იყო ნანათი.

— გატანჯულია დედამკვდარი მაგათგან.

— ამ წინაზე კადევ ჰაპამ უთხრა, ნუ გეზარება, ეხლა ცოლშვილიანი ხარ, მეტი გინდა დაუნდა მეტი გაისარჯოვო.

— სწორეთ ჩვენთვის დაუბრმავდა მა ბერიკაცს თვალები! ცოლშვილიანი რომ არის, მამულიც ნახევარი მაგისია, ბატონ-

კაცურათ უნდა აცხოვრონ, საცა სამართალია. არა, აღარ შე-
ბიძლიან ამათი გაძლება! კმარა, რაც ჯანი შევალიე ამათ.

ესე ტუტუნებდნენ რძალ-დედამთილი და გზას იწალდავ-
დნენ განზე გასასვლელათ; თავიანთ სურვილს თითონვე ამარ-
თლებდნენ, რა არის გაყრის მიზეზი გვაქვსო.

— შვილო მალხაზ! — ეკითხებოდა ძალუა-მართა თავის,
ჩიქს, — ისევ შენ უნდა წახვილე საზამთროს ქირაზე?

— ჰო, დედი! სხვებს არა სცალიანთ.

— რა ცალი ჰქიდიათ? სცალიანთ კი, შაგრამ ერიდებიან
ბოსტანში წასვლას, არ დაგვუადოსო; წილის წამოსალებათ
მარდათ ჩამოვლენ!

— რა წილის წამოსალებათ, დედიჯან? — შეეკითხა რძალი.

— არ იცი, გენაცვალე? მაგრამ თქვენებურები ხომ ვერ
დადიან ბოსტანში. ალგეთის ბოლოზე დიდძალი ბოსტანია.
ნესვ - საზამთროს ურმით ეზიდებიან ქალაქში. თითო ურმის
ქირა ოთხი-ხუთი მანეთია. ქირის გარდა მეურმეს ათი-თხუთმე-
ტი ნესვ-საზამთრო ეძლევა ურემზე. ეს არის წილი. ამის შესა-
ნახათ კოფოსთან არის გოდორი ჩაჭედილი. ამ თავის ნაწილს
მეურმე ჰყიდის ან შინ ააზიდვინებს. როდესაც ურმები მიდიან
ქალაქისკენ, აქედან ცხენებს ჩავაშვერებოთ ხოლმე წილის წა-
მოსალებათ.

რძალ-დედამთილი თავიანთ ვაუკაცით ერთ მხარეს გადგნენ,
ერთდ პირობა ჰქნეს, კავშირი რამ დადეს ოჯახის წინააღმდეგ.
ჯერ არ გაემულავნებინათ სურვილი, ჯერ გადაჭრით არა ეთქ-
ვათ რა, მაგრამ ყველანი კი გრძნობდნენ მომავალ განხეთქი-
ლებას და აურზაურს.

პაპაც არყობდა ამას და სწყინდა, რადგან ხედავდა, რომ
ერთ ოჯახათ ყოფნა უფრო ხელსაყრელი იყო იმათთვის, ვიღ-
რე დანაწილება: დიდ ოჯახში მარჯვეთ იყო განაწილებული
შრომა, ყველა საქმისათვის მზათ იყო რომელიმე მორბედი,
მარტოხელი კი ვერ გასწვდებოდა სოფლის აუარებელ საქმეს;
დიდ ოჯახში შესამჩნევი არ იყო რომელიმე წევრის შინ არ
ყოფნა ან ავათმყოფობა, რადგან სანაცვლო მშრომელი მო-

პოვებოდა სახლში, მცირე ოჯახის ჩარხი კი უნდა დამდგარის ამისთანა შემთხვევაში; სიმხიარულეც მეტი იყო დიდ ოჯახში: სადილ-ვაჭამი სტუმრეულობასა ჰგვანდა, საუბარს და სიცილ-თქართქარს ბოლო არა ჰქონდა. ამისთანა ოჯახი ყოველგვარ ბეგარისაც აღვილად იხდიდა; ყველას აღვილათ ისტუმრებდა მღვდელი იყო ის თუ დალაქი, სასოფლო ხარჯი თუ სახეობწიფო. დიდი ოჯახი კავშირი იყო მოქმედ მოძმებისა, ძლიერი კავშირი და აღვილათ უმკლავდებოდა ყველანაირ მოთხოვნილების.

მაგრამ ესეთი თვისება რომ ჰქონიყო დიდ ოჯახს, საჭირო იყო თანხმობა, გულწრფელობა, უფროს-უმცროსობა, მორჩილება. პაპამ კი დაინახა, რომ თანხმობა დაირღვა იმის სახლში; მიხვდა, რომ სარგებლობის მაგივრათ ვნებასლა. მოიტანდა ამისთანა ნაძალიადვი ერთობა, რომ აწ შური, ბუზლუნი და გულღრძობა დაისადგურებდა მათ კერაზე. ამისთვის იყო, რომ პაპამ გადასწყვიტა აესრულებინა ძალუა-მართას სურვილი, როცა ის ცხადათ გამოსთქვამდა თავის გულისნადებს, თუმცა კი ეძნელებოდა დარღვეული ოჯახის დანახვა.

v

შეილდი მოზიდული იყო, ლამბა დაჭიმული და მცირე რამ მოძრაობა კმაროდა, რომ ისარი გაფრენილიყო ვისიმე გულის გასაგმირათ; ცალყურაანთ ოჯახი ისე იყო ზავთით სავსე, რომ საშალის კვრაც ეყოფოდა ბოროტის გადმოსანთხევლათ, ქარ-ბუქის ასატეხათ. მაინც ქრთილის ტოლა იყო ის ამბავი, რომელმაც არეულობა ასტეხა. ოჯახში და დაარღვია ის.

ჩვენი წესია, უმცროსი ქალ-რძალი წინ უნდა მიდიოდეს, გამოცდილები კი უკან მისდევდნენ. საყდარშიაც ამავე რიგზე დგანან ხოლმე. რათა? რა ვიცი! იქნება იმისთვის, რომ გამოუცდელს დეკეულს ზურგით ფოცხვერი რაშ არ წაეტანოს. დიდ ხუთშაბათს ცალყურაანთ ქალ-რძალი. რომ საყდარში წავიზა, უფროსები ვერ გაჰყვნენ თან, არ ეცალათ. თეონამ შეიგვიანა

სახლში და უკან მოექცა ქალებს. იმათ არ მიაქციეს ამ გარე-
მოებას ყურადღება და იმავე რიგზე მივიღნენ საყდარში; იქაც
იმავე რიგზე მოუხდათ დგომა, ისე რომ უმცროსი რძალი უკან
იდგა. მწარიანთ ქალმა ეს ძალიან ითაკილა და საწყენათ მიი-
ლო; ალბათ აბუჩეთ ამიგდესო, იფიქრა და გაწყრა. წყენა მარ-
ტო ტუტუნ-მურმურით გათავდებოდა, რომ სახიფათო შემთ-
ხვევა არ დართობოდა ზედ.

თორმეტ თავ სახარებაზე ხომ ხალხ სანთელი უჭირავს,
სახარების კითხვის დროს ანთებენ, გათავებისას აქრობენ. ამ
დროს ბევრი ლეჩაქ-ბალდადი იტუსება ხალხით გაჭედილ ეპკ-
ლესიაში, ზოგი შემთხვევით, ზოგი განზრახ. მწარიანთ ქალ-
საც გაფრიალებულ ლეჩაქზე მისცეს სანთელი და აუბურბურ-
ბურეს. ჩავარდა ჩოჩქოლი. მისცვედნენ, მოჯსრისეს ლეჩაქ-
ბალდადი, გაუქრეს ცეცხლი, მაგრამ რა გამოვიდა: ახალი
თავსახურის მაგივრათ ნამწვები-ლა ჩამოსძენძოდა უშნოთ ჩაწ-
ნულ ბუწკებზე. ამ ამბავმა სიცილი ასტეხა ახლო-მახლო, სი-
ცილი მოედო გარშემო ყველას, საწიგნემდინ მივიდა იგი სიცი-
ლი და დიაკვანი გააცინა, სიცილმა მიაღწია თითონ მღვდლამ-
დინ. კუპუჭებდნენ ცალყურაანთ რძლებიც; გზაზედაც სიცი-
ლითა კვდებოდნენ, ხელცხლუებს იფარებდნენ.

— აი, ბატონო, ლეჩაქი და ბალდადი დამიწვეს, მასხა-
რათაც ამიგდეს: საყდარშიაც და გზაზედაც სიცილ მაყრიღნენ,
შესჩივლა დედამითილს თეონამ.

— ვინა, გენაცვალე?

— აი, ამათ! დახე, ეხლაც როგორ ითხიჭებიან; დუქნებ-
წინ სულ ხარხარით მომდევდნენ.

აილურსა ძალუა-მართა, აიწვერა. რძლებმა რომ შეხედეს,
უფრო აუტყდათ სიცილი. იმ გუნებაზე იყვნენ ისინი, როდე-
საც კაცებს თავისთავათ ეცინება და კასკაცებს. ამან მოლათ გაა-
მწარა ძალუა-მართა და ჩმა აამაღლებინა.

— რას ითხიჭებით? — შეუტია ქალებს, — რძალი გამითახსი-
ლეთ და ხარხარებთ კიდეც ლირფათ!

— თითონ რომ უშნო იყოს, ჩვენი რა ბრალია, გაუწედა
უფროსმა რძალმა.

— უშნოებიცა ხართ და უნამუსოებიც! კიდევ ურცხვათ
რომ ხმას იღებენ...

— რა ენა წაგიგძელებია და ჰლაშქრამ ყველას! ჰკითხე
შაგათაც, როგორ ყოფილა საქმე და ისე ილაპარაკე, გამოე-
კომაგა რძალს მისი დედამთილი.

— აქ საკითხავი არაფერია! ამოდენა ხანი ვითმენ თქვენ
ხელში, ათასი მწარე დღე გამოვიარე თქვენ სამსახურში და
ეხლა გინდათ ჩემი შვილ-რძალიც იმავე დღეში ამყოფოთ,
არა, დედავ და თვალო, სხვის ხელში შემაცეერლები როდი
ვართ, რომ სხვის მონები ვიყვნეთ!

— ეე, ჩემო რძალო! ვიცი, რაც გალაპარაკებს, თორემ,
ღმერთმა ხომ იცის, შენ ჩვენ ოჯახში არა გაგვირებია-რა; შენ
განზე კადგომა გინდა, გინდა ე ბიჭი გავვყარო, მაგრამ ვნა-
ხოთ, მარტო წვერაობით რას შეიძენ.

— თუ არას შევიძენთ, ბატონო, წყნარ ცხოვრებას მაინც
გავატარებთ, თავისუფალს.

— ასრულდეს ნება ღვთისა!

რახან ერთი დაიშყო გაყრაზე ლაპარაკი, ალარ შედგა;
კამათმა თანდათან იმატა, იზარდა; გაფართოვდა, ჩაითრია ოჯა-
ხის ყველა წევრი, ხმა გაიმსხვილა, აიმაღლა, შეფოთად გადიქცა;
ზათრგუნა ყოველავე კეთილი გრძნობა, აზრი, პატივისცემა

მაინც ხომ ეგრე ვიცით ჩვენში! გაყრა და მამულის გა
ყოფა ისე საძნელო საქმეთა გვაქვს დადებული, გაყრა ისეთი
სახითათო რამეა ჩვენთვის, რომ თავისი თავისს არ ინდობს,
ძმა ძმის ბოროტსა ნდომობს, თვეობით და წლობით ოჯახს
შოსვენება არა აქვს და სისხლის ღვრამდინ მიღის საქმე. ანგა-
რიშს არა ვართ შეჩვეული და ეს იმისთვისა ხდება, შემდეგ
ვანაყოფები მოშურნეებად ჩაუდგებიან ქრითმანეთს და სისხლს
უშრობენ.

იბრძოდნენ ცალყურაანი. იბრძოდნენ შინ და გარედ,
სახლში და ბანზე, დერეფანში და ეზოში, გომურში, ბაკში,

კალოზე, მინდორში, ტყეში; ყველგან იბრძოდნენ ცალყურა-
ანი, სახალხოდ ლანძღვლნენ ერთმანეთს, ათრევდნენ, ლაფს
ასხამდნენ. ვისაც აქამდინ კარგის მეტი არა გაეგონა რა ცალ-
ყურანთი, ეხლა მათი ავი გაიგო დაჭარბებით, ერთი ათად.
გადმოაბრუნეს სახლი, საქვეყნოდ გამოჰყინეს, თუ რამ დაგლე-
ჯილ-დაფლეთილი ჰქონდათ ან ჭუპყიანი; თავზე გადიბერტყეს,
თუ რამ მტვრიანი ებადათ და მწრკვლიანი. მასხარები შეიქმ
ნენ და სამასხაროდ გახადეს თავიაანთ კერა. ბოლოს მოხე-
ლები და შუამავლები ჩაერივნენ საქმეში და, როგორც იყო,
გააზავეს მებრძოლი.

vii

რომ გაქირდა საქმე და სახრინავზე მიღვა, შუაკაცები
დასხეს მეთქი მოსარიგებლად, რადენიმე ქეთხუდა კაცი მიიწ-
ვიეს. შუაკაცებმა ჯერ ურჩიეს ძალუა-მართას არ გაჰყრიყო
იმისთანა დიდ ოჯახს, რაღვან ესეთი ძლიერი კერის მფარვე-
ლობის ქვეშ უფრო უზრუნველად იცხოვრებდა ის, მაგრამ
როცა დედაკაცი უარზე შედგა, მიჰყვეს ხელი და გაყვეს ყოვე-
ლივე უძრავ-მოძრავი.

მამული სულ მამა-პაპეული აღმოჩნდა და ზედ შუაზე გა-
დასჭრეს, ნახევარი მალხაზას აკუთნეს, ნახევარი სხვებს. ამ
გარემოებამ გული ატკინა დანარჩენებს: მალხაზას წინათ ძმათა
სახავუნენ, თავიაანთ თანასწორ მოძმეთ, ეხლა კი გამოვიდა,
რომ ის ერთი სხვა ყველა ძმებს უდრიდა. ამ გარემოებამ შური
აღძრა გენაუოფების გულში. თითონ მალხაზასაც თითქო შე-
რცვა და თავი მაღლა ვეღარ აიღო, თვალი ვეღარ გაუსწორა
მოძმეებს. ძალუა-მართა კი ცას დაეწია სიხარულით და სწო-
რედ გადიხარხარებდა, თუ კაცებისა არ შერცხვენოდა.

შუაკაცებმა სადგომი სახლი დიდ ძმებს დაურმეს, როგორც
ჯალიაბიანს, და მრა საბადლოდ მეტი ეზო მიუზომეს მალხაზას;
თანაც ნება მისცეს საჭუთარი სახლის აშენებამდინ ისევ საერთო
სახლში ეცხოვრა, მხოლოდ ცალკე, ოდაში.

მოშვერდნენ ცალყურაანი, მოისპო მათ შეუა ხმა-მაღლა ლაპარაკი, აყალ-მაყალი, ჩხუბი; განაყოფებ შეუა ეხლა ქიშპი ჩამოვარდა, ჯიბრი უსიტყვი, მაგრამ ძლიერი. ძალუა მართა ცდილობდა ისე მარჯვეთ წაეყვანა თავისი საქმე, როგორც განაყოფებს მიჰყვანდათ და უფრო უკეთაც, თანაც ისე უნდოუ და მოეხერხებინა უველაფერი, რომ განაყოფების თავი არა-ფერში დასჭირებიყო; მთლათ განკერძოვდა ახალი მოსახლე, აღარაფერი უშვენია საერთო. ოდის კარი და განაყოფების დარბაზის კარი ერთსა და იმავე დერეფანში გამოდიოდა; ძალუა-მართამ დერეფანი გაუყო, გადალობა, ლასტები ჩახირა შეუაში. ფრინველი აღარ გადმოაჭაჭანა. განაყოფებმა თითქმის უმძრახათ დიოჭირეს ერთმანეთი.

ამ გაბოროტებულ ურთიერთობაში მალხაზას უფრო უჭირ- უა საქმე, რადგან მარტოხელი იყო. ცალათ მუშაობდა ვაუკაცი, მარტოთ-შარტო და აბა როგორ ვაუსწორებდა ულელს გამ- რავლებულ ოჯახს. წელზე ფეხს იდგამდა ბეჩავი. ძალუა-მართა ხომ თავს არა ზოგავდა და თავის მაგალითით ამხნევებდა ისეც შრომათ გადაქცეულ შვილ-რძალს. დასაძინებლათ რომ დაე- ყრებოდნენ, არაქათი აღარა ჰქონდათ ერთმანეთისთვის სიტყვა ეთქვათ.

ეს ჭაპანწყვეტა მაინც ვერ აკმაყოფილებდა იმათ და ვული ემლვრეოდათ, ჯავრობდნენ. არამც თუ განაყოფებს არ ელაპარაკებოდნენ ან ლანძღვა-თრევას ეტოყდნენ, ერთმანეთსაც ბუზღუნით ეუბნებონენ ქანცგაწყვეტილნი. ახლა საჭმლის გაკე- თებას არ იტყვით? ძალუა-მართა ათვალიერედა, რასა ხარშავ- უნენ განაყოფები და ცდილობდა თითონაც ის მოემზადებინა, იმაზე მეტიც. შეემზადებინა, იმას კი აღარა ჰფიქრობდა, რომ მეორე სახლში ათასი მორბედ-მოქმედი ტრიალებდა.

მალხაზას მეტადრე მკაში გაუჭირდა ძალიან. ერთი ნამგალი რა თავწყალ გაადენდა შემოსულ ყანას? კირნახული იპნეოდა, შომკალი დასჭირდა. მეტალოეც დაიჭირა. თან სახლის შენებაში იყო გართული. ახლა სოფლის ათასგვარ მოთხოვნილებების გაძლოლა და ყველასთვის პასუხის გაცემა მარტოხელობას უჩვევ-

მა ვერ აიტანა ამოდენა შრომა და მოიქანცა, ჩაწყდა, გააყდა, აზავთდა, აღრინდა.

არც მეორე მხრიდან იყვნენ გულსავსენი და მხიარულნი. ძალიან სწყინდათ, რომ მთელი მამული ორათ გაეყოთ და ყველგან შევიწროვდნენ — სახლში, ეზოში, კალო-საბძელში, ბაღში, მინდორში. რაც აქამდინ თავიანთი იყო, ეხლა სხვისა გახდა და მერმე ისე, რომ ფეხის გადადგმის ნებას არ აძლევდნენ, არ აწაწანებდნენ, ყველგან ღობეს, ჩარიხოს ან ლასტს უბირავდნენ წინ. ბაღიც ხომ შუაზე გასჭრეს და ღობე გადაავლეს.

ესე აზავთებულნი რომ იყვნენ ცალყურაანი, მაშინ მოუხდათ ხითათი.

VII

მკათათვე განახევრებული იყო, როდესაც მრუდე მსხალს თვალი შეუვიდა. თუ გახსოვთ, ეს მსხალი ცალყურაანთ ბაღში იდგა, ზედ შუაზე. ვეება ხე იყო, მაგრამ მაღალი არა ჩანდა, რადგან ღერო ძალიან წაზნექილი ჰქონდა და მარტო ტოტები აეშვირნა ზევით; ისე იყო ხე წაწოლილი, რომ მარჯვე ბიჭები უხელოთ გავდიოდით ზედ. ვენახი რომ გაპყვეს ცალყურაანთ, მიჯნამ ზედ იმ ხის ძირზედ გაიარა: ძირი განაყოფიანთ წილში მოჰყვა, ღერო და ტოტები მაღაზას წილში. მაშინ ამ გარემოებას ყურადღება არ მიაქციეს, სწორეთ აქ კი ყოფილიყო ეშმაკის მახე დაგებული.

მაღაზაანი ჰკრეფდნენ შემწიფებულ მსხალს და შეექცეოდნენ. ვინ ჰყვანდათ დამშლელი? განაყოფები თავიანთად სთვლიდნენ ამ მსხალს, მაგრამ აზრადაც არ მოუფიდოდათ და შალნათ მაღაზაანთვის ხილის მოწყეტა. მაღაზაანი კი წაპეხზა ამ ამბავმა და მრუდე მსხალს თავიანთი ხე დაარქვეს. ჰაი ჩვენი მსხალი, ჰაი ჩვენი მრუდე მსხალი! მაღაზა გონებაში ჯერ არ ეთანხმებოდა დედაკაცებს, მაგრამ ბოლოს ისიც დარწმუნდა, რომ მსხალი მართლა მისი იყო.

— რათ უნდა იყოს იმათი? პარტო ფესვებია იმათ წილში, მთელი ხე კი საჩვენოშია, ეუბნებოდნენ დედაკაცები და მალხაზაც ეხლა წინააღმდეგი აღარ იყო. რას აგებდა? რაღაც ეჭვი კი ჰქონდა გულში და ყოყმობდა.

— მაინც ხომ საიმათოშია ამოსული ი მსხალი.

— ადგილი კი საჩვენოში უჭირავს და მაშ ჩვენია!

— როგორლაც გული არ მიმწევს, ასე გონია იმათიაო.

— რა გელაპარაკოთ! ლაჩარი კაცი ხარ, ლაფაჩი რამ და ლუკმას ხელიდან გამოგტაცებენ. სწორეთ უგერგილო რამა ზარ, ლუკურტი! მე თუ არ მებძოლა, იქნება მთლათ უწილესოც გამოეგდეთ სახლიდან.

ამ ლაპარაკში იყენენ მალხაზანი, როდესაც ეზოში გამოვიდნენ. გაიხედეს ბალისკენ და ელდა ეცათ: ეშმაკათ განაყოფიანთ წენგუა ჩასულიყო ვენახში და მრუდე მსხალს მოჰქცეოდა თავს.

— დედი, დედი! შეხედუ, ჩვენ მსხალზე ვიღაც ასულა, — თქვა რძალმა.

დედამთილმა ხელი მიიდო შებლზე და გახედა.

— წენგუაა, ი შეჩვენებული, წენგუა! დახე როგორ ბერტყავს! დაუჩემებიათ მსხალი, სწორეთ დაუჩემებიათ!

— აბა თუ დაუჩემებიათ და მე გიჩვენებო ი ბლუკუნას სეირს! — თქვა მალხაზამ, მისწვდა სახრეს და გაექანა.

— შენ, ეი! ამ წამს ჩამოეთრი ძირს, ამ წამს!

— რა გინდა, კაცო?

— ღმერთმა რომ არ გიცის! არ გეყოთ, რაც ჩემი მამული ჭამეთ, რომ ეხლაც არ მასვენებოთ?

— რას ამბობ, კაცო? ე მსხალი ხომ ჩვენია, საჩვენოში ამოსული! მიუგო წენგუამ და ჩამოვიდა.

— თქვენ წილში მარტო ფესვები აქვს; წადი და ღრღნი ფესვები. მთელი ხე საჩვენოშია გაღმოსული და მსხალი ჩვენია.

— კარგი, მალხაზ, თუ ღმერთი გწამს! აგერ კაკალი მთლად გზაზეა გადასული და მაშ გამვლელ-გამომვლელისა იქნება.

— ჩვენია მეთქი, თორემ ამ სახრეს ხედავ! ძალიან თავს წახვედით ამ ბოლოს დროს.

— თავწასულები თქვენა ხართ, რომ მტრათ მოგვეკიდენით, აღარ გვასვენებთ — თქვა წენგუამ და იღო კალათა შინ წასალებათ, მაგრამ მალხაზამ არ დაანება მსხალი, ხელიდან გამოსტაცა.

— რას მიშქარავ, ბიჭო! — შესძახა წენგუამ და ხელი წატანა მალხაზას.

მალხაზა გადახტა უკან და მძლავრათ დაუქნია სახრე. წენგო წინ იწყვდა, ცდილობდა ხელი მოეკიდნა ბიჭისთვის, მაგრამ ეს მარდათ ხტებოდა ხან უკან, ხან გვერდზედ და თან შარჯვეთ ხმარობდა ჯოხს. სახრეს სულ შხივილი გაჰქონდა ჰაერში.

— გიჩხუბნიათ სახრეებით? არა?! ვაი რა უშნოთ გაუზდიხართ გოგოსავით! სახრე სახიფათო იარაღი არ არის, იმით მკვლელობა ან დასახიჩრება შეუძლებია. იფნის სახრე იღე, რომ წვრილ წვერში არ გადაგიტყდეს, მარდათ გაისარჯე, სხარტათ! როგორა ხტის ცერცვისავით! ჰა შე უშნოვ! ხარსაც არ დაჰკრავენ თავში და შენ სახეში უმიზნებ?! ქვეით ჩამოჰკარ რბილოსა, კოჭებში დაჰკარ, კოჭებში, რომ დადაგო. რა შხივის! რა ტკაცი-ტკუცი გააქვს სახრის წვერს! ცეცხლს უკიდებს, ცეცხლს! რას იღრიჯები, შე ლაჩარო! სასიკვდილოთ ხომ არა გკოდავს, მხოლოთ გწვავს. მოითმინე და შენია გამარჯვება. ოთხ ხუთ დღეზე ნაშოლტარიც გაქრება.

წენგო არ ჩამოუგარდებოდა მალხაზას, მაგრამ ხელცარიელი შერჩა უიარაღო და მხოლოთ დასაჭერათ ეტანებოდა ბიჭს, ის კი გველანასავით უსხლტებოდა ხელიდან. შეახურა, ალანძა, დაწვა, აღაგა ბიჭი. გამწვავებული წენგო ბოლოს ერთი გადახტა ვეფხვივით, ჰკრა ორივე ხელები მალხაზას გულში და მსხალს მიაწყვიტა. თუ თავის დიდი ქუდი ჰქორებოდა ბიჭს, არა უშავდა-რა, მაგრამ ჩეუბში ქუდი გადაჰკარდნოდა და ტვინი. შეანთხია ხეს, სწორეთ ამ დროს კიდეც ჩამოეშველნენ

მოჩხუბრებს. შეიქმნა ალიაქოთი: წყალი, ყურები, ლაკიშები, ჯანჯღარი. სულ ტყუილათ! მოკვდა ბიჭი, მოკვდა!

viii.

დედაკაცები უყურებდნენ მალხაზას, როდესაც ის ბალისკენ მირბოდა, უხაროდათ, როცა წენგუა ჩამოაგდო ხიდან, მხნეობა შეუქეს, როცა მსხლის კალათა დაგდებინა ხელიდან, მაგრამ, როცა სახრე შეიმაღლა და ცემა დაუწყო კაცს, მაშინ კი შეშინდნენ, წივილ-კივილი შექმნეს.

— ჯერ მალხაზაა გამარჯვებული, ძალა ჯერ მისკენ არის, მაგრამ წენგო ხომ ლეკია დაუნდობელი.

ამ ფიქრმა ელვასავით გაურბინა დედაკაცებს და შიშის ზარმა აიტანა ისინი. გაეშურნენ ბალისაკენ, მაგრამ ძალუა მართას შიშისაგან მუხლი მოეჭრა; მეზობლებმა მიასწრეს იმათ. კალოობა იყო, კაცები შინ ირეოდნენ და ჩხუბის ხმაზე შიაუშურეს, მაგრამ, აკი გითხარით, ვეღარ მიასწრეს: მალხაზა გულ-შემოყრილი ეგდო, როცა ისინი მივიღნენ. მივარდა მართაც და მოეჭიდა მომაკვდავს: კალთაში ჩაისვენა, ჩასხახოდა, ჩაჰკიოდა, ჰკოცნიდა. მალხაზამ ერთი კი გაიბძოლა, თითქო ამოძრომას აპირობსო დედის უბიდან, და გაითანვა.

სახტათ დარჩა ძალუა-მართა, გაშტერდა, გაშრა. გამოართვეს შვილი ხელიდან და ფარდაგზე დააწვინეს, აგერ სახლში აიტანეს და ტახტზე დაასვენეს; ჰბანენ, სისხლსა სწმენდენ; ბალიში დაუდეს თავით, ასწორებენ, მოციდა მსუდრავიც, მალხაზას დაეპატრონა. ძალუა-მართაც ფუსფუსებს, მისდი-მოსდევს, თუმცა აღამინის სახე აღარ ადევს, თვალები ჩასცვიონია, ვა-ქვავებულა. აგერ მღვდელიც მოფარფატდა, ეზოშივე ჩამოიკიდა ოლარი, მაგრამ მხოლოთ დახედა მალხაზას, არ კი აზიარა.

— რატომ მაშინვე არ შემატყობინეთ? ეს კაცი კიდეც გადაცვლილა.

— მანც ვეღარ მოასწრობდით, მამაო, ზიარებას: მაშინვე მოკვდა, ერთი კი გაიბძოლა და მისცა სული:

— საწყალი ბიჭი! სთქვა მღვდელმა, პირჯვარი გადასწერა მიცვალებულს და თვალკრემლიანმა შეჰვედრა:

— უფალო ყოვლად მოწყალეო, კეთილი ანგელოზი და-დევნე განსვენებულს და შეიწყალე! მემრე მიუბრუნდა ძალუა-მართას:

— პირჯვარი დაიწერე, უბედურო! ილოცე, ცრემლი გა-ლირსოს უფალმა, იქნება ჰპოვო რამ შედავათი.

ძალუა-მართა მხოლოთ თვალებს აჭყეტდა, სმენით კი ოლარაფერი ესმოდა; ნელის ხმით ვაის გაიძახოდა და ხელს ლოკასთან აქანებდა ჩამოხოკვის სახით.

მოამზადეს მიცვალებული, დასულრეს; ტახტები აჟყარეს, საფენი ძირს დააგეს; დასვეს ჭირისუფალი, რძალი გვერდით მოუსვეს ორივე ძაძებში. განაყოფიანთ დედაკაცებიც გარს შემოუსხდნენ ცხედარს. უფროსი რძალი ხმითა ტიროდა, სხვე-ბი ქვითინებდნენ. ძალუა-მართა კი მხოლოთ ვაის იყრიდა ნე-ლის ხმით და ლოკასთან ხელს აქანებდა დახოკვის სახით. შე-მოვიდა მღვდლის ჯალაბი.

— ეს რა მოგსვლია, უბედურო? მოგიკლეს ნანინატრი შვილი!

— არა, მღვდლის ჯალაბო, ჩემ მალხაზის მხოლოდ სძი ნავს.

— მტერმა დაიძინოს ესე!

— სძინავს, როგორ არა! გაიღვიძეს და თითონ გიამბობს როგორც მოხდა ყველაფერი. არა, შვილო მალხაზჯან? შეე-კითხა დედა და მიუჩოჩდა ცხედარს და ზედ მიეყრდნო, რო-როგორც ძუძუთას აკვანში და ნანა დაიწყო ნელის ხმით. ნა-ნას თანდათან ძალა მიეცა; თავი აიღო ნანამ, წელში გაიმარ-თა, მალლა მალლა წავიდა და თან შესაზარათ ათროთოლდა. ძალუა-მართას მიცვალებული კი არ ედო წინ, ჩჩილი ედგა აკვნით და თავისს იმედებს დაჲმლეროდა ზედ, თავის ნატერებს მოუთხრობდა ნანაში: პაწაწა მალხაზა, ძუძუს ძლივს იდებს; მოჩიტდა მალხაზა, დედა იცნო, თვაღებში გონება დაეტყო; მოიზარდა მალხაზი, ტიკტიკი შეიძლო; შელერებული ბიჭი შე-

იქმნა მალხაზა, გლეხურ საქმეში დახმარება შესძლო; თავმომწონე ახალგაზდაა მისი მალხაზი, საკოლეგ გამზადებული; ვაჟკაცია მარჯვე, კოხტა, შინაცა და გარეთაც გამოსადეგი, ყველასთვის სასიამოვნო, საყვარელი; ქორწილია გაჩაღებული, მალხაზას ქორწილი; ცალკე მეოჯახეა მალხაზა, სოფლის თვალი კაცი, თითით საჩვენებელი... ატაცებულმა ჭირისუფალმა ამ ნანაში წარმოსთქვა, რაც იმედები უღვიოდა გულში შვილის შესახებ, რა ნუგეშებს და ნატვრებს შესწირა თავის ქალობა.

ამ ნანამ ყველანი აატირა. ნანის ხმაზე ისინიც შეგროვდნენ, ვინც გარეთ იყვნებ ან შინ ფუსფუსებდნენ, კაცებიც გარს შემოეჯარნენ. გამწარებული დედა რომ უცრემლოთ მოსთქვამდა, სხვები ცრემლად იღვრებოდნენ; კაცებს ჭუდები მიეფარებინათ თვალებზე და ქვითინებდნენ.

**

როცა ძალუა-მართა მოსთქვამდა ნანას ხმაზე იმ იმედებს, რომლებიც თავის მალხაზაზე დაემყარებინა, იქ მივიდა, როგორ უმტყუნა ბედმა ბიჭს, როცა იმან სხვის საკუთრებას წატანა ხელი. იქ ცხადად წარმოუდგა დედაკაცს, რომ სხვის საჭინელს დედისა და ცოლის დარიგებით წაეტანა ის. თუ იმათ არ წაექეზებინათ ბიჭი და არ მიესიათ წენგოსათვის, თითონ მალხაზას ფიქრათაც არ მოუვიდოდა რაღაც პანტის გულისათვის ჩხუბი და მაშ ეხლაც საღსალამათო იჯდებოდა თავის სახლში. ეს უბედური აზრი წარმოუდგა დედას, განათლა, გაზეიადდა და დაიმონავა ის. ძალუა-მართამ ეხლა მკვლელად ჩასთვალა თავისი თავი, თავის შვილის მკვლელად და. ამ საზარელმა ფიქრმა ხმა გააწყვეტინა ჭირისუფალს, ალაგობრივ ჩაკეცა ის.

— უი, ჩამქოლეთ, გენაცვალეთ, ჩამქოლეთ! — შებლავლა დედაკაცმა და ლოყას ხელი იკრა, ჩამოიხოკა.

ამ ჭირს ვერ გაამუღავნებდა უბედური, ვერ იტყოდა, მე წავაქეზე შვილი, ძალის-ძალად მივაგდე სახითო საქმეზედაო;

ამ ამბის საქვეყნოდ გამეღავნება არ შეიძლებოდა, რაღან მაშინ დედა კი არა, სულთამხუთავი გამოვიდოდა თავის შვილისა. მაგრამ ამ ჯოჯოხეთურ ფიქრის მთლად დაფარვაც რომ არ შეიძლება! ძალუა-მართას იქვე გვერდით უზის უბედურობის მოწამე. იგი მოწამე თითონაც შიგ ურევია საქმეში და პირი აქვს აკანილი, მაგრამ მაინც მოწამეა და შეუძლიან ოდესმე გასათრევად დადოს მართას სახელი, საგმობელ-საზიზლარი გახადოს იგი. ეს მოწამე მისი რძალია, საწყალი მალხაზას შავბნელი ცოლი. მართამ უნებლივთ შეხედა იმას; რძალმაც თვალი თვალში გაუყარა და აგრძნობინა, რომ ისიც იმაზე ფიქრობდა მაშინ.

— ვაი, დამქოლეთ, გენაცვალეთ, დამქოლეთ, ვუუ! — შესძახა დედაკაცმა და ლოკები ჩამოიბლვნა, სისხლის ღვარი დაიდინა.

მოთქმით ტირილი ვეღარ მოახერხა ჭირისუფალმა და სევდის გამოსახატავად მხოლოდ ერთხმივ-ლა გაბლუოდა.

— ეჱ, კაცს რომ წერა აიტანს და ეშმაკი შეუჯდება, თორემ პანტისათვის თავი როგორ შეაკლა სხვას, — სოქვა ერთმა.

— რა ბიჭი დაიღუპა. სულ უბრალოდ!

— გულკეთილი კაცი იყო, ხათრიანი და ი რაღაც მსხლის-თვის ისე რამ გააბრაზა, რომ ცემა დაუწყო კაცს?!

— ალბათ, მაცურურ რამ შეუჩნდა, მავნე, თორემ განა არ იცოდა, რომ ის ოხერი მსხალი სხვისაა, სხვის წილში ამოსული.

— ეშმაკი კი, არა, ხალხნო, მე ვიყავ, მე, რომ შეეუჩნდი უბედურს და ალარ მოვუსვენე! მე ვიყავ, რომ ავაზავთე და წავაქეზე, თორემ ჩემ მალხაზას ჩხუბი არ უყვარდა, ის ხელს არავის ახლებდა, თუნდა მთელი ბალიც ამოეგდოთ, — თქვა მართამ გულში და ისევ შეხედა თავის რძალს.

რძალმა თვალი თვალში გაუყარა დედამთილს. რა გონჯი რამ მოეჩვენა ი გოგო!

— მე ვარ, ხალხნო, მე ი ჩემი ბიჭის ბედიმწერალი და დამლუპველი! თავიდანვე მე ავუჩნდი მაცურათ, თორემ აბა

ამ ჯოჯოს შეირთამდა ის, ამ გომბიოს მოიყვანდა?! — ამბობდა გულში მართა, მაგრამ პირზე კლიტე ედვა და ცეცხლზე ცეცლი ედებოდა. სიტყვა უღარ, ჰქონდა პირში და მხოლოთ გაღმუ-ოდა მხეცივით საზარლად.

ან კი რაღა უნდა ეთქვა, რაღა ეთქმოდა?! სიხარბემ და ზავთშა რომ დასძლია და შვილს აქეზებდა ავ საქმეზე, ეხლა ცხადათა ჰქონდა ეს თვალწინ, მაგრამ ხომ ვერ იტყოდა ამას, და ეს გამოუთქმელი ფარამი ბურთივით ჩასჩროდა მას ყელში, სიტყვას აღარ ათქმევინებდა არც ეხლა, როცა მიცვალებული ედო წინ, არც გასვენებისას, არც ეკლესიაში, არც სასაფლა-ოს გზაზე, როდესაც დედაკაცები უკან ჩამოაყენეს სოფლის პირას და მხოლოთ კაცებმა გაიტაცეს მკვდარი სამარისკენ. ჭირისუფალი მხოლოდ გაღმუოდა ჩახლებილი ხმით, რო-გორც ნადირი რამ ვნებული, და თან პირს იხოკდა, თმას იგ-ლეჯდა.

ეს გაურკვეველი გაჭირვებული სახით ბლუილი შეეთვისა ძალუა-მართას, მის საკუთარ ხმათ გადაიქცა და მარად ისმოდა მის სახლიდან, მის დერეფნიდან, მის მიდამოდან, მის ბანიდან; ისმოდა იგი ხმა დილით და საღამოთი, დღე და ღამ, ყოველ უაშს, ყოველ წუთს, ყოველ წამს.

ამ გაბმით ღმუილმა შეაწუხა შინაურიც და გარეულიც. რძალმა ველარ გაუძლო შემზარავ ხმას და გაეცალა. მარტო მარტო დარჩენილმა დედაკაცმა თავი იპოვა და უფრო უმატა ღმუილ-ვაებას.

— ვაიმე ჩამქოლეთ, ხალხნო, ჩამქოლეთ, ვუი, ვუუუ! — გაიძახოდა ამდღე დედაკაცი და აღარ წყნარდებოდა.

განუწყვეტელმა ზარმა თავისი ნასახი დაადო ძალუა-მარ-თას: თვალები ჩაუსისხლდა, შეუშუპდა, დაეღარა, დაებლორძა; სახე მოუტყდა, დაებლნიჯა, წელში მოიხარა, თავის რაცრაცი დაპსჩემდა; საზარელი რამ შეიქმნა გლოვის ბუდე.

— გენაცვათ, სწორეთ ბაიცუში შეიქნა ეს დაღუპულის შვილი! ამისმა ერთმა ბლუილმა ილაჯი წაილო, სასოება და-გვიკარგა.

— ნახამ; თუ მაგ სულქოროტიანშა კიდევ არ ამოიჭამოს ვინშე.

— თავის თავი ამოიჭამოს! თითონვე იყო დამნაშავე, რომ ის საწყალი ბიჭი ცალკე გაიგდო და ააზავთა, ამბობდნენ განა- ყოფები და ნატრობდნენ ან დღე მოჰლებოდა ბოლო მის ერთ- ხმივ გაძახილს ან ლამე, რომ ცოტა მაინც დაესვენა მათ ყურს.



ამ ვაებაში იყო ძალუა-მართა, განუწყვეტლივ მისტიროდა, წარსულ-დაშიწებულს და თან არ აკლებდა მას არავითარ წესს, რომ საიქიოს მაინც ყოველი შელავათი მისცემოდა მას. ზეთი ზეითუნისა, სანთელ-საკმელი, ზედაშე, სეფისკვერი, წანდილი ნუშ-ქიშმიშიანი, სულის ახსნა და წირვები, შილაფლავი, ხილი უკეთესი, ზურგიელი—ეს ყველა თავის დროზე ჰქონდა გან- სვენებულს და რჩეული.

სულეთისკენ გზაგანათებულზე უნდა ევლო მალხაზას, ყოველივე კეთილით დატვირთულს, გულსავსეს და კმაყოფილს, მაგრამ მურაზით გაუმაძლარ ბიჭს სააქაო მაინც არ ეთმობოდა და მალმალ უსხლტებოდა ხელიდან სულთამცველებს, რომ თვალი მოევლო სოფლისათვის, მიდამოსთვის, სახლისათვის. ეს იყო მიზეზი, რომ ძალუა-მართა ხშირათა ხედავდა შვილს სიზმრათ და ყოველთვის მხოლოდ საყველურს და მუქარას ისმენდა მისგან.

— შენ იყავ მიზეზი, რომ შევძულდი ქვეყნად ძმებსა და შეგობრებს, რომ მოვისპე ქვეყანაზე და ვერ დავტკბი მანდ ვერაფრით, შენ იყავ მიზეზი, შენ! ეტყოდა დედა განსვენე- ბული და ისე მტრულათ შეხედავდა, რომ დედაკაცი თავზარ დაცემული წამოხტებოდა და პირჯვარს იწერდა.

როცა რძალი წაუვიდა და მარტო დარჩა დედაბერი, მა- შინ უფრო გაბოროტებული ულანდებოდა იმას მალხაზა; ხან- დისხან ყელში წაუჭერდა და ახრიალებდა, ახრჩობდა. შეში- ნებული დედაკაცი მეორე დღესვე ეკლესიაში. მოახსენინებდა

მიცვალებულს ასე თუ ისე. მიღიოდა საყდარში მისატანი ში-
სატანზე.

როგორ ფარფაშობდა მაშინ დავით-დიაკვანი და ფართი
ფურთში იყო! ისე დაშინაურებული დადიოდა ძალუა-მართასას,
როგორც თავის ოდაში, ისე ესაუბრებოდა გულგახეთქილ დე-
დაკაცს საიქიოზე და იქაურ ყოფა-განსვენებაზე, თითქო თი-
თონ უცხოვრიაო იქ და უველაფერი უნახავს, კედელ-კუთხე
დაუთვალიერებიაო.

— მაშ, ჩემო დედავ, მაშ! საძნელოა სულეთის გზა და
სახიფათო: საშინელი ეშმაკები უხვდებიან წინ, სამოთხისკენ
არ უშვებენ, ელობებიან, ებლაუჭებიან, ჯოჯოხეთისკენ ეწე-
ვინ; არც აჭმევენ არაფერს, თუ ნაკურთხი არ არის და პირ-
ჯვარ გადასახული,—უქადაგებდა დედაბერს დავით-დიაკვანი და
ასწავლიდა, საფერისცვალებოთ როგორი ტაბლა უამებოდათ
განსვენებულებს ან სულომოფენიბას როგორი...

ბექავ, დავით-დიაკვანო! ერთი-ორი კიდევ უნდა გყოლოდა
იმისთანა მსუქანი მკვდარი, რომ კუკუხოებ ამოყრილი აღარ
გევლო და ქონი მოგება, დაბზინებულიყავ.

მაგრამ დავით-დიაკვანის რჩევაც ველარა სჭრიდა: არ იქნა,
ვერ დააწყნარეს მიცვალებული, ვერ განუსვენეს მას, ვერ მია-
ხედეს ის საიქიოსკენ! სულ სააქაოსკენ იმზირებოდა ბექავი,
ერთი ფეხი ამ ქვეყანაზევე ედგა, ერთი თვალი შინათკენვე
ეჭირა, მრისხანე თვალი. მტრულათ წარმოსდგომოდა მიცვა-
ლებული ჭირისუფალს, მოსვენებას არ აძლევდა მას; ძილში
აღარ აკმარა ტანჯვა, ცხადათაც მიაღწია მის ყურს თვისი ხმა:

შუალამე გატეხილი იყო, როდესაც გულის ძილიდან გა-
მოაღვიძა ძალუა-მართა შვილის ძახილმა.

— დედი, დედი! შემოესმა დედაკაცს და თვალები ლია
დარჩა.

ჯერ გონს ვერ მოვიდა ბექავი, ეგონა მალხაზა ცოცხალი
ჰყვანდა და ეძახდა, მაგრამ გონება რომ მოიკრიფა, შეშინდა,
ათრთოლდა! გათენებამდის ჭირის ოფლს ასხამდა.

ამის შემდეგ ძალუა-მართას ხშირად ესმოდა მალხაზას გაჭირვებული ძახილი; იძულებული შეიქმნა სხვა დედაკაცი დაეწვინა ღამე თავისთან, მაგრამ იმანაც ვერა უშველა-რა. ან კი რა ფარხმალი იყო ვიღაც მძინარა დედაკაცი მალხაზას წინააღმდეგ, რომელიც თავისუფლათ დაღიოდა თავის სახლში და ხმას აძლევდა ხან აქედან, ხან იქიდან?!

**

გაწამდა ძალუა-მართა. ნანინანატრი შვილი დაჭკარგა და განუწყვეტელი ცრემლითაც ვეღარ გაინელა ცეცხლი, ახლა ამ უშრეტელ გენის აუტანელი გრძნობა დაერთო ზედ, ის გრძნობა, რომ დაკარგული შვილი მტრად გადაექცა თავის მშობელს და საიქიოდან მოსვენებას არ აძლევდა იმას: განსვენებული არამც თუ სიზმრათ ეჩვენებოდა მას სხვა და სხვა საშიშ სახით, ცხადლივაც შესძლო იქიდან ხმის მოწვდენა და ხშირათ ეძახდა გაჭირვებულის ხმით.

შიშმა მოიცვა დედაკაცი და ძრწოლიმ: ეშინოდა მას საყვარელი შვილისა, მის ხილვას უკრთოდა, მის ხმაზე თრთოდა და ეს უშეგავსი შიში გამოუთმელ ტანჯვას ჰბადებდა მის გულში, ტვინს ურევდა მას, სასხლს უშხამავდა.

— ვაიმე, შვილო საყვარელო, ვაიმე, რომ მოგისპე სიცოცხლე ტკბილი და დავიწვი! მყვედრიდი განა, შვილო, როდესაც უკანასკნელათ გაიბძოლე ჩემ უბეში. და ბოროტათ შემომხედე.

— მე ვარ, ხალხო და ჯამაათო, დამნაშავე, მე! ნეტავ მორჩილი არა მყოლიყო შვილი, იქნება არ დაეჯერებინა ჩემი სიტყვა და აგვიდენოდა უბედურება. ეხლა რაღა ვქნა, რაღო ვუშველო ან იმას, ან ჩემ თავს?..

მაინც ვეღარაფერი უშველა ვერც მიცვალებულს, რომ განსვენებინა მისთვის და დაეწყნარებინა, ვერც თავის თავს, რომ ცოტა მაინც დაემშვიდებინა თავის გული და გონება. არაშე თუ ვერაფრით განუსვენა თავის მალხაზას და ვერ მისცა

გზა. ხსნილი საიქიოს, არამედ უმეტეს შეაშფოთა ის და წუთი-სოფლისკენ გადმოადგმევინა მის აჩრდილს ფეხი. ეს სულ და ჭარბებულმა მწუხარებამა ჰქმნა, რომელშიაც რაღაც ურჩობა იხატებოდა განგებისადმი, განუწყვეტელმა ტირილმა ჰქმნა ეს, რომ მკვდარს ფეხი გააქნევინა.

მართლაცა და ძალიან გადააჭარბა ძალუა-მართამ. სადა-ური იყო?! სულ ტიროდა, არც ერთ ამბავს ცხოვრებაში, არც ერთ გაფანცქალებას ბუნებისა, არც ერთ მიმავალ წამს არ გაუშვებდა ისე, რომ ზედ თავისი მკვდარი არ დაეტირებინა. შეიანი დღე იყო, კაშკაში, ის გაიძახოდა:

— ყველა მზის სხივით ტკბება მშვენივრით, შენ კი შავ მიწას ამოპტარებისარ, ვაიმე, ვაი!

ლრუბლიანი იყო დღე და წვიმდა, მაინც გასტიროდა:

— შავ მიწას ამოპტარებისარ გულალმა და ღვარი დაგდის ზედ მიწის ნაწური, ვუიმე, ვუუ!

სუყველაფერზედ ვაის აყრიდა საწყალ მიცვალებულს და უის აფენდა, არ დაასვენა იგი, ვერ მოასვენა. აკი საარაკო საქმეც დაემართა.

ერთხელ ნახირის მოსვლისას მორთო ძალუა-მართამ ბლა-ვილი:

— შენი ლრუბელა წინ მოდის, შეილო, შენ კი არსადა ხარ, რომ მიეგებო და შემოაბრუნო, ვუი, ვუი, ვუუ!...

შემოლამებისას რომ მორთო ბლუილი, მრავალმა შეიმალ-ლა, რომ ისევ გასძახოდა. ეჭოში იჯდა კუნძხე და ისე ტი-როდა. სოფელი მთლად მიწყნარდა, ძალლის ყეფაც კი მიჩუმ-და. ძალუა-მართამ მაშინ-ლა დაუშვა ხმა და შინ შესვლა დაა-პირა, მაგრამ დასუსტებულიყო და წაბარბაცდა; იქვე ბოძს მიეყრდნო დასასვენებლათ. ამ დროს მოესმა ზურგთუკანიდან ნელი ხმა: დედი, დედი! თანაც იგრძნო, რომ კუნძის გვერდ-ზედ ვიღაც იძროდა. შიშის ზარმა აათროთოლა დედაკაცი. უძ-ლეველი რამ ძალა ეწეოდა მას მიეხედნა მოჩვენებისკენ. მარ-

თამ უნებლიერ მიიღო იქით თავი და ნამდვილ თავის, მალხაზი კი დაინახა კუნძხე ჩამომჯდარი, ურუანტელმა დაუარა ტანში, ბეწვი აუშალა. მალხაზა შეიძრა, ადგა წელში გაიმართა, გა- დადგა დედისაცენ ნაბიჯი და ჩაანათა მას ჩასისხლიან ებული თვალები. მართამ ერთი კი შეჰკივლა და იქვე ჩაიკეცა.

სწორეთ ამავე დროს ჩანთავერიანთ ნინიკას გადმოვფლო სასაფლაოზე და ენახა, რომ მალხაზას საფლავიდან შავი რა- ლაც ამოსულიყო და სოფლისკენ დაშვებულიყო.

xii

ამ ამბის შემდეგ მიცვალებული არამცთუ მხოლოთ ხშას აძლევდა დედას, თითონაც ხშირათ ევლინებოდა მას: ხან ლოგინზე დაუჯდებოდა, ხან უკან აჰყვებოდა ჩრდილივით, ხან ბუხრიდან გამოჰქედავდა ჩასისხლებული თვალებით, ხან ჯამ- ჭურჭელს არახუნებდა, ან ხონჩებს აბრუნებდა. შეძრწუნებუ- ლი დედაკაცი დღისითაც ვეღარა რჩებოდა თავის სახლში. მარტო და უცხო ვინმე უნდა ჰყოლიყო განუშორებლივ, მაგ- რამ ამითიც ვერა ეშველა-რა: კოჭლი ოსანა კი არა, თვით დავით-დიაკვანიც გვერდზე უნდა ჩამომდგარიყო აქ. ისიც კი განცვიურებაში მოიყვანა ამ ამბავმა და თვალები დააჭყე- ტონა.

— ნეტა რა ჰსურს იმ საწყალს, ან რა დარჩენია ამ ქვეყ- ნათ ისეთი, რომ ესე დაუდგომლათ მოიბძვის აქეთკენ? ყო- ველივე საეკლესიო წესი მიგვიდევნებია, ყველაფერი შეგვი- სრულებია, არა დაგვიკლია-რა და რაღა აღონებს იმ უბე- დურს?! — ამბობდა დავით-დიაკვანი და ახალი ვეღარაფერი მოე- გვარებინა.

— აგერ, დავით, მალხაზას ხმა მესმის და თითონაც მალე შომეჩვენება, — თქვა მართამ და წალოს დააშტერდა.

— ჩვენთანა არს ღმერთი! — გადიწერა დიაკვანმა პირ- ჯვარი და ქუდს ხელი სტაცა.

ამ გაჭირვებიდან ისევ ოსანაშ გამოიყვანა ძალუა-შართა: ურჩია მკითხავისთვის ეკითხინებინა. დიაკვანიც მიემხრო ოსანას. მაშ რა უნდა ექმნათ? ღვთის გზით რომ ვერ მიაგნეს შიცვალებულის გასაგისს, ეშმაკის გზას მაინც უნდა დასდგომოდნენ: ორივე გზა ხომ საიქიოსკენ მიდის.

გ. ბარნოვი.

მ ს ხ ვ ე რ პ ლ ი

ფომედია სამ მოქმედებად

აღფ. დოდესი.

მოქმედება მეორე

სცენა წარმოადგენს მდიდარი შხატერის სახელოსნის. ჟატარა, კახტად მოწუთილი და მთლად სუნიელებით გაყდენთილი ათა ხია. მოლბერტი პალისანდრის ხისაა, ფანჯრებს ვარდის ფერი შირმები აქვს აფარებული. ძველებური შირთნერებები, ფაიფური, შინახერის ნივთები, მუმიები, დამნები, ალლებარდები, სხვა-და-სხვა გვარი არადი და წვრილი ნივთები შთსჩანან ეტაფერებზე. შიგნით, შეა-გულ დიდი ფანჯრაა. ფანჯრის მარჯვნივ, სიღრმეშივე, სასტუმრო კარგია, შიგნიღდან იღება. შარცხნივ სხვა ათახებში გამავალი კარგებია. ავანსცენაზედ შშეგნიერი ბაურთ სდგას დაქ-დაკულ გამოსაწევ ფიცრითურთ. სიღრმე-შევე, ფანჯრის წინ, ძალიან დაბალი და განიერი ტახტი სდგას.

არი (გაჯავრებული გაგდებს ხელიდგან კალაშია და სავარ-ძეში გადაწევება). გავათავე! მეგონაკი დასასრულო ველარ ველირსები-მეთქი... (დაწერილს კალათვალი-რებს). საბრალო კლემანსი! რას იფიქრებს, რომ წაიკითხავს? (ნამუნს გაჯავრებული). ნელა, შენ ეი... ნუ აბრაგუნებ!

*). იხ. „მოამბე“ № 9.

- ნამუნი** (ფრთხილად დაჭვეტავს კაჯებს, სკამს თავისს ადგილას, ავანსცენზე, დასდგამს ჩუქათა, თითებს ტუჩთან შიიტანს და თდნავის ზმით ოტევის): ნამუნი ჩუ... მუსი ჯავ-რობს... (წავა და სიღრმეში მდგრმ ტახტზე წამო-წვება).
- ანტო** (წერილს კითხულობს): „კეთილო მეგობარო, ყველა-ფერს ბოლო და დასასრული აქვს, ძალიან კარგსაც კი. აგრეთვ შვიდი წელიწადია ერთმანერთს ვეკუთვ-ნით...“ შვიდი წელიწადი!.. მაშასადამე, შვიდის-წლის სიცოცხლე, სიყვარული, ერთგულობა და სრული უარყოფა ყოველისტრისა მე შემომწირა... ყოველივე მიატოვა და დაივიწყა, რომ მე გამომყო-ლოდა... ჩემი მეგობარი, ამხანაგი, ჩემი საკუთრება და ნივთი იყო და უცბად... (წერილზე უჩვენებს). უცბად აი, რა მიუვა!.. (გაჩუმდება: ჩემსად და დაცინვით კითხულობს ისევ წერილსა). თქმა არ უნდა, სასიამოვ-ნო წერილია... ფილოსოფიურის აზრებით აღსავსე... ხე-ხე-ხე-ხე!.. აქ ცოტათი ხუმრობაც-კია: „შვიდი წელიწადი, ჩემო ლამაზო, სამხედრო სამსახურის ვა-დაა, რომლის შემდეგაც სრულიად თავისუფალია ადამიანი“... ხე-ხე ხე!.. რა სისულელე, სიმკაცრე და საძაგლობაა!.. არასოდეს ასეთს საზიზღარს წერილს არ გავუგზავნი. (წამოდგება, წერილს ბიუროზე შიაგ-ჩებს და აღელვებული წინ და უკან გადი-გამოდის). არა, ეს ტყუილი რა საჭიროა? ასე მდაბლად და მოტყუე-ბით განშორება რა საჭიროა? ის არა სჯობიან, გა-ნა, გულწრფელიად და პატიოსნურიად ვაცნობო, რა მიზეზია, რომ თავს ვანებებდ?... არა, ეს უფრო ადვი-ლი და უფრო პატიოსნურიც იქმნება... მაგრამ... არ შეიძლება... არა, არ შეიძლება! მაშინ უნდა ყო-ველივე ვუამბო, ჩემი საიდუმლო გავუმუდავნო... ამისი უფლება-კი არა მაქვს. და მეორეც, განა, ასეთ მიზეზებისა გამო დამთანხმდება და გამშორდება?..

უიცი, რა ადამიანიცა! მოისურვებს მუშაობასა, საკუთარის შრომით ცხოვრებასა და ჩემთან ერთად ყოველგვარს სიღარიბებსა და ნაკლულოვანებას იტეირობს... ამაზე-კი ვერ დავთანხმდები. ჩემთვის, როვსთქვა, კარგი იქმნება, მაგრამ იმისთვის?.. (ბიურან-სთან მივა). მაშ, თუ აგრეა, ეს წერილი ყველას სჯობიან... (წერილს აიღებს).. არა, რაღაც სიმხეცე, შეუბრალებლობა, სინდის-გარეცხილობა და საძაგლობაა, მაგრამ... მარგაროც უთუოდ ასეთს ბარათებსა სწერს ხოლმე თავისს სულიკოებს, თავს რომ მოაბეჭრებენ და მოშორებას მოინდომებს... ასეთს წერილს მართლაც შეუძლიან ყოველგვარი სიმპატია და სიყვარული უცბად დაუკარგოს, მოუშამოს ადამიანსა... მით უკეთესი, თუ ასე იმოქმედებს. დევ, შემიძულოს, მარტოდ მე ვიტანჯო! (წერილს დაჭიდვდავს). ნამუნ!.. სად მიიკარგა?.. ნამუნ!

ნამუნია

ტახტიდან). აქა, მუსი!

ანრი.

როგორ, ისევა წევხარ? ყველაფერი რიგზე დაალაგე?

ნამუნი.

გაათავე.

ანრი.

ყველაფერი გაიტანე, რაც-კი გამცემდა: ნახატები, სურათები, ტანისამოსი?

ნამუნი

(დივანიდან უჩვენებს). ი! ყველა აქა (მეორე ათახზე უჩვენებს).

ანრი.

კარგი, მაშ... უნდა დაიკეტოს შხოლოდ და გასალები შეინახოს... თორემ თუ შევიღნენ, მიჰევდებიან... ჩვენი სურათებიდგან რაღამდენი ჩამოიტანე? (სახელისნოს მიწერდ-მოწერდავს). ოთხია... კრარა... (ჩამოიდებს ერთ-ერთ მოლექტიდგან ბროწეულის ფერს ხავერდის ქვედა და ნამუნს გადუგდებს). ეს ქუდიც წაიღე... იკიან, რომ ამისთანა რამეებს არა ვწყალობ... ამ გონტოსავით ხელთერა და კოპწია უნდა ვიყო, რომ ასეთი ქუდი დავიხურო!.. ეს იმ შხატვართაგანია, რომელთაც ჰგონიათ ხელოვნებისათვის ნი-

- ლაბის ტარება უთუოდ საჭიროა. (ნამუნი ქუდის მე-
ორე თავახში გაიტანს). საბრალო დედა! როგორ კმა-
ყოფილი დარჩება, ამ სიმღიდორეში რო მნახავს!
(წერილს დაჭურებს, რომელიც ხელში უჭირავს). მაინც
ეს კომედია მძიმე ასატანია! (ნამუნს, რომელიც თა-
ხიდგან უკან გამოდის). კარგი, ნამუნ, შენი დღეს
კმაყოფილი ვარ, მაგრამ, იცი რა არის: ხომ იცი,
ჯოხით ცემას გემუქრებოდი ხოლმე... მაგრამ აქამ-
დის ჯოხის გემო არ გავიღია,—იცოდე, თუ?..
- ნამუნი.** (მოკრძალე ღიმილით) უ—ალლაჲ! მუსი კარქი!
- ანრი.** გაიგონე: მაგრამ თუ ოდესმე დაგიყბედნია, რაც აქ
ამბავი ხდება,—გეფიცები, მაშინ-კი ვეღარ გადამირ-
ჩები და გაჭმევ ჯოხს,—როგორც შენ იტყვი ხოლ-
მე,—იმდენსა გცემ, რომ თქვენს ქვეყანაში არც
ერთს ვირს არა ჰზმანებოდეს იმდენი ცემა! გესმის?..
(შეშინებული ნამუნი უკან-უკან დაიწევს). მაშასადამე,
ენა მაგრა დაიჭი...
- ნამუნი.** ნუ გეშინიან, მუსი...
- ანრი** (იქით). საბრალო! კარგია, რომ საქმე მუქარით თავ-
დება ხოლმე. (ხმა-შაღლა). აქ მოდი; აპა, წაიღე და
მაღამ კლემანსს მიუტანე. უთხარი, რომ... მაგრამ
არა, ნურას ეტყვი. მიეცი წერილი და სხვა არასფე-
რი, ყოველივე შიგა სწერია... (ნამუნი წერილს გამო-
ართმევს). ქვეით რომ ჩახვალ, ბიძია უუსტენს მოა-
გონე, რომ დღეს ჩემი ბინა და სახელოსნო აქ არის...
არავის უთხრას, რომ იქ, მაღლა სართულში, ვდგე-
ვართ.
- ნამუნი** (კარებთან მიირბენს და მთფად გამოდებს). ი!.. მუსი...
ნახე!..
- ანრი.** რა არის?
- ნამუნი** (კარებზე მიკრულს საღარბაზო ბართს უჩვენებს). ნახე?
ანრი. ა-ა! ეგ კარგია... ჩემი საღარბაზო ბარათი მიაკარ?..
კარგა მოგიფიქრია.

- ნამუნა.** (იცინის). კინც მოვიდა, იფიქრა, შენი სახლი აქა.
ხი-ხი-ხი-ხი!..
- მარგარო.** (კარებში გამოჩენება). შენ ეი, თურქო, რასა შვრე
ბი (თავს შემოჭეროვს და სახელისწილში ანრის დაინახავს).
ეპე, თქვენც აქა ხართ? (შემოდის).

გამოსტლა მიორე

იგინიგე და მარგარო

- (ბრტყელი, გაწითლებული სახე და ქერა ბაჟენბარდები აქვს).
- ანრი.** (წინ შეეგებება და დაბალის ხმით სწრაფად ეტკის): ა,
გამარჯობათ, მარგარო, გამარჯობათ...
- მარგარო.** მე თქვენგან მოვდივარ—იქ, ზევით, ვიყავი... (მით-
ხედ-მთისედავს). როგორ, ახლა გონტოს სახელოსნო-
ში მუშაობთ?
- ანრი.** ჩუუ, ჩუუ!.. ამ უამაღ ჩემი ბინა ეს არის:.. მერმე აგი-
სნით, რათაცა...
- მარგარო.** (მოუხეშავად იცინის). რა უნდა ამისნათ, ისედაც კარ-
გად მესმის... (გათამაშებით). უთუოდ ვინმე ლამაზ
გოგოს უცდით და არ გინდათ მესუთე სართულ-
ში აიყვანოთ... და მეორეც, არც ისე ლამაზათა
გაქვთ იქაურობა მოწყობილი, რომ პირველად ნა-
ხევისათვის სასიამოვნო იყოს...
- ანრი.** რა მიხვედრილი კაცი ხართ!.. კი არა დაგემალებათ-
რა. და!
- მარგარო.** ეპ, საყვარელო, ცოცხალი ბუნების პატრონები ერ-
თმანეროს ყველაფერს მალე მიუხვდებიან ხოლმე.
- ანრი.** (ნამუნს, რომელიც კარებთანა სდგას). შეგიძლიან. წა-
ხვიდე, ნამუნ.
- მარგარო.** ეი, თურქო! ძირს რო ჩახვალ, ჩემს კაბრიოლეტს
ყური უგდე. უუსტენს ცხენისა ეშინიან.

- საბუნი** (სისარულითა ხტის). ო! ცხენი, ცხენი!.. კარქი!.. (მირბის).
- მარგარო** (გარებს ჭიბულავს). ზუთიოდ წამს ხომ კიდევ შეგვიძლიან ვიღაპარაკოთ?
- ახლი.** საქმე იმაშია, რომ, იცით...
- მარგარო.** ეჭ, ნუ სწუხარო; პირველიდ ნახვისას უთუოდ დაიგვიანებენ ხოლმე, ჩვეულებათა აქვთ; მერე-კი, ჩვენი საქმეა... და ამას გარდა, ვნება ვნებათ დარჩება, ჩემო ძვირფასო, და საქმეც ხომ უნდა გაკეთდეს... მითხრეს, რომ გუშინ სალამოთი ფაბრიკაში ყოფილნართ ჩემსას?
- ახლი.** ჰო, მაგრამ...
- მარგარო.** ცოლმა მითხრა... დიდ-ძალი შპალერები შემომიკვეთეს, იმისათვის წავედი... (უურში ჩასჩურჩულებს). ორი კაი გოგონაც ჩამივარდა ხელში... სულ ახალგაზრდები... თეატრში მყვანდა, შატლეში... მართლაც-და, საუცხოვო წყვილია! თორემ ია, ჰნახავთ.
- ახლი.** მოვედი, რომ...
- მარგარო** (იცინის). ჰო, ვიცი, ვიცი!.. იმიტომ, რომ ბარათის ვალა, წარსულ თვესავით, ახლაც სხვა დროსათვის გადაგვედვა, არა?
- ახლი.** მართალია, მაგისთვის მოვედი.
- მარგარო.** ძალიან ვსწუხვარ, ჩემო კარგო, მაგრამ... არაფრის გულისათვის არ შემიძლიან!
- ახლი.** ნუ თუ?.. (თავს იმაგრებს) კარგი.
- მარგარო.** ჯერ ერთი, ეგრეც რო მოვქცეულიყავ, ცუდს სამსახურს გაგიწევდი...
- ახლი.** ოჭ, მიყავით წყალობა და მაგ კაი ფრაზებს ტყუილად ნუ ჰხარჯავთ, მარგარო!.. სამსახური მუდამ სამსახურია: ცუდია ხოლმე მხოლოდ მაშინ, როცა უარს გვეუბნებიან. მაგრამ, როგორც იცოდეთ, ისე მოიქცით; ამ ეამად, მართალია, საქმე ცოტა დამეცარა, მაგრამ არა უშავს-რა...

მარგართ (მსრუბას აიწევს). საქმე კოტა დამეცარაო?.. ამას უყურეთ ერთი-და!.. თითქოს არ ვიცოდე, რომ თავი უკვე მარცულში გაქვთ გაყოფილი და ენა გადმოგდებული... კარგით, ტყუილად ნუ უარობთ. იქვენზე უკვე თქვენი მდგომარეობა მე მაქვს შეტყობილი... (ანრი მოუთმენელად შეირჩევა). (მარგართ ხმას დაუდაბლებს). პირველი დღე ხომ არ არის, ჩემო კარგო, რაც თვალს გადევნებთ. დიდი ხანია, პირ-ქარმა დაპბერა და ალარავინ რას გიკვეთავთ, სამუშაო ალარა გაქვთ. რასაკვრელია, უნებურად ბინა უნდა გამოგეცვალათ, ავეჯი და მოწყობილობა გაგეყიდნათ. და ამ დღეებში...

ანრი. M-er მარგარო! ეგ ხომ ჯაშუშობაა!

მარგართ. რასაკვირველია! საჭირო იყო დაწვრილებით მცოდნოდა თქვენი გარემოება, რომ როცა უკანასკნელს გროშებს მიჰხარჯავდით, სწორედ მაშინ მხსნელად ეს პირობის წერილი გამოგცხადებოდათ!.. (ჯიბიდგან გერბის ქაღალდზე დაწერილს პირობას ამობიდებს).

ანრი (ზურგს შეაძლია). ისევ თქვენსას იმეორებთ?.. მაგ პირობით, თუ ღმერთი გწამთ, თავი ნუ მომაბეზრევით.

მარგართ (უკან შისდევს და ხმა-ხადლა უკათხავს): „მე, ქვემორე ამისა ხელის მოწერელი, პატრონი სენ-უაკის მიდამოებში მდებარე შპალერების ფაბრიკისა, პოლენ მარგარო...“

ანრი. არა, მითხარით ერთი, ეს ოინები რა საჭიროა, როცა იცით—თქვენთან სამსახური ურა მსურს და არც თუ ღდესმე ვისურვებ?

მარგართ. პირობები ძალიან სახეიროა.

ანრი. დამეკარგეთ აქედან! (მოლებერტის მიუჯდება).

მარგართ (უკან შისდევს). წელიწადში თხუთმეტი ათასი ფრანკი!

ანრი. ტრა-დერი-დერა!

მარგართ. და მუქთი ბინა ფაბრიკაშივე.

ანრი. ყურის გდებაც-კი არა მსურს... ტრა-დერი-დერა-ლა-ლა-ლა!

მარგარო (ქადაჭვს ჯიბეში ჩაიდებს). ჰო, ჰო, ვიცი, გავიგე... ტრა-დერი-დერა-ლა-ლა და სხვ. მხარული სიმღერაა, არა! დიდებისა, სახელისა და ხელოვნებისათვის მთელი სიცოცხლე მშიერმა გაატაროთ... ტრა-დერი-დერა! წელებზე ფეხს იდგამდეთ და ერთს წამს არ ისვენებდეთ... ტრა-დერ-დერა! და ორმოც-და-ათის წლისა საღმე მშიერი გადიღრძოთ, გაყინულ სახელოსნოს ბნელა კუთხეში. ტრა-დერი-დერა-ლა-ლა-ლა!.. (დაჯდება). თქმა არ უნდა, სახალისოა!

ანრი (იცინის). ჭკვიანი სიცუკა მოსასმენადაც სასიამოვნოა. მართალი ხართ, მარგარო; ძან უწყობთ ხელს ხელოვნებასა!

მარგარო. არა, გიუგბს რისთვის წავახალისებ! მითხარით, განა, უგნურობა არ არის ამ თქვენს სიღარიბეში სერიოზული მხატვრობა... ე. ი. შექმნა ისეთ სურათებისა, რომლებსაც არავინ არა ყიდულობს? დღეს, ჩემო კარგო, მთელი ძალა მრეწველობის ხელშია, მხოლოდ და მხოლოდ მრეწველობას უნდა მოჰკიდოს ხელი ადამიანმა. ერთად-ერთი გამარჯვებული მხატვრები ასინი არიან, ვინც ჩემსავით ხელოვნება საფაძროკო წარმოებას დაუკავშირა და წარმოშობა...

ანრი საბერიჭაო მხეცი, ე. ი. ორ-თავა ხბო, რომელსაც დღეს სამრეწველო ხელოვნებას უწოდებენ.

მარგარო (დაზიზდებით). აბა, რას ამბობთ!

ანრი (წამოდგება). ვიცნობ იმ მხატვრებს, რა შეიღებიცა ბრძანდებიან! ეს ის ვაჟბატონები არიან, წუმწუმის კოლოფებზე რომ ძველის ხელოვნების ნიმუშები გამოჰყავთ. საკვირველი აღარ უნდა იყოს, მაშ, თუ მალე მიღოსელს ვენერას მუცელში ციფერბლატს გუკეთებენ. და სასაღილო ოთახების საათის სახით ქვეყნად მოჰყენენ გასასაღებლადა!

მარგართ (წენარად). მერე, რა დიდი უბედურება ეგ იქნება? გაიყიდოს, თორემ. (სცენის უკანიდგან სიმღერის ხმა ისმის):

„ვებრძვით ქალაქის მკვიდრებსა!..

ანრი (მარგართს). აი, ეს თქვენ შეგეხებათ! (კარები გაიღება).

გამოსტლა მესამე

იგინიგე, უურდევილი-მამა, მერე ჰიპეტი.

უურდევილი-მამა (მეტად მხიარულად შემთდის, ჯოხს აქნებს და მდე-
რის). „არასოდეს სამშობლოში...

(უკან მიძრუნდება). მოიცა, ჯერ ნუ შემოხვალ... მერე დაგიძახებ...

მარგართ (შემჭრთალი და თვალებ-დაჭუეტილი უურდევილი-მამას შესრ-
ცერის). უფალი შემიწყალენ, ეს რა არი?

ანრი (ჩიმას მიეგებება). გამარჯობა... როგორა ხარ?

უურდევილი-მამა (დოკაზე ხელს გაუწეაპუნებს). შენ, შენ როგორ-
ლა ხარ, არამზადავ? შენ უნდა გიკითხოთ, თორემ
ჩვენ რა?

მარგართ (ანრისთან მივა). მაშ აგრე, საყვარელო მეგობარო,
როცა-კი მოისურვებთ, ამ ჩვენს ბარათზე ხელს მო-
აწერთ და...

ანრი. არასოდეს...

მარგართ. თქვენ მხოლოდ თვალით ზანიშნეთ და... მშვიდობით.

(მამასაც თავს დაუკრავს). მაქვს პატივი გამოგემშეიდო-
ბოთ.

უურდევილი-მამა (თავს უკრავს). M-er... (იქით). კაი მოგივა,
კაი რამ შენა ხარ! (იფინის).

მარგართ (იქით, გასვლისას). რასა ჰგავს! (მიდის).

ანრი. მარტო ხარ? დედა სადღაა?: ან ლუიზა?

უურდევილი (კარებს გაჭურებს). უთუოდ მალე მოვლენ.

უურდეილი-მამა. არა, წარმოიღინე, დღეს დილით, ის-კი იყო
ყავასა ვსვამდით და ვნახოთ, ზარი დაირეკა... ისე
წყნარა, ნელა, გეგონებოდა, ვინმე გლახაო... და
შემოვიდა— იცი, მერე, ვინა?.. არა, სწორედ სასა-
ცილოა! აბა, გამოიცანი, ვინ უნდა ყოფილიყო?..
ვინა-და, პიპეტი! გახსოვს? ჩემი ძველი მეგობარი
პიპეტი!.. (პიპეტის ეგონა მექანიზმი, შემოვა და ფრთ-
თხილად გადასდგას წინ ბიჯსა. გარეპნობით, ჰატანა
ტანის, მეტად გახუნებელი კაცია; თმა გრძელი აქვს, მხ-
რებზე აურია წუბისად, წილი შლაპა ჭიროვას; გულზე
ვეება, სეჭში დასაჭერ სარკის ტელა ლანეტი ჭკიდია.
მთლად ერთანად უურდეილის-მამის კარიგატურას წარ-
მთადგენს, მსალენი ცოტა დაპატარავებულს. იღლიაში
სურათი უჭირავს).

ახრი (პიპეტის ვერ შეჭირებულავს). როგორ, ის ყაჩალი! მერე,
როგორ გაბედა? (პიპეტი საჩქაროდ და ჩუმად უკანვე
გაბრუნდება).

უურდეილი-მამა. ჩშ... ნელა!.. აქ არის... ჩუმათ... საცოდა-
ვი, იცი, თურმე ვცდებოდით იმის შესახებ.

ახრი. ფულები დაგიბრუნა?

უურდეილი-მამა. ჰო... თითქმის რომ აგრეა საქმე. მირჩევს,
ერთს შეტად სახეირო საქმეში მივიღო მონაწილეო-
ბა... შენთანაც იმიტომ მოვედით, რომ მოგლაპარა-
კებოდით... აი, თორემ ჰნახავ... პიპეტ! მოდი, რა-
ლა, ბებერო... პიპეტ! (პიპეტი შემოვა. უურდეილი
გულეკეთილად უდიშის). შემოდი, შემოდი.

ახრი (ციფად). გამარჯვებათ. (პიპეტი თავს დაუკავას და წი-
ბარბაცებს).

უურდეილი-მამა. (დაიჭირს). ფრონილად... (შვილს). ცოტა შემ-
კრთალია, გესმის... სცხვენიან... და მეორეც, გა-
მოგიტყდები, ცოტა ვისაუზმეთ, იქ... ფილიპესთან
და თითო ჭიქა 1811 წლ. თეთრი ღვინო დავლიერ,
ნამდვილი კუდიან ვარსკვლავის ღვინო, გესმის... ხე-

ხე-ხე-ხე! პიპეტი! (ნიდაუგს მიახლის. პიპეტი ფეხზე
ძლიერსა სდგას).

ანრი (დიმილით). აჲა, ეხლა-კი მესმის!.. კიდეც იმიტომ
იყო, რომ ცოტა შენც... ისე რაღა...

უკრდებილი-მამა. რას იზამ! პიპეტის მოსვლა ცოტათი მაინც
არის უნდა დაგვენამა. (პიპეტს მსარზე ხელს დაჭკრავს).
ხომ იცი, როგორც შენთვის ფრანკეიროლია, ისე
ჩემთვის ეს არის... მართლა, ჯერ არ გინახავს
ფრანკ... (იქთ) აკი არ წამამცდა!

ანრი. რა არ მინახავს?

უკრდებილი-მამა (აბნეგით). მინდოდა მეკითხნა, არ გინახავს...
ე. ი. არ გაგიგია-მეთქი?.. ფუ, დალახვრა ეშმაკი!
სულ დამავიწყდა, რა უნდა მეთქვა.

ანრი (იღიმება). ეგ უთუოდ სულ კუდიან ვარსკვლავის
ლვინის ლინებია.

უკრდებილი-მამა. მართალია, მართალი, ლვინის ბრალია. (პიპეტს დიმილით შეჭურებს).

პიპეტი (სმა-მაღლა და უზრუნველად სარსარებს). ხა! ხა! ხა! ხა!

უკრდებილი-მამა (მსარზე ხელსა სცემს). აი, ეშმაკმა-კი წაილო
შენი თავი, ბებერო, აჲა! რა მხიარულია ეს დასა-
კუევი! მახსოვს,—ეს რომ სახელოსნოში შემოვიდოდა
ხოლმე, ყველას გულზე მოეშვებოდა. ყველას რა-
ლაც ნუგეში მიეცემოდა ხოლმე!..

ანრი. მართლა რომ მხიარულია.

უკრდებილი-მამა (პიპეტს). რატომ არ დაჯდები, მეგობარო?..
მოიცა, აგრე უფრო სუბუქად იქნები (სურათს გამო-
ართმევს და სტელათი გასწორებავს).

ანრი. ევ რაღა არის?

უკრდებილი-მამა (მნიშვნელოვანად). ჩემი უკანასკნელი სურათი
„ადონისის სიკედილი.“

ანრი. აჲა, გაათავე?

უკრდებილი-მამა. ერთი შეპხედე-და... ჲა? მგონი, რომ კარგად
გამოვიდა, არა? (წერა თითით ანიშნებს, რომ კარგია).

- ანრი (ხელში სურათი უჭირავს). ჰო.
- უურდეილი-მამა (ჰიპეტს ჩემათ). ვშურს. (ხმა-მაღლა შვილს).
- შეპხედე ერთი, შორის მანძილი როგორ არის გამოყვანილი-და... რა სილრმეა, ჰა!.. რაღაცა სითბო ერყობა თითქოს!.. სულ ცხებით არის გამოყვანილი... (ჰიპეტს). შენ რაღას იტყვი, ჰიპეტ, როგორია?
- შიშეტი (სურიზილად). ხარია, ხარი.
- ანრი (შიუბრუნდება). რაო?
- შიშეტი. ხარი.
- უურდეილი-მამა. ჰო მართლა! ამ სიტყვას ჩვენს სახელოსნოში ვხმარობდით ხოლმე... როცა ბარონთან ვმუშაობდით... თუ რომ ვისიმე ნახატი ლამაზად, არა ჩვეულებრივ კარგად მიაჩნდა, ამ სიტყვით ახასიათებდა უთუოდ: ხარიაო!.. მაშ, გვონია, ბებერო, რომ ხარია?.. მეც მაგ აზრისა ვარ (შვილს სურათს ჩამოართვეს).
- ანრი. აიქ დადე... როცა ჯაჭვონის აგენტსა ვნახავ, ვეტყვი წაალებინოს.
- უურდეილი-მამა. შემეძლო თვითონ მე მიმეტანა...
- ანრი (საჩქაროდ). არა, არა... რა საჭიროა... ამ დღეებში უთუოდ ვნახავ.
- უურდეილი-მამა (იღიმება). საქმე ის არის, რომ აქ... (ჯიბეზე ხელს დაირტყავს).
- ანრი. კარგი, მაგისათვის მე ვიზრუნებ.
- შიშეტი (ჩემად, მამას) საქმეზე მოელაპარაკე, რაღა...
- უურდეილი-მამა. ჰო, ჰო, ახლავე... (სახელისნოს ათვალიერებს).
- მართლა, ანრი, ჯერ ხომ ახალს ბინაზე გადმოსვლა არ მომილოცნია... რა სიმდიდრეა და რა მორთულობა, შვილები!
- ანრი. ჰო, არა უჭირს-რა.
- უურდეილი-მამა. არა უჭირს-რაო?.. გესმით!

შიშეტი (თვალთან თავისს ვეება დორნეტს მიიღანს). ოპო! უთუ-
ოდ კოტი არ დაგიჯდებოდათ.

უკრდეილი-მამა (იცინის). ხა-ხა ხა! ექსპერტმა როგორ მალე
შეპირა-და.. გესმის, რას ამბობს?

ანრი. დამფასებელი ზომ არ არის?

უკრდეილი-მამა (სახელთსწოში გადა-გაშოდის). ღიახ, დამფასებ-
ლობს, ვაჭრობს იშვიათ ნივთებითა, აღადგენს სუ-
რათებს, ძველი მხატვრობა ახალს ტილოზე გადააჭვს
და, ვინ იცის, კიდევ რა ასტატია! ყველა ხელობა
იცის. და ახლა-კი გამოიგონა ახალი საშუალება
სურათების გაახლებისა...

შიშეტი (იქო). ძლივს!

უკრდეილი-მამა (ეტაჟერიდან მინანქარ-გადაკრულს თევზს გადმო-
იდებს). ოპო! შენც გაგიტაცა კერამიკამა?..

ანრი. მე? არა.

უკრდეილი-მამა. როგორ თუ არა! მაშ, ეს რა არის!.. რა მშვე-
ნივრებაა!.. ჩემს პალისს საუცხოვო წყვილობას გაუ-
წევს..-

ანრი (საჩქაროდ). სამწუხაროდ... საჩუქრათა მაქვს მიღებუ-
ლი და არ შემიძლიან...

უკრდეილი-მამა (გულნაკლუად). მე ეგ არც-კი მიფიქრია...
მადლობა ღმერთის! მე თვითონ საკმაოდ მდიდარი
კოლექცია მაქვს. (ზიშეტი). კლუნის მუზეუმი ოცი
ათასს ფრანკს იძლევა.

შიშეტი (დორნეტს გაიკეთებს). ოცი ათასს ფრანკს!.. მაშ, შე-
გიძლიან...

გამოსილა მიოთხვა

იგინიგე და ნამუნი.

ნამუნი. გამარჯობა!

უკრდეილი-მამა. აპა, შენა ხარ, ყაჩალო?.. (ზიშეტი). შენ ხომ
ჯერ არ იცნობ, ჩემი შვილის ყაჩალია; შეპხედე, აბა,
რა ტიპია.

ანრი (ნამუნისაკენ წავა). ჰ, რაო?

უურდეილი-მამა. ეი, ნამუნ, აქ მოდი!

ანრი (მამას). უკაცრავად... ერთს წამს. (ნამუნს). ნახე?

ნამუნი. ი-ი!

ანრი. მერე, რა გითხრა?

ნამუნი. მაყაშ, არაფერი. ნამუნი წიგნი მისცა... მაღამა წიგნი აიღო... გითხრა: „ოი, ღმერთო, ღმერთო! მერე თეთრი იყო, თეთრი, ხელი კანკალებს, როგორც ბებერი...

(ანრი პირს შიიბრუნებს, რომ მღელება დაჭვარდს).

უურდეილი-მამა (მარცხნივ პიპეტს გსაუბრება). მაშ, რამდენი გინდა? ოთხასი თუ ხუთასი?

იპეტი. ხუთასი, ჩემო მეგობარო, ხუთასი ფრანკი.

ნამუნი (მაჯვენივ, თანაგრძნებით შეჭურებს ანრის). რათა, მუსი, რათა? შენა იტირა?.. გოგო-და იტირა?.. რათა გოგო?.. გოგო ფინთი... ღოლი-ღაკდარი ოთხი გოგო იყო, ოთხი... მაყაშ იტირა, არაფერი... სულ გაიცინა, სულ გაიცინა... (იცანის).

უურდეილი-მამა. მაგას რას უამბობ, ნამუნ? უთუოდ სასაცილო რამ იქნება? ის ხომ არ არის, ალაუირი როგორ აიღეს? (პიპეტს). ე, მეგობარო, უნდა ყური ზაუგდო ალუირის ალებას როგორ მოუთხრობს!.. (ნამუნს). აბა, პატარა მაიმუნო, მოდი ერთი, გვიამბე.

ნამუნი (გაჯავრებული). მე ნამუნი, არა პატარა მაიმუნი... თუ მე პატარა მაიმუნი, შენა ბებერი მაიმუნი... (პიპეტზე უჩვენებს) ეს უფრო დიდი ბებერი მაიმუნი... იგრე არა მინდა თქვა. (ბურნუსში გაეხვევა და თაჭმა-წონებული გაჭმორდება).

უურდეილი-მამა (პიპეტს). ხა-ხა-ხა! ჰელავთ, როგორი წყენა სცოდნია ამ ყაჩალისა?.. ანრი!

ანრი (ფიქრიდან გამოერკვევა). მამი!

უურდეილი-მამა. უბრძანე ერთი, ალუირის ალება გვიაშბოს... პიპეტმა გაიგონოს,

შიპეტი (ჩუმად). სჯობდა საქმის თაობაზე მოპლაპარაკებოდი?..

უურდეილი-მამა (ჩუმადვე). ჰო, ჰო, ახლავე, მოიცა.

ანრი. ნამუნ, გვიამბე, გეთაყვა, ოქვენი ქალაქი ფრანგებმა როგორ აიღეს?

სამუნა (რბილად). თუ შენ გაიცინა, ნამუნი თქვა...

ანრი (დიმილით). ჰო, კარგი, კარგი, გავიცინებ, გვიამბე, აბა.

ნამუნი. აი! ჯერა მოიდა ინგლიზი, დიდი ზარბაზანი—ბუმ! ბუმ! ბუმ! არაფერი წაიღო, წავიდა.—პორტუგიზდა მოიდა, კიდევ ზარბაზანი—ბუმ! ბუმ! არაფერი... წავიდა.—ულატრიხია მოიდა, ზარბაზანი—ბუმ! ბუმ! არაფერი, წავიდა. ფრანსუა მოიდა, ტარა-ტატა, რატატა, რატატა! ქნა..—ყველა წაიღო. (უველანი იცინან).

უურდეილი-მამა (პიპეტი). როგორ მოგწონს, ჲა? ხომ ცოცხლად დასურათა! ტარა ტატა! ტარა-ტატა! თითქოს თვალითა ჰსედავ, ჩვენი ვენსენის მსროლელი. ჯარი როგორ მიღისო!!.

შიპეტი. მართალია, ძალიან კარგია... ტარატა! ტატა! მაგრამ, ერთი ჩვენ საქმეზედაც მოელაპარაკე-და...—

უურდეილი-მამა (მჟეტმენელად). ჰო, კარგი!.. ეი, ყაჩაღო, ყოჩაღ, კარგი ხარ, მაგრამ ახლა შეორე ოთახში მიბრძანდი და იქ აბრახუნე, რამდენიც გინდოდეს!.. (შვილს). ამ ველურებს შესანიშნავი ყურთა სმენა აქვთ და ჩვენ-კი არ გვინდა, რომ დრომდე ეს საქმე გამოვამულავნოთ...

ანრი. რა საქმე?..

უურდეილი მამა. აის, ახალი საშუალება... პიპეტის გამოგონება... გასაკვირველი რამ არის სწორედ... ამ საშუალების წყალობით ამიერიდგან ძველობა სურათებისა გაუქმებული იქმნება... საუკეთესო ნახატები მუდამ. ახლები იქმნებიან!

ანრი. ნუ-თუ მართლა? (ნამუნს). წადი, მეგობარი. (ნამუნი მარცხნივ გავა).

ჟურდეილი-მამა. გესმის, პიპეტს მოელს. ქონებას შესძენს!.. და აი, ეს კეთილი. ადამიანი ამ ქონებას შუაზედ მიყოფს...

შიშეტი. დიახ... მაგრამ, რომ...

ანრი. მაგრამ... რა?..

ჟურდეილი-მამა. შენ, რასაკვრელია, მიშვედები... ალდგომის გოჭივით მთლად გაცემლეფილია: არც საცვლები, არც ფეხთსაცმელი არ გააჩნია...

შიშეტი (გატაცებათ) ერთი ციცქნა რა არის, ერთი ციცქნა არა გამაჩნია-რა!

ჟურდეილი-მამა. ასე რომ, ამ სახით არსად მისვლა არ შეუძლიან, არც მუზეუმებში, არც კერძო ვისსამე გალერეებში... ვიდრე ძველის ნახატების ტილოებს აღაღენდეს, ჯერ თვითონ მაგისტვისვეა ტილო საჭირო, რომ ტიტველა ტანი დაიფაროს... (იცნის. შიშეტი-კი უფრო შეტად). ერთი სიტყვით, საქმის დასაწყებად ოთხას-ხუთასი ფრანკია უთუოდ საჭირო...

შიშეტი (ჩუმად). ხუთასი, ჩემო მეგობარო, ხუთასი.

ჟურდეილი-მამა. და შენი იმედი მაქვს.

ანრი (შემკრთალი) ჩემი? ხუთასი ფრანკისა? მერე, საიდგან ვიშოვო?

ჟურდეილი-მამა. ნუ ხუმრობ, კარგი!.. მაგრამ, მესმის ჰო, რატომ ამბობ მაგასა: პიპეტს არ ენდობი, არა?

შიშეტი (სერიფზად). შემიძლიან ბარათი მოგცეთ.

ჟურდეილი-მამა (ძალზე ხარხარებს). ხა, ხა, ხა, ხა!.. ბარათიო! ძალიან საიმედონიცა ხართ ან შენ და ან შენი ბარათი ... ეშმაკმა-კი წაგილოს, აჰა!.. ოჰ!.. (სიცილისაგან ცრემლები სცფივა. შიშეტიც ხარხარებს).

ანრი. ბარათიოთ თუ უბარათოთ, სულ ერთია, არ შემიძლიან.

უკრდევილი-მამა. გაიგე, სულ ერთია, ვითომ ჩემთვის მოგიცია
ეგ ხუთასი ფრანკი: თავდები მე ვარ.

ანრი. კარგი, მაგრამ, რომ არ შემიძლიან! რა ვქნა, რომ
ფული არა მაქვს.

უკრდევილი-მამა. ეგ-კი მეტის-მეტია, იცი!.. როგორ თუ ფუ-
ლი არა გაქვს?.. (ჰიპეტს და თან სახელოსნოზე უწვე-
ნებს სეჭით). ამის პატრონს და ფული არა აქვს,
ჲა?!..

ჰიბეტი (დაბადის ხმით). ხარია

ანრი. გარწმუნებ, მამი...

უკრდევილი-მამა. რაში, რაში? მარწმუნებ, რომ ფული არა
გაქვს?.. შეიძლება; მაგრამ მე ჩემის მხრივ დაგარ-
წმუნებ: რომ შენს ხანში, როცა ჯერ კიდევ მდი-
დარი ვიყავი,— მაშინ საფ ანგეთში კარგს მხატვრო-
ბას კიდევ აფასებდნენ,— მოსულიყო ჩემთან მამა...
მაგრამ მამა რა საჭიროა?.. ვინმე ჩემი მოძმეთაგანი
მხატვარი და ამ გვარს სიმღიღეში რამდენიმე ასიო-
დე ფრანკი ეთხოვა, არასოდეს უარს არ ვეტყოდი!..
მაგრამ თუ შემთხვევით ხელათ ფული არ მექმნებო-
და, ვეტყოდი— მამა იქმნებოდა, თუ ამხანაგი, სულ
ერთია: „ჩემო კარგო, ცოტა კი დროს ვერ მოხვე-
დი, რადგან თვითონაც ჯიბე ცალიერი მაქვს; მა-
გრამ... აი! ბევრი სიკეთეა აქა; აღდე, თუნდ ეს ლუ-
დოვიკო მეთხუთმეტისეული კედლის საათი, რომე-
ლიც არა მუშაობს... ან აი, ეს სასტუმრო შანდ-
ლები, რომლებსაც თითქმის არასოდეს არ ვანთებ
ხოლმე... წაიღე და ფულათ აქციე, ჩემო ძვირფასო!

ჰიპეტი. ო, ეს საათი სრულიად საკმარისი იქმნებოდა.

უკრდევილი-მამა. დიახ, ასე მოვიქცეოდი!.. თუმცა მართალია,
ამ ხასიათით გამდიღრება ძნელია და სიბერის დროს
ადამიანს უთუოდ საზარელი სიმდაბლეც მოელის...
წავიდეთ, ჰიპეტ, წავიდეთ, ჩემო ძველო მეგობარო.
მაპატიე, რომ აქ მოგიყვანე. წინათვე უნდა მცო-

დნოდა, საქმე რითაც გათავდებოდა. მე მეტად უხვი
ვიყავი.... უხვს მამებს-კი მუდამ ხელ-მოჭერილი
შვილები გამოსდით!

ანრი. არა, სწორედ რომ აუტანელია ესა... რაკი გინდა,
რომ ყოველივე გაგიმუდავნო, იცოდე, მაშ, რომ...

ქ-ნი ჟურდეილი (გარედამ). შეიძლება შემოვიდე?

ანრი (მამას). ჴა, დედაა უთუოდ!.. გეთაყვათ, ამ საქმეზე
კრინტი, ხმა აღარ დასძრათ... (დედას შხიარულად მიე-
გებება). მობრძანდი, დედი, მობრძანდი!

გამოსვლა მჩხოთი

იგინიგე, ქ-ნი ჟურდეილი

ქ-ნი ჟურდეილი (შვილს მოეხვევა). გამარჯვება, საძაგელო!..
ავად არა ხარ?

ანრი როგორცა მხედავ...

ქ-ნი ჟურდეილი. მით უკეთესი. (სახელისნოს ათვალიერებს). რო-
გორ კარგადა გაქვს მართული აქაურობა! (ქმარსა და
პიპეტს უდიშის და თავს უკრავს). გამარჯვებათ, გამარ-
ჯვებათ.

ჟურდეილი-მამა (მაღრუბლული). გამარჯვება.

ქ-ნი ჟურდეილი (შვილს პიპეტზე ანიშებს). ნახე? მობრძანდა!
თითქოს პირობა შეუკრავთო, ყველანი-კი ერთს კვი-
რაში გაჩნდნენ-და... (იქით) აი!..

ანრი. ლუიზა სადღაა? თან არ მოიყვანე?

ქ-ნი ჟურდეილი. ო, არა... როგორ შეიძლება! მარტოხელი
კაცის ბინაზე...

ანრი. წინად რომ მოდიოდა ხოლმე?

ქ-ნი ჟურდეილი (მითშენელადით). ჴო, მაგრამ ის წინად იყო...
მაინც თვითონვე არ ისურვა. გუშინდელის დღის
გამო ცოტა გაჯავრებულია შენზე... განგებ შენთ-
ვის საუკეთესო გემრიელი საჭმელები ჰქონდა მომზა-

დებული-და... კრემი, ღუზელები და მასთან სურ-
პრიზი... (იცინის). მერე ისაც რა სურპრიზი! უთუოდ
დიდად გასიამოვნებდა... არა, მეგობარო?

უურდეილი-მამა (ყრუთ). დიახ!

ქ-ნი უურდეილი (ქმარს შიუახლოვდება). რა დაგმართნია? აგრე
რამ გაგაწითლა?! თუნდა სანაძლეოს დავდებ, რომ
საუზმეზე ზორბად გადავისუხნიათ...

ანრი. პო, რაღაცა თეთრ ღვინოს მოვკარი შეც ყური...
ვგონებ, კუდიან ვარსკვლავის ღვინოსა!

ქ-ნი უურდეილი (თავს აქნევს). აი, აი, m-er პიპეტ!.. m-er
პიპეტ!

შიპეტი (გულზე ხელს დაიდებს). ა-ო, გეფიცებით, ქ-ნო!..
უურდეილი-მამა. არა, არა-მეთქი, საუზმე აქ არაფერს შუაშია,
აქაური ჰაერი მაღრჩობს... დღევანდელს სახელოს-
ნოებში მართლაც რომ კაცს სული შეეხუთება...

ქ-ნი უურდეილი. გაივლიდი, მაშ, და სუფთა ჰაერს ჩაჟყლა-
პავლი...

უურდეილი-მამა. მართლაც-და... აგრე სჯობია... წავიდო,
პიპეტ!

ქ-ნი უურდეილი. ლუქსემბურგის ბალში გაისეირნეთ. ბ-ნო
პიპეტ, ჩემი ქმარი თქვენთვის ჩამიბარებია.

უურდეილი-მამა. მერე, განა, შენ-კი ჩვენთან არ წამოხვალ?
ანრი. არა, პატარა ხანს მაინც დარჩეს ჩემთანა!

ქ-ნი უურდეილი (ქმარს დიმილით). ამდენი ხანია არ მინახავს...
(სერიოზად). თან სათქმელიც ბევრი რამა მაქვს.

უურდეილი-მამა. ო, ტყუილად სწუხარ!.. მე მხოლოდ ეხლა
გავიცან ეს ახალგაზრდა; მაგის შესახებ შიში სულ
მეტია. არავითარს უგნურებას ეს არ ჩაიდენს!.. მაგ-
რამ... ღმერთმა ხელი მოუმართოს... ეგ არის, დიდ-
ხანს-კი ნულარ დარჩები. უმთავრესს ხეიგანში და-
გიცდით. მშვიდობით, ჯეელო!

ანრი (ხელს გაუწვდის). მშვიდობით, მამი. (მამა ჯერ უოუმა-
ნდას, მერე-კი ესაც მაწვდის ხელს).

ჟურდეილი-მამა (კარებილან). პიპეტ! წავიდეთ!
ზიბეჭი. გარწმუნებ, რომ მარტო საათიც.. (შიღის).

გამოსვლა მეუಚვევი

ქ-ნ ჟურდეილი და ანრი

ქ-ნ ჟურდეილი. გეტყობათ, შენ და მამას რალაცა ლაპარაკი
მოგსვლიათ?

ანრი. ჰმ! არა...

ქ-ნ ჟურდეილი. ისეთი უკმაყოფილო სახე ჰქონდა... უთუოდ
ისევ მხატვრობის შესახებ გექმნებოდათ ლაპარაკი.

ანრი. ჰო, ცოტათ.

ქ-ნ ჟურდეილი. ნეტავი შენ, რომ არ მოგწყინდა!.. ხომ იცი,
რომ ამ საგნის შესახებ ერთმანერთში ვერ მოჩიგ-
დებით, შენც მოერიდე ხოლმე და. ნუ აუხირდები?..

ანრი. ეგ. მართალია, დედი.

ქ-ნ ჟურდეილი. ჯერ ერთი, შენი მხრივ ვერაფერი თავაზია-
ნობაა: აიღე ხოლმე და შენც დაუთმე, ნუ ეკამა-
თები... ჯერ არის, შენზე უფროსია... და მერე შენზე
მეტიც იცის...

ანრი. ეგ მართალია. ამას იქით დავუთმობ ხოლმე, ოლონდ
მეტს ნულარ გამლანძლავ.

ქ-ნ ჟურდეილი. ნუ გაგლანძლავ? აი, შე საცოდავო! და მართ-
ლაც, ხომ გასალანძლად მოვედი.

ანრი (თავისს სკამს ახლო მისწევს). მართლა?

ქ-ნ ჟურდეილი. აგრე ახლო ნუ დამიჯდები... მითხარი, აბა,
როგორ-ლა გაგიჯავრდე, როცა აგრე ახლო ხარ?

ანრი (უკან გაიწევს). მაშ ასრე?

ქ-ნ ჟურდეილი. ო-ო, არა, არც აგრე შორს! (ანრი წინანდეჭუ-
ჟუფრ ახლო მისწევს). კარგი, ასრე იყოს! ხელებს ჯგა-
რედინად დაიჭერს), რა. ამბავიაო, მოწყალეო ხელმწი-
ფევ, რომ დედასონ სანახავად კვირაში ერთად ერ-

- თი ხუთშაბათი ამოარჩიე და ესაც ხშირად გეჩვენა,
დაივიწყევი?
- ანრი. რომ იცოდე, დედი, გუშინ რამდენი საქმე მქონდა,
თორემ ნამუნი უთუოდ გეტყოდათ.
- ქ-ნი ჟურდეილი. თქმით-კი გვითხრა, მაგრამ არ დავუჯერე...
მაშინვე ის გავიფიქრე, ავად იქნება-მეთქი.
- ანრი. აი, ოცნება! არა, მერე-და ავად როდისა ვარ ხოლ-
მე, განა?
- ქ-ნი ჟურდეილი. ოპო, ძალიანაც ნუ იქებ თავს ჯანსაღობითა.
ამ ბოლოს დროს ისე გახდი, ისე გამოიცვალე, რომ...;
- ანრი. როგორ, განა, გავხდი?
- ქ-ნი ჟურდეილი. აბა, ხელი მიჩვენე. (თითქე თავისს წიშნების
ბეჭედს გაუკეობს). ჰედაგ! ორის თვის წინად ეს ბე-
ჭედი ვიწროდა გქონდა, ახლა-კი... აბა, უყურე.
ბოლომდის გიკეთდება! ჰედავ, როგორ გამხდარხარ
თუმცა, როგორც შენ სცხოვრობ, ეს საკვირველი
სრულიადაც არ არის... .
- ანრი (დიმილით). მერე, როგორა ვცხოვრობ, რა გგონია?
- ქ-ნი ჟურდეილი. ო, ამას იმიტომ-კი არ გეუბნები რომ გისა-
ყველურო. ვიცი, რომ სხვათრივ არ შეიძლება. მე-
ტადრე მაშინ, როცა ყმაწვილ კაცისათვის ასეთი ცხო-
ვრება თითქმის კარგ თვისებათ ითვლება... ეს ამ-
ტკიცებს, რომ... რა არის?.. ეშმაკი არ გასვენებთ!
- ანრი (იცინის). ეშმაკი?.. რას ამბობ, დედი?..
- ქ-ნი ჟურდეილი. რას დაიცინები. ვიცით, მხატვრის ცხოვრება
რაც არის...
- ანრი (სერიოზად და წენარად). მხატვრის ცხოვრება, დედი,
დაუსრულებელი, მძიმე შრომაა; მაგრამ ბევრისათვის
ეს შრომა არ არის, რაკი სიყვარულთან მჭიდროდ
დაკავშირებულია. ადამიანის ყველა სხვა მუშაობათა
შორის ეს ერთად-ერთია, რომელიც ლვთიურს სას-
ჯელს არა ჰგავს... აი, ეს არის მხატვრის ცხოვრე-

ბა... შენ-კი იქნება სხვაფრივ როგორმე გაქვს წარ-
მოდგენილი?

ქ-ნი ჟურდეილი. ჰო... მაგრამ შენი განმარტება ბევრად უკე-
თესია... (სიჩუპე). მაშასადამე, სჩანს, ბევრსა მუ-
შაობ?

ანრი. ბევრს!

ქ-ნი ჟურდეილი. საქმე როგორ-ლა მიგდის?

ანრი. ძალიან კარგად.

ქ-ნი ჟურდეილი. აი, რა არის დედის გული, უთუოდ რამე
გრანჯავს!.. წარმოიდგინე, წარსულს ღამეს ფიქრმა
წამილო და უცბად წარმომიდგა, ვითომ საქმეები
ცულად წაგივიდა და არ გინდა გაგვაგებინო, ვითომ
გვემალები.

ანრი. აი, ოცნება!

ქ-ნი ჟურდეილი. იცი, რა ცულია, როცა წევხარ და თვალს
კი ძილი არ ეკარება?.. მე უკვე გადავწუკიტე კი-
დევაც, რას ვიზამდით: გადმოვსახლდებოდით პარიჟ-
ში, ლუიზა გაკვეთილებს იშოვიდა და მე კიდევ ქარ-
გვასა და კერვას შევუდგებოდი ისევ...

ანრი. გაჩუმდი, დედი, თორემ ტანში მოლად ურუანტელ-
მა დამირბინა...

ქ-ნი ჟურდეილი. რადა მერე? ეს არც ისე საშიში არის.

ანრი. არასფერი ეს საჭირო არ არის!.. განა, მართლა ისე
ცულადაც გამოვიყურები?.. შეჰედე, აბა აქაურო-
ბასა და დასტკბი! (სახელთსნოს მოწყობილობაზე უჩვე-
ნებს).

ქ-ნი ჟურდეილი. ყოველივე ეს აღრევე შევნიშნევი. და შავი
ფიქრები მაშინვე გულიდგან გადამეყარა... ლამაზი
სახელოსნო გაქვს... მაგრამ ის ძველი მაინც მეტად
მომწონდა.

ანრი. რადა?

ქ-ნი ჟურდეილი. იმიტომ, რომ იქ ხშირად მოვდიოდი ხოლმე
და მეორეც... როცა მე არ ვიყავი, ჩემ მაგივრად

ჩემი სურათი გედგა ხოლმე კუთხეში... და შენს
მუშაობას ის ადევნებდა თვალსა...

ანრი (იქით). ეჭე... სურათიც შევნიშნა...

ქ-ნი უურდეიღი. ასე რომ, ასე თუ ისე, მე მაინც მუდამ შენ-
თან ვიყავი ხოლმე...

ანრი (საჩქაროდ). შენი სურათი, დედი, ისევ მთელია...
მხოლოდ საძილო ოთახში გადავიტანე და თავით
დავიკიდე... იცი, დედი, ისევ ის რკინის კრაოტი
მიღიას, რომელზედაც შინ ვიწევი ხოლმე.

ქ-ნი უურდეიღი. ეგ კარგი! მოიტა ერთი, შენი საძილო ოთა-
ხიცა ვნახოთ. (მარცხენა კარებისაკენ მიდის).

ანრი (იქით). აი, ცეცხლი!.. (ხმა-მადლა). დედი, არ შე-
ხვიდე... სულ ერთია, ვერასა ჰნახავ... იქაურობა
მთლად არეულ-დარეულია... .

ქ-ნი უურდეიღი. მერე, რაო! მე ხომ დედა ვარ.

ანრი. არა, ნუ შეხვალ... გეთაყვა!

ქ-ნი უურდეიღი. აბა, რას ამბობ ერთი?.. (მთაგრნდება) მაგრამ
ჰო... (ხმას დაუდაბლებს). შეიძლება არის ვინმე, ჲა?

ანრი. არავინ... იქნება ნამუნი... ალაგებდეს!

ქ-ნი უურდეიღი. ჰო... ნამუნი!.. (კარებს მფჴშტრდება) კარგი.

ანრი. იცი, დედი, ჯერ კიდევ სულ მთლად არ დავლა-
გებულვარ... უველაფერი ერთმანერთზე ყრია... სხვა
დროს როდისმე უველაფერს გიჩვენებ.

ქ-ნი უურდეიღი. კარგი, კარგი... სხვა დროს იყოს... ახლა-კი
მშვიდობით, დროა მეც წავიდე.

ანრი. როგორ, აგრე მალე?.. ჰატარა ხანს კიდევ დარჩი,
დედი!

ქ-ნი უურდეიღი. არა, არა... არ მინდა შეგაწუხო.

ანრი. რითი, დედი, რითი უნდა შემაწუხო?..

ქ-ნი უურდეიღი. არა, მაგრამ მამა უთუოდ მოუსვენრად იქმ-
ნება, ცდა მოსწყინდება... მართალი მითხარ, არ გე-
სიამოვნა, განა, რომ მოვედი და გნახე?

ანრი. მე და არ მესიამოვნა?

ქ-ნი უურდეილი. იცი, რა არის, როცა აღამიანი გიყვარს, გინდა უთუოდ იცოდე, როგორა სცხოვრობს, რა მოწყობილობა აქვს... მერე, რაკი იმის გარემობა ყველაფერი იცი, ფიქრიც გიადვილდება, თითქოს თვალითა ჰედავ ყველაფერსაო...

ანრი (იდიმება). რასაკვრელია... ეგ ძალიან კარგია!

ქ-ნი უურდეილი. არა, მშვიდობით!.. ამ დღეებში ხომ არ დაგვ-ხედავ იმ ხუთშაბათის ნაცვლად, ამ კვირია რომ გამოგვაპარე?

ანრი. ეგ, ვგონებ, ძნელი იქმნება... ბევრი სამუშაო მაქვს.

ქ-ნი უურდეილი. (კარებისაკენ ფეხს გადასდგამს). მხოლოდ გამიგონე, რას გეტყვი (შვილს ხელს ჩაჭ-კიდებს და სცენის მერაუ ბოლოში გაიუვანს). ჩვენ, დე-დებს, მუდამ ის გვინდა, რომ შვილები გვერდითა გვყავლნენ; და ვერ მოგვინელებია, როგორ უნდა გვიორგულონ, როცა თვითონ ჩვენ სიკვდილამდე ერთგულები ვართ.... მაგრამ ეს თურმე წესი ყო-ფილა: აღრე თუ გვიან, დედას თურმე შვილის ცხოვ-რებაში პირველი აღვილი ეკარგება. ვხედავ, რომ ჩემთვისაც ეს ღრრო დამდგარა.

ანრი. რატომ, დედი?

ქ-ნი უურდეილი. არა, მაგრამ არ გისაყვედურებ, ყოველივე ეს ბუნების კანონი თურმეა... სხვა დედებიც ასრულე არიან... მაგრამ ეგ არის, რომ ძალიან გამანებივრე; ამიტომაც უთუოდ სხვებზე მგრძნობიარე ვარ; მაშა-სადამე, უნდა გამიფრთხილდე... აი, ამიტომაც მინ-დოდა მეთხოვნა, რაკი ჩემი ხელიდგან მიღიხარ... როგორმე თან-და-თანობით, ნელ-ნელა მოხდეს ეს და არა უცბად... თორემ უცებ რომ სამოთხე წარ-მტაცო, ვაი თუ ვერ ავიტანო... შეიძლება თანაც გადამიტანოს.

ანრი (იქით). ღმერთო, როგორ ავიტანო! (მადლა), დედა, ძვირფასო დედა, ყური დამიგდე, ახლა მე რაღას

გეტყვი. არ ვიცი, აგრე რათ გეწვენება, რად წარ-
მოიღებინე, რომ შვილი გორგულობს? (ხმას აიმად-
ლებს). გეფიცები და ვფიცავ უოველისფერს; რაც-კა
ჩემთვის უძვირფასესი და წმიდაა ამ ქვეყნად, ე. ი.
შენსავე თავსა!.. რომ...

ქ-ნი უურდეილი (გვერდის კარებისაკენ გაიხედავს). ჩშშ... ჩუმად!
ანრი. გეფიცები, რომ უმთავრესი და უდიდესი ჩემი სიყვა-

რული შენა ხარ და უოველთვისაც შენ იქმნები; ხოლო თუ გული ვისზედმე მაქვს შევარდნილი, იცო-
დე, რომ ქვეყნად ამ სიყვარულის ბადალი სხვა არა
გამაჩინა რა!.. არ ვიცი, შენს სიმშვიდესა და ბედ-
ნიერებას რას არ ვამსხვერპლებდი...

ქ-ნი უურდეილი. იცი რა, კარგია, რასაც შენ ახლა მეუბნები!
ანრი. მერე, არა გჯერა?

ქ-ნი უურდეილი. მჯერა, მჯერა.. მაგრამ, რომ უფრო მეტად
ვირწმუნო, ხშირად უნდა მოხვილოდე ხოლმე და
გამიმეორებდე... (თრსავე სეჭს თავზე შემოჭერებს და
საჩქარო ჭკოცნის). მშვიდობით! (მიირბენს, რომ ბიუ-
როზე დატოვებული ჰარკვეჭანა აიღის, მაგრამ შედგება
და იატაჭიდგან რადასაც აიღებს).

ანრი. რას ეძებ?

ქ-ნი უურდეილი. არაფერს. ქოლგა ავიღე... (გვერდის თთახზე
ანაშენებს). ეს უთუოდ ნამუნის ქოლგა იქმნება. (ქოლ-
გას დაუქნევს და დიმილით ემუქრება შვილის).

ანრი. ჰო! აი, თურმე რასა ფიქრობ?...

ქ-ნი უურდეილი. მივდივარ, მივდივარ!

გამოსვლა მეშვიდე

ანრი მარტო (ერთს წამს ქოლგა გაშტერებულს უჭირავს სეჭში).
ო, ახლა-კი მესმის!.. აი, თურმე რისთვის მეუბნე-
ბოდა ისე დაუინებით, რომ ცუდათა ვცხოვრობ...
(ქოლგას გუთხეში მიაგდებს). ეს გონტო მართლაც-და

დიდი ქარაფშუტაა... თავისს ქოლგებით ადამიანს
ასე მოულოდნელად არცხვნის.... საწყალი დედა!
რომ მიღიოდა, უთუოდ ფიქრობდა, რომ ყველა
შკაფში თითო ქალი მყავდა დამალული. ესაც ბე-
დის დაცინდა! მერე ისაც სწორედ იმ დროს, რო-
ცა... და ის კიდევ ხუთასს ფრანკსა მთხოვდა... „გაა-
ნალდე, ჩემო კარგო...“ (ხმა მაღლა ხარხარებს). ხა-
ხა-ხა!.. კი კომედია იყო, აი! (მივა და მარცხენა კა-
რებს გააფებს)

ქ-ნი უურდევალი (ისევ გამოჩნდება კარებში). უკაცრავად... ისევ
მოვბრუნდი.

ანრი (კარებს ისევ ჩაჟევეტავს). მობრძანდი, დედი!

ქ-ნი უურდევალი (მჟერძალებით შემდის). მხოლოდ ერთი სიტყ-
ვა მაქვს სათქმელი! (მხიარულად). ფულები! დამა-
ვიწყდა წარსული თვის ფული მეთხოვა,

ანრი (შეშინებული). ფულები?.. წარსული თვისა?..

ქ-ნი უურდევალი. არა, რა გამოყრუებული ვარ?.. კინაღამ უფუ-
ლოდ წავედი.

ანრი (იცინის) ხა-ხა-ხა-ხა! აი, ოინი!

ქ-ნი უურდევალი. კარგათ არ გავუსწორდებოდი დღეს საღამოთი
მოვალეებსა.

ანრი. საქმე ის არის, დედი, რომ... სწორედ არ ვიცი...
რაც ფული მქონდა, მთლად გუშინ დავარიგევი...

ქ-ნი უურდევალი (იქით). ჰმ... ჰმ... ვარდის ფერი ქოლგა...

ანრი. ერთს ორ-სამ დღეს ვერ მომიცდი?... ან იქნება
ძელია?

ქ-ნი უურდევალი. არა.... მე უფრო მამასათვისა ვცდილობ.
ხომ იცი, ანგარიშის გასწორების დაგვიანება საშინ-
ლადა სძულს... უყვარს, როცა ყველასთან პირნათ-
ლად არის. უნდა გითხრა, კარგი-კია ეს ხასიათი...
ამ მხრივ არა ესაყველურება-რა.

ანრი. კარგი, მაშ... ხვალ, ხვალ ხომ შეიძლება?

ქ-ნი უკრდეილი. ხვალ—რასაკვრელია. ხვალ ჯერ მარტო ორია
ამ თვისა... ძალიან არ დაგვიანდება. მაშ, აგერ,
ხვალა, არა?

ანრი. დიახ, დედი, დიახ (დედა გაგა).

ანრი (შარტოდ). ხვალა!.. მაგრამ ხვალ ვითომ საიდგან-ლა ეშ-
მაკებიდგან ვიშოვი? მარგაროს იმედი მქონდა, იმანაც
გადაჭრით უარი მითხრა, მაშ, რა ვქნა?.. იქ, მაღლა,
ჩემს ბინაზე, უკვე ყველაფერი გაყიდულია... აღარა
გამაჩნია-რა, ჩემს თავს თუ გავყიდი, თორემ სხვა
აღარა დამრჩენია-რა... მერე, ვითომ რატომ არ
შეიძლება... კარგია კიდევ, მყიდველი არის? მაგ-
რამ... (თავისს მოლბერტს შექვედავს). ამას რაღა ვუ-
ყო?... ეჭ, ფიქრის დრო აღარ არის, უნდა გადავ-
წყვიტო... (შლაპას აიდებს) ფული უთუოდ უნდა
ვიშოვო საღმე!..

გამოსილა მერვე.

ანრი, ნამუნი (შარტენა ათასიდგან გამოვა).

ნამუნი (გახარებული გამოიდებს ბურნესს ქვეშიდგან სქელს ქისასა
და ანრის გაუწვდის). რათა დალონდა მუსი? ფული?..
აი, ფული!.. ი-ი, რამდენი!

ანრი (ფრცხლად) სად იპოვნე?

ნამუნი. მაყაშ იპოვა, ნამუნი აიღო. (ანიშნებს რომ მოიპარა).

ანრი. (განრისხებული). მოიპარე?

ნამუნი. ი-ი, მოიპარა, კოლასკა-და აფილა.

ანრი. ვისს კოლასკაში?

ნამუნი (ცოცხლად აჩვენებს). მარგარო კალასკა.... მუსი მარ-
გარო მითხრა: თურქო, ცხენი დაიჭი. ნამუნი ცხე-
ნი დაიჭირა, ქისა დაინახა, აიღო და გაიქცა... (აცი-
ნის).

- ანრი. ეშმაკმა იცის შენი თავი... (მიეტევა). როგორ გაძევდე, შე არამზადავ, შენა?..
- ნამუნი (შემკრთალი). რათა, მუსი? გაჯავრდა რათა, ნამუნი ქისა მოიპარა? შენი-და, მუსი, შენი!
- ანრი. ჩემთვის? მაშ, ის გინდა, საძაგელო, რომ ციხეში ჩამსვან?..
- ნამუნი. რათა ციხე? შენ მაყაშ ციხე. ნამუნი წავა... შენა მდიდარი, შენ გაგიხარდა, უ-უ, რამდენი წაიღე! ბევრი ფული იქნება, შენი და კარქი კაბა უყიდი... უ! ალლაპ!
- ანრი (მორბილებული). საბრალოვ, არ გესმის, მაშა, რომ ქურდობა ძალიან ცუდია... ქურდობა არ ვარგა!
- ნამუნი. ფრანსუზი-და არ ვარგა? ფრანსუზი-და არა მოიპარა? —აფრიკა-და კარქი... ი-ი! აფრიკა.. ყველა მოიპარა, ყველა წაიღო, ყველა მოიტაცა.
- ანრი. ნახე შენც თავ-მოსაწონი საქმე, რალა!.. მაგრამ, მეცკი კარგი ვარ, ვდგევარ და ზნეობას ვასწავლი... სჯობს, წავიდე და...

გამოსვლა მეცხრე

იგინიგე. მარგარო (მთლად დაბნეული შემოვარდება ქაქანით. მარგაროს რო დაინახავს, ნამუნი კუთხეში მიიმაჭება).

- მარგარო. უურდეილ! უურდეილ! გეთაყვა, აქ ხომ არ დამვარდა?..
- ანრი. (ქისას გაუწვდის). აი, ეს-კია თვითონ მე გაპირებდი წამოლებასა.
- მარგარო (დაღლილი სკამზე დაეშვება). უჟ!.. მეგობარო, რა რიგ შემეშინდა... სად იპოვნეთ?
- ანრი. აიქ... კუთხეში გდებულიყო... ნამუნს აედო...

მარგართ. ოჲ, რა ყოჩალია! . ღირსია ამისათვის... რომ (ამთიდებს მანეთს). აჲა, ბოშო... (ნამუნი ანთზე აჩვენებს და უთუ უძანდს). აიღე... აიღე. . ღირსი ხარ, ეს ხომ მოპარული არ არის?

ნამუნი (რწმენით). მოიპარა არა ვარგა. (მანეთს ჯიბეში ჩადებს და ისევ ტახტზე წამოწვება).

მარგართ. წასკლით უფრო დამშვიდებული მივდივარ, ვიდრე მოვედი... ამისთანა გულმავიწყობაც შეიძლება, განა!.. (კარებისაკენ მიდის).

ანრი. მარგართ!..

მარგართ. რა არის? (ანთი თქმასა გერ ჭბედავს); მარგართ მიუახლოდვება). ისევ ბარათის შესახებ?.. ო-ო, რა თქვენი ნათქვამა ხართ. აკი გითხარით.

ანრი. არა... არა... სულ უბრალოა!.. მოიტათ, პირობის წერილი... ხელი მოვაწერო.

მარგართ. როგორ... ჩაშ, თანახმა ხართ?..

ანრი. ჩქარათ!..

მარგართ. (ჯიბიდგან ქადალდს ამთიდებს): ძლიეს!.. ვიცოდი, რომ საქმე ასე დაბოლოვდებოდა... აი, ქალალდი... „მე, ქვემორე ამისა ხელის მომწერი“...

ანრი (ქადალდს გამოსტაცებს). რაღა წაკითხვა უნდა, კარგად ვიცი, რაც ეწერება (ბიუროსთან მიეს).

მარგართ. ხომ გახსოვთ, ათის წლის ვადით არის!

ანრი. თუნდ ოც-და-ათით იყოს.

მარგართ წეუსტორკა—20 ათასი ფრანკი!

ანრი. სულ ერთია. (ხელს აწერს).

მარგართ. აგრე, ახლა მეორეს მოაწერეთ ხელი და კალამი მამეცით.

ანრი (ვიდრე მარგართ ხელს აწერს). მამა კმაყოფილი იქმნება... მოვალეებს ფულის მიღება არ დაუგვიანდებათ.

მარგართ. (ბიუროსთან ქადალდებს ილაგებს). ჩემო კარგო, მთლად აღტაცებული ვარ. ჩვენ ორთავესათვის მეტად სახირო იქნება. და პნახავ, რომ „ორ თავი ხბო“ არც

ისე ცუდია... (ერთს ქაღალდს ჯიბეში ჩაიდებს). ასე, მაში, საქმე გაკეთებულია... ახლა, თუ ფულები გინდათ...

ანრი. როგორ ორ მინდა!..

მარგართ. დღეს სადილათ ფაბრიკაში მოდით და რამდენიც გინდათ, მიიღეთ. (იქით). ხე-ხე-ხე! ლამაზმა უთუოდ ბე მოსთხოვა... (ხმა-მაღლა). ნახვამდის! საღამომ დის!

ანრი. მოიცათ... თქვენი კოლიასკა აქ არის?

მარგართ. აქ არის... რაო, რათ გინდათ?

ანრი (მიღის და სურათს „ადონისის სიკვდილს“ აიღებს) რათა და იმიტომ, რომ მინდა გთხოვოთ, ეს სურათი წაიღოთ...

მარგართ. როგორ, კიდევ?.. მერე იცით, რომ უმაგისოდაც თუ-და-ათამდე, თუ მეტი, მიყრია იქა... არა უშავს-რა, მოიტათ... ადგილი, მაღლობა ღმერთს, ბევრი მაქვს... (ანრი წავა და მარჯვნივ დაჯდება. მარგართ სურათს უუკრებს და თავისითვის მშბობს): საყურადღებო კია, საიდგან აგროვებს ამ ნაჩხაპნებს?.. ამა! ხელმოწერილი კიდევ წაშლილია! თუნდაც სანაძლეოს დავდებ, რომ აქაც ვრნებ ქალი იქნება ჩარეული... ოჰ, ეს მხატვრები! რა ვნებიანები არიან... (მიღის).

ანრი (ავანსცენაზე აღელვებული, დაბალის ხმით). ახლა-კი... ნულარასა მთხოვთ... ყოველივე გავეცი! ყოველივე!.. (ორსავე ხელს თავზე იტაცებს და დადგრემილი ზეს წელში მოხრილი).

გამოსვლა მშაოში

ანრი, ნამუნი, ფრანგეიფლი.

ფრანგეირობი (გარეთ გასულს მარგართს): ნუ მოპხურავთ, მე შევალ (შემთდის).

ნამუნი (რო დაინახავს, ღიგანიდგან წამოდგება და ანრის უძახის).
ი-ი! მუსი!..

ფრანგეართლი (ანიშებს, რომ გაჩუმდეს). გაჩუმდი!.. (ნელა) ჩუ!..
ვნახოთ, გააგებინეს თუ არა... (ფეხის თითებზე ჩუ-
მად შემოვა, ანრის უგანიდგან მხარზე სეჭს დაადებს და
ალელვებული ნელად გაანუღრევს).

ანრი (მიიხედავს). პიერ!.. (წამოხტება). შენა?.. შენა ხარ!..
(ერთმანერთს მოეხვევიან).

ფრანგეირთლი. ახლა-კი კმაყოფილი ვარ... ეტყობა მამას სი-
ტყვა შეუსრულებია...

ანრი როგორ! ნახე კიდევაცა?.. აჟა, ახლა-კი მესმის...
ფრანგეირთლი. როგორ არა, ყველანი ვნახე... მამაც, დედაც
და ის პატარა ცუგრუმელაც, შენთვის რომ იმისთა-
ნა მშვენიერს კრემს ამზადებდა!.. ოჟ, მეგობარო,
რა საუცხოვო ხალხია! რა ოჯახობაა!.. სწორედ რომ
ბელნიერი ხარ!..

ან-ანი

(დასასრული იქნება)

გლეხი-კაცი

(რომანი)

გილეჭელმ ფონ. შოდენცისა

დჟვ. ტოდსტოის წინასიტუგაფით.

III

რამდენიმე დღის შემდეგ მოხუცი ბიუტნერი ურმებს უჯ-
და და სადღაც მიღიოდა. თითონ თივაზედ იჯდა, მაგრამ ისე
ახლო კი იყო ცხენთან, რომ ფეხებით თითქმის ცხენის კუდ-
ებებოდა. ზურგს უკან ბიუტნერს რამდენიმე გაჭუკვნილი ტო-
მარა შემოეწყო.

მოხუცს წვერი მოეპარსა, რასაც მხოლოდ შაბათობით
სჩადიოდა წოლმე, სუფთა პერანგი და შავი სეროუკი ჩაეცვა და
თავზედ დაბალი შლიაპა დაეხურა — ყველა ეს უტყუარი ნიშნები
იყვნენ იმისი, რომ მოხუცი ბიუტნერი ქალაქს უნდა მიმგზავ-
რებულიყო.

სოფლის სამიკიტნოს რომ გაუარა, კარებში ერნსტ კაშე-
ლი იდგა, თავზედ გაწოწოლავებული ჭუდი ეხურა და, რო-
გორც მიკიტანს შევფეროდა, ხელები წინსაფარში ჰქონდა გახ-
ვეული.

მოხუცმა კაშელს არც კი შეამჩნევინა, რომ სამიკიტნოს
ხედავდა. გაუსწორდა თუ არა, თვალები გზას დააშტერა და
შოლტიც კი გადაჭკრა ცხენსა, რომ უფრო ჩქარა გაევლო ეს
ადგილები.

*) ის. «მთამბე» № 9, 1903 წლისა.

მოხუც ბიუტნერს არც თუ წინათ უყვარდა თავისი სიძე. უთანხმოება და უსიამოვნება ჯერ კიდევ მოხუცის მამის სიკვდილის შემდეგ დაეწყოთ, ამკვიდროს გაყოფას როცა მიჰყვეს ხელი. მიკიტანმა შეამჩნია თუ არა, რომ ბიუტნერი ისე გაივლის, რომ არც კი შემომხედავსო, თითონ გამოელაპარაკა მოხუცს.

— გამარჯობა, ტრაუგოტტ! — მიესალმა მოხუცს კაშელი.

და როცა შენიშნა, რომ ბიუტნერი პასუხს არ მაძლევსო, მიუხედავათ იმისა, რომ ხის ქოშებში ჰქონდა ფეხები წადგმული, ფიცხლავ ჩაირბინა რამდენიმე საფეხური და მოხუც ბიუტნერს გზა გადაუღობა.

— გაჩერდი ცოტას, რა მიგარენებს? მოსალაპარაკებელი მაქვს შენთან.

მოხუცმა, რაც ძალი და ღონე ჰქონდა, აღვირს მოსწრა და ძლივს გააჩერა ბებერი, მაგრამ მათრახით შეხურებული ცხენი, მერე უსიამოვნოდ გადახედა სიძეს და უხეშად დაეკითხა, რა იყო, რა საქმე გამოგიჩნდა ამ უდიროვო ღროსაო?

შივიტანმა გადიხარხარა. ყოველთვის და ყოველ შემთხვევაში კბილების კრეჭა ერნსტკაშელის ჩვეულება იყო. კაცი ეგონებოდა, რცხვენიან და იმიტომ კრიჭავს კბილებსაო, ან და სულელია და რეგვენიო. მიუხედავათ სახის ამგვარ გამომეტყველებისა, კაშელს მთელი სოფელი ხელში ეჭირა და თითქმის ყველას ბედ-იღბალს ის განავებდა.

კაშელერნსტმა, როგორც მთელი სოფელი ადიდებდა, სახე მოიღმიჭა, რადგან უნდოდა მაინც და მაინც ლიმი გამოგასახა სახეზე და პასუხის ნაცვლად თითონვე დაეკოთხა:

— სად მიეჩეარები ეგრე, ტრაუგოტტ? მე მინდოდა გამეგო ასე ადრე სად გამგზავრებულა ჩემი ძვირფასი ნათესავი მეთქი!

— შვრია მიმაქვს ქალაქში გასასყიდათ, — მიუგო ბიუტნერმა. სიძის საძაგელ ლიმილს რომ უყურებდა, მოხუცს ბრაზისაგან სისხლი უშრებოდა, რადგან კარგათ იცოდა. ამ ლიმილი სა და ლაპარაკის იდუმალი მნიშვნელობა. ბიუტნერმა ის ის

იყო შოლტი ასწია, რომ ცხენისთვის გადაეწნა, მაგრამ კაშელერნსტმა ცხენს აღვირში წავლო ხელი და ისევ იმ ლიმილით ცხენს თავზედ ხელი გადაუსვა; მოხუცს რომ თავისი არ დაე-შალა და მაინც გადაეკრა შოლტი, ცხენი კაშელს უსათუოდ ქვეშ მოიყოლებდა და გასჭილიტავდა.

კაშელერნტი პატარა ტანის, გამხდარი და დაჭარხლებული სახის პატრონი იყო. აცრემლებულ თვალებზედ ცხადად ეტყობოდა, რომ მაგარი სასმელები ძალიან უნდა ჰყვარებოდა. მოტვლეპილი თავით, წამოგდებული ნიკაპით და უბალნო ტუჩებში აქა-იქ გამოჩრილი კბილებით კაშელერნსტი ბებერ ვირთაგვას უფრო წააგავდა, ვიდრე აღამიანს. მოტვლეპილ თავს განუშორებელი წოპიანი ქუდი უფარავდა; წინ სამიკიტნოს მოსვრილ-მოთხერილი და გაქონილი წინსაფარი ჰქონდა აფარებული და ლურჯ წინდებში შალვრის ტოტები ჩაეკეცნა.

— გაჩერდი, ბებერო, გაჩერდი! — ეუბნებოდა კაშელერნსტი ცხენსა. მერე იმავე უშართლო და უაზრო ლიმილით სიმავრს მიუბრუნდა.

— ე საიდან გამოგიტყვრენია გაზაფხულზე მაგოდენა შვრია, შე დალოცვილო?

— სულ შევაგროვე, რაც კი მომეპოებოდა ამბარში, ჰოგი ცხენებს შევუნახე და ზოგიც გასასყიდათ გამოვიმეტე. მინდა, სანამ კი მაზანდაა, ბარემ გავყიდო, თორემ ცოტა ხანს შემდეგ ისევ გაიაფდება, მე მგონი.

— მეც რამდენიმე ასი ფუთი მინდა ვიყიდო, — სთქვა მიკიტანმა, — რასაკვირელია, თუ ძლიერ ძვირად არ დამიჯდება..

— როგორცა ფასობს, ეს ხომ კარგათ იცი და!..

— კიდევ ეგ აჩის, რომ ბაზრის მაზანდაზედ როდი მინდა ვიყიდო. როგორცა ახლო ნათესავს, მე ხომ უფრო ნაკლებათ მომყიდი, ტრაუგოტტ?

კაშელერნსტმა მშვენივრათ იცოდა ხოლმე თავის მოკატუნება, როცა ეს რაიმე მოსაზრებით იმისთვის საჭირო იყო.

— ნათესავი! .. — შეკვირა გაშმაგებულმა ბიუტნერმა. — ქვეს ნახევარი პროცენტის თხოვნა ხომ შეიძლება, როცა იმავე

ნათესავს. საშინლათ უჭირს ფული და დაგესესხება? ჩამომეცალე გზიდან, ნულარ მაგვიანებ!

მაგრამ მიუხედავათ იმისა, რომ ბიუტნერმა კვლავ ასწია ხელი, რომ ცხენისთვის შოლტი გადაეწნა, კაშელერნსტი მაინც თავს არ ანებებდა.

— მომისმინე, ტრაუგოტტ, — კვლავ დაიწყო კაშელერნსტმა, — აკი გითხარ, შენთან მოსალაპარაკებელი მაქვს მეთქი. ამ ბოლოს დროს კიდევ მქონდა კარლ ლებერეხტან შენი მამულის შესახებ მოლაპარაკება. გინდა გასესხებ ფულს და, როგორც ნათესავს, ხუთი პროცენტის მეტს არ გამოგართმევ. ვიცი, ეხლა ძლიერ გიჭირს ფული და გადავწყვიტე ხუთი პროცენტის მეტი არ გამოგართვა.

გლეხმა დაუჯერებლად გადახედა სიძეს. რა უნდა მომხდარიყო ისეთი, რომ კაშელერნსტს ასე უცბათ გამოეცვალა თავისი გადაწყვეტილება? ამ წინაშედ ექვს ნახევარ პროცენტს თხოულობდა და იოტის ოდენსაც კი არაფერს უკლებდა, ისიც იმ პირობით, თუ კარლ-ლებერეხტის ნაცვლად მამულს ეხლა თითონ დაიგირავებდა. კაშელერნსტი რომ სიყვარულითა და ნათესავურის გრძნობით არავის შეღავათს მისცემდა, მოხუცმა ბიუტნერმა ეს მშვენივრათ იცოდა. მაგრამ მიუხედავათ იმისა, რომ სიძის სიწრფელე არა სჯეროდა, მაინც ძალიან მოსწონდა და ჭკუაში მოსღიოდა ხუთი პროცენტი... მაგრამ იქნება სხვაგანაც იშოვნოს ფული? იქნება ქალაქში ნახევარი პროცენტით უფრო ნაკლებათ მომცენ? გარდა ამისა, კარგი იქმნებოდა, კაშელთან არავითარი საქმე არ დაეჭირა და არავითარი დამოკიდებულება არა ჰქონოდა მასთან; კაშელერნსტს პირველი გირაოს ქალალდიც ხელში ეჭირა და რომ მოენდომნა, ყოველ წუთს შეეძლო ამასაც მოეთხოვნა თავისი ფული და მამული ვალში გაეყიდნა.

— აბა, რას იტყვი, არ მოგწონს ჩემი წინადადება? — დაეკითხა კაშელი და ფიქრში წასული ბიუტნერი გამოაფხიზლა. — ყაბული გაქვს თუ არა? ხუთი პროცენტი, ჰა!

— მხოლოდ ფული ეხლავე უნდა მომცე.

— ფული ეხლავე მაშ! აგერ ზეითა მაქვს შენახული. შე-
გიძლიან ეხლავე წაილო და კარლ ლებერეხტს ფოშტით გაუ-
გზავნო. აბა, სოქვი რაღა, ყაბულსა ხარ თუ არა?

გლეხი ჯერ ისევ ჰეიქრობდა. როგორლაც არა სჯეროდა
კაშელის სიტყვები. უსათუოდ რაღაც მახეს მიგებს, რომელ-
საც მე ჯერ ვერა ვხედავო. თუ კაშელმა პატიოსანი კაცის სახე
მიიღო, ეს ცხადათ იმის მომასწავებელია, რომ ვიღაცის მო-
ტყუილება და გაცრუება უნდაო, ჰეიქრობდა გლეხი.

— შენ იძახი ფული ზეითა მაქვსო, არა?

— ას თუშანზედ მეტი სკივრში მაქვს დაკეტილი, გინდა
გაჩვენო, ტრაუგოტტ?

— მაშ ხუთი პროცენტი, ჰა? უფრო იაფად არ შეიძლება?

— მაგაზედ იაფად? რას ლაპარაკობ!... მართლა, ჩემზე-
დაც ხომ გაქვს ის მამული დაგირავებული, მე ამ საგანზედაც
მინდოდა შენთან მოლაპარაკება. იმ თვის პირველიდან იმა-
შიაც ხუთი პროცენტი უნდა მაძლიო, თორემ ოთხი ძალიან
ცოტაა.

— ხომ არ გაგიედი?

— ორთავე გირაოში ხუთ-ხუთი პროცენტი! თუ გინდა ამ
პირობით გასესხებ ფულსა! თუ არა და მე ხელს არ მომცემს,
ტრაუგოტტ!

ეხლა კი მოხუცს მოთმინების ფიალა აევსო. ბიუტნერმა
მოიქნია შოლტი და ცხენს გადაუჭირა. მიკიტანმა, შენიშნა თუ
არა, რომ ძოხუცი ეხლა კი აღარა ხუმრობსო, ძლივს მოა-
სწრო და გვერდზედ გადაუხტა. ცხენმა ჯერ რამდენჯერმე
შეიტლინკა, რადგან შოლტის გადაკვრას სრულიად არ მოე-
ლოდა, და მერე გზას გაუდგა. აწითლებული გლეხი მობრუნდა
სიძისკენ და საშინელი ლანძღვა-გინება და მუქარა მიაყარა.
ამ ღროს ურემი ხან ერთ მხარეს მიუხვევდა, ხან მეორეს, რად-
გან გაშმაგებული გლეხი თავის თავს ანგარიშს აღარ აძლევდა
და საით პრეკავდა ცხენს, არც კი იცოდა. მიკიტანი კი ზედ
შეუა გზაზედ გაჩერებულიყო და სიცილისაგან ფერდებს იჭერ-
და. გლეხის გაშმაგება ისე ახარებდა მიკიტანს, რომ ბავშვსა-

ვით ხტოდა და სიცილით სუნთქვა ეკვროდა. მისი თექვსმეტი წლის დოკუმენტიაშვილი—რიხარდი დიდის ცნობის მოყვარეობით ადევნებდა ფანჯრიდან მამისა და ბიუტნერის საუბარს თვალსა და როცა დაინახა, რომ ბიუტნერი გაჯავრებული წავიდა, ისიც კარში გამოვიდა, რომ გაეგო რა ამბავი იყო და მამა და ტრაუგოტტი რაზედ ლაპარაკობდნენო. კაშელერნსტს მეტის-მეტი სიცილისაგან ცრემლები სცვივოდა და, რასაკვირველია, ძლიერ-ძლიობისას უამბო შვილსა რაშიაც იყო საქმე.

მოხუცი ბიუტნერი კიდევ კაი ხანი იწყევლებოდა და საცოდავი მარტო ამით-და იფხანდა გულის იარას. ჯავრი კი უფრო თავის თავზედ მოსდიოდა, რადგან ვერასგზით ვერ ეპატიებინა თავის თავისთვის, რომ კაშელერნსტმა მოატყუილა და ლაპარაკში გააბა. განა მთელმა სოფელმა არ იცის, თუ რომ ვისმეს კი ჰქონია „საძაგელ ვეშაპთან“ რაიმე საქმე, უსათუოდ მოტყუებული და ყინულზედ გაცრუებული დარჩომილა? მე რაღა ღმერთი გამიწყრა, რომ ეშმაკობას ვერ მივუხვდი? კაშელერნსტი თავისი უაზრო სიცილით „ცოფიან ძალს“ წააგვდა, სწორედ. ამ საზიზლარ და საძაგელ კაცს არაფრად უღირდა ისე მოეკატუნებინა თავი, რომ ადამიანს შეჰბრალებოდა კიდეც და ჰგონებოდა, რომ საცოდავი ჭიასაც კი ვერ გასტყლიტავსო. კიდეც ეს თვისება შველოდა, რომ სულელებს და გულუბრყვილო ხალხს ადვილად აბამდა ჯოჯოხეთურ ქსელებში.

ეხლაც ყველას ახსოვდა, რომ კაშელერნსტი უგროშ-უკაპიკოთ ჩამოვიდა გალბენაუში და იმ კაცს, რომელსაც თვალზედ მისაკრავი ბისტიც კი არ მოეძებნებოდა; ეხლა თითქმის უთვალავ სარჩო-საბადებელს აგულებდნენ. სამიკიტნო, რომელსაც თვალ გადუწვდენელი მიწები ჰქონდა ირგვლივ, ეხლა კაშელერნსტის საკუთრებას შეადგენდა. სამიკიტნოში კაშელნების ტმა საცეკვაო დარბაზი ააშენა და რაღაც სათამაშოები გამართა. ღვინისა და ლულის გარდა საწვრილმანო საქონლითა და ხანდისხან ხორცითა და ხორბლეულითაც ვაჭრობდა. ბედი და ილბალი ყველაფერში თან დასდევდა. მამულების სყიდვა

გასყიდვაშიაც შუაკაცობდა. ხმა დადიოდა, ამ ბოლოს დროს სოფელში გავრცელებულ გაყრასა და მამულების გაყოფაში მხურვალე მონაწილეობას იღებსო. ქალაქის ვაჭრების, ყოველგვარ აგენტების და შუაკაცების დიდ მეგობრათ ითვლებოდა სოფელში და ერთი კვირა ისე არ გაივლიდა, რომ ამისთანა ვინმეს არ შემოევლო სამიკიტნოში და გაცხარებული სჯა ბაასი არ გაება.

ყველა ამას ბიუტნერების ქალის შერთვით კი მიაღწია! როცა ცოტა დამშვიდდა მოხუცი, შავმა ფიქრებმა გაიტაცეს. როგორ დაატყდა ყველა ეს უბედურება იმასა და იმის ოჯახს თავზედ? მაშ, როგორც ეტყობა, სამართალი აღარ ყოფილა ქვეყნათ! თუმცა პასტორი ქადაგებაში სულ იმას გაიძახის, უსა მართლო და უსინიდისო კაცს აქვე, ცხოვრებაშივე დაატყდება თავს უბედურება და კეთილიც აქვე მიიღებს ღვთისგან ჯილდოსაო, მაგრამ ეს როგორლაც ვერ მართლდება იმასა და იმის ოჯახზედ. მაშ სამართალს ადგილი არა ჰქონია ქვეყნალ!

ბიუტნერების მამული ძველთაგან ძველი იყო სოფელში და საეკლესიო წიგნებიდან სჩანდა, რომ თავიდანვე ამ მამულს ბიუტნერების გვარის გლეხები მფლობელობდნენ.

ჯერ კიდევ დიდ ომს არც კი არავინ მოელოდა, რომ ბიუტნერები ეკულესიის მნათებათ იყვნენ სოფელში. ამ გვარს ერთგან და ორგან არ ამოიკითხავდით სოფლის ძველ სასაფლაოს ქვებზედ.

ოცდა ათი წლის ომის დროს, როცა გალბენაუსაც ერთხელ და ორჯერ არა სწვევია მტერი და ერთჯერ და ორჯერ არ გაუნადგურებია ყველაფერი, ამ სოფელს შავი ჭირი ეწვია და ერთ ცოლ-ქმართ გარდა მთელი ბიუტნერების გვარი სულ მთლად გაანადგურა. მას შემდეგ გალბენაუში ბიუტნერების ერთი შტოდა დარჩა მხოლოდ. მაგრამ ეს უშვილო ჭით კი არ მოსდიოდათ, ამის მიზეზი ის იყო, რომ უნცროსი შვილები ან სრულიად არ ირთავდნენ ცოლებს ან არა და თუ შეირთავდნენ, მაინც მამის ოჯახში რჩებოდნენ, მამასთან ერთ-

თად ხნავდნენ მიწას და საბატონოსაც ერთად იხდიდნენ, შაშინ-დელი ჩვეულების ძალით ვლეხები მოვალენი იყვნენ შვილები ბატონისთვის შინაუმათ მიეცათ.

გლეხი საკუთრების სრული პატრონი არ იყო იმ ფამათ; ძალაცა და სამართალით ბატონის ხელში იყო, რომელიც მიწის პატრონიც იყო და გლეხის სხეულისაც. მაგრამ ბიუტნერების ოჯახი სულ სხვა პირობებში იმყოფებოდა: თითონ მე ბატონებსაც ძალიან უყვარდათ ბიუტნერები, რაღაც ამ საგვარეულოს თიაქმის ყოველი წევრი კარგი მუშა იყო და დიდი სარგებლობა მოჰქონდა.

ჯერ ერთი შემთხვევაც არ ყოფილიყო ისეთი, რომ ვინ-მე ბიუტნერი რაიმე დამამცირებელ საქმეზედ ყოფილიყოს და-უნებული, თუმცა ამგვარი მაგალითები ბატონყმბის დროს ერთი და ორი არა ხდებოდა. ბიუტნერები ყოველთვის თავის დროზედ და კარგად ასრულებდნენ საბატონო მოვალეობას, როცა კი საჭირო იყო, დაუყოვნებლივ გამოიყვანდნენ ხოლმე მუშებს ურმებით ან უურმოთ, იმისდა მიხედვით თუ რა იყო იმ ფამათ საჭირო.

რასაკვირველია, გლეხი კაცი დიდი შეძლების პატრონი ვერ იქნებოდა ამისთანა დროს; გარდა ამისა ბიუტნერების ოჯახი ყოველთვის დიდი იყო და მიწა კი ნაკლებათ ჰქონდათ, მაგრამ, ბიუხედავათ ყველა ამისა, ბიუტნერები ყოველთვის მშვენივრათ უვლიდნენ თავიანთ მამულ-დედულს, რისგამო მთელი: თავიანთი ძალა ბატონ-ყმბის დროს არ გაჰქინდეს, ბატონ-ყმბის დროს, რომელიც მძიმე ლოდსავით დააწვა გლეხ კაცს, წაართვა ყოველი დამოუკიდებლობა და რაღაც ცივი გულ-გრილობა ჩაუნერგა გულში, რაიც დამოუკიდებულ ადამიანის მუდმივ თვისებას შეადგენს. ოჯახშა არ გასწყვიტა კავშირი და გაუყოფელი დარჩა.

ბოლოს ეხლანდელი პატრონის პაპის დროს ბატონყმბაც და მასთან ერთად ყოველგვარი საბატონო მოვალეობაც გადავარდა. მიწების გამიჯვნის დროს ბიუტნერების მამულის მთელი მესამედი მებატონეს ერგო.

ეხლანდელ ბიუტნერის მამის დროს ძალიან შეძლებულად სცხოვრობდნენ ბიუტნერები. ეს კაცი საკვარველი მუშავი და გამჭრიახი ჰქუის პრონი იყო და დაუღალავი შრომით თუ გონიერი მართვა-გამკლებით იქამდის მიიყვანა საქმე, რომ შეძლებულ კაცთა რიცხვშიაც კი ჩაირიცხა, თუმცა მოსავლიან წლებშაც შეუწყეს იმის გაკეთებას ხელი. ხელსაყრელ დროს მამულის ყიდვით ტრაუგოტტის მამამ მამა-პაპეული მამული ისევ გააფართოვა. მაგრამ მთელ თავისს შემოსავალს ნიადაგის გაპოხიერებას ანდომებდა უმთავრესად, რადგან მხოლოდ ამ შემთხვევაში ელოდა მეურნეობისგან კარგ შედეგს.

იმისთვის მეტის-მეტად ძნელი იყო მამულის მთლიან შეჩენა, რადგან მეზობელ მებატონის მამული გლეხების მამულების შესყიდვით დღითი დღე იზრდებოდა და ბოლოს დიდ, თვალ გადაუწვდენელ სამფლობელოდ გადაიქცა.

სწორედ ამ დროს, როცა ტრაუგოტტის მამა წელზე ფეხს იდგამდა და მამულს დღითი დღე ზრდიდა, ოჯახის წევრები, იმ დროის მიმართულების მიხედვით თუ ძალით, თითქმის ყველანი გაიფანტნენ. როგორც უფროსი ვაჟი და ერთად ერთი მემკვიდრე, მხოლოდ ერთი ტრაუგოტტი-ღა დარჩა სახლში. როცა ტრაუგოტტს უცბათ გადაეცვალა მამა, აღმოჩნდა, რომ ცხონებულს არავითარი ანდერძი არ დაეტოვებინა. ეხლანდელ ბიუტნერის მამას, როგორც ნამდვილ გლეხს, საშინლიად ეზიზლებოდა ყოველგვარი წერილობითი საბუთები. სასამართლო ებისა და ადვოკატებისა იმას არა სწამდა რა გარდა ამისა მოხუცი იმ ხალხს ეკუთვნოდა; რომელთაც არც კი აგონდებათ, რომ როდისმე უეჭველად უნდა განშორდნენ წუთი სოფელს და ჰელიონიათ, ყოველთვის ასე ვიქნებით და ჩვენს ცხოვრებაში არაფერი გამოიცვლებათ. ესეც რომ არა ყოფილიყო, ტრაუგოტტის მამას ანდერძი რაში ეკნაჭებოდა, როცა დასაბამითვე ისე ყოფილა, რომ უფროს შვილს ყოველი სამკვიდრო რჩებოდა და ოჯახის დანარჩენი წევრნი ხშა ამოუღებლივ ემორჩილებოდნენ ხოლმე თავიანთ ხვედრსა იმას ეგონა ეხლაც ასე მოხდება და ტრაუგოტტს წინააღმდეგობას არავინ გაუწევას.

საქმით კი ისე არ გამოვიდა, როგორც მოხუცი ჰეიქ-
რობდა.

სიკვდილის შემდეგ მოხუცს ქვრივი ცოლი და ხუცი შეი-
ლი დარჩა. უფროსი ვაჟი, ტრაუგოტტი, მამის სიკვდილის შემ-
დეგ ოჯახის თავად დამოუკიდებელ პატრონად გადაიქცა. მეორე შვილმა მამის სიცოცხლითვე დაანება სოფელს თავი
და ქალაქში გადასახლდა. მესამე ავსტრალიაში წავიდა და იქ
დასახლდა საცხოვრებლად. ამ სამი ვაჟის გარდა ორი ქალიც
დარჩა მოხუცს. ერთი ხომ გალბენაუს მიკიტანსა ჰყავდა ცო-
ლად და მეორე წისქვილის მუშამ შეირთო და მერე ქმართან
ერთად ქალაქში გადასახლდა.

მთელი სამკვიდრო სახნავ-სათეს მიწას, შენობებს და სამე-
ურნეო ნივთებს წარმოადგენდა. თუ რამე ფული მოიძებნებო-
და ოჯახში, ცხონებულმა ქალების გათხოვებას, იმათ მზითევს,
მიწის განოყივრებას და მამულის გაუკეთესებას მოანდომა.

უფროსმა ვაჟმა გამოაცხადა, რომ ის მზათ არის სამკვიდ-
რო თითონ დაირჩინოს და ოჯახის სხვა. წევრებს ფულით მის-
ცეს თავ თავიანთი წილი — ეს ცხონებულ მამის სურვილი იყო,
რომელიც ერთხელ და ორჯერ არ გამოუჟვამს სიცოცხლის
დროს.

ამას როცა ამბობდა მოხუცი, სამკვიდროს დაუნაწილებ-
ლობის შესახებ უწინდებურად მსჯელობდა, მაგრამ ამ გვარი
შეხედულება ახალ თაობას ბევრად არ ეჭაშნიერებოდა და არც
სწამდა. არც ერთ მემკვიდრეს არ უნდოდა თავისი, საკუთარი
სარგებლობით უკან დაებია, რომ საგვარეულო მამულ-დედუ-
ლი მთლად და გაუნაწილებლად დარჩენილიყო.

ისინი თხოულობდნენ — გვითხარით, თუ ვინიცობაა გავი
ყავით სამკვიდრო, ყველას თავისს წილად რა გვერგებაო. მაგრამ მემკვიდრენი, როცა დარწმუნდნენ, რომ ასე ბევრი
არაფერი გვერგებაო, აღარ დასთანხმდნენ მამულის გაყოფას
და მოითხოვეს, რომ მამული საჯაროთ გაყიდულიყო.

უფროსი ვაჟი, რომელიც, არც კი თავი შეესწავლა, სულ
მის აცნებაში იყო, რომ საგვარეულო მამული მთლად შე-

ვირჩინო ხელშიო, ეხლა ყოველ ღონეს ხმარობდა, რომ საჭ-
კვიდრო ხელიდან არ წასვლოდა. აი, სწორედ ეს იყო იმის-
მიზეზი, რომ ტრაუგოტტმა საჯარო გასყიდვის დროს თითონ
იყიდა მამული, თუმცა ნათესავებმა ძალათ ასწიეს მამულის
ფასი. იმას რაღა ლაპარაკი უნდა, რომ ტრაუგოტტი ვერ-
გადიხდიდა ყველას წილს და ყველა ეს ვალად დააწვა მა-
მულს. ტრაუგოტტს კიდევ დიდი მაღლობა უნდა შეეწირა-
ლვთისთვის, რომ მემკვიდრეებმა მაშინვე არ მოითხოვეს ვალის
გადახდა და ოთხ პროცენტიანი გირაობის წერილი ჩამოარ-
თვეს მთლილ. ასე ამ გვერად ახალგაზდა ბიუტნერი მამეულ
სამკვიდროს სრული ბატონ-პატრონი შეიქნა, რომელიც იმის
მამის დროს სრულიად თავისუფალი იყო ვალებისაგან და ეხლა-
კი ისე იყო დატვირთული, რომ მისი კეთილ დღეობა ყველა-
სათვის საეჭვო იყო.

ომებიც დაიწყო, რომლებშიაც ტრაუგოტტ ბიუტნერიც
ილებდა მონაწილეობას. ცუდი და მოსავლიანი წლები, ავდ-
რიან და ნათელ დღეებსავით იცვლებოდნენ, მაგრამ მოსავ-
ლიანი წლებიც ვერაფერ სარგებლობას და შეღაფას აძლევ-
დნენ ტრაუგოტტს, რადგან იმოდენა ფული არას დროს არა
ჰქონდა, რომ ყველაფერი თავის დროზედ ეყიდნა და კაი შემ-
თხვევებით ესარგებლნა. მოუსავლიანი წლები კი ისე აწუხებ-
დნენ, როგორც დაიარავებულ სხეულს აბჯარი აწუხებს ხოლმე.

მაგრამ ბიუტნერის წაჭკევა და ფეხ ქვეშ ვაჭელვა აგრე
ადვილი არ იყო.

მისი მამული მიწის გრძელსა და ვიწრო ნაჭერს წარმო-
ადგენდა, ისე რომ მამულის ერთი ნახევარი ძალიან იყო სახლს
და შორებული, რადგან შენობები მამულის სათავეში იყვნენ
ამართული. მიწა მსუბუქი და სახნავათ ძალიან სქელი ვერ იყო.
ჯარდა ამისა ბიუტნერის მამულს მდებარეობაც კარგი ვერა ჰქონდა,
რადგან აღმოსავლეთისა და ჩრდილოეთის შერიც სულ მთლიად
ვახსნილი იყო და დასავლეთისა და სამხრეთით მთავრებილი ზღუ-
ლავდა. სწორედ ეს გარემოება იყო იმის მიზეზი, რომ ჰაერი
უმეტეს ნაწილად ნესტითა და სიცივით იყო გაუდენთილი და

წლის თბილი ნაწილი მოკლე იყო. ყველა ამ მიზეზთა გამო ჩიადაგი მცირე მოსავალს იძლეოდა, მიუხედავათ იმისა, რომ გლეხმა მოსვენება არ იცოდა და გამუდმებით მუშაობდა. რაც კი მოსავალი მოდიოდა, სულ სარგებელს უნდებოდა. და რაკი მაინც ვერ უძლვებოდა, ვალებითან-და-თან იზრდებოდნენ. მამულის გაუმჯობესებაზე ეხლა გვიან-და იყო ფიქრი. თუ დროგამოშვებათ მაინც მოახერხებდა გლეხი. ნიადაგის განკუიკრებას, არხის გაყვანას თუ სახლის შეკეთებას ან და თუ როგორმე სამეურნეო იარაღს შეიძენდა, ყველა ამას რაიმე მოულოდნელი უბედური შემთხვევა უნადგურებდა და უფუჭებდა: სეტყვა, საქონლის გაწყვეტა, ავადმყოფობა, სიკვდილი ან რამე სხვა უბედურება მოსვენებას არ აძლევდნენ და ყოველ შრომას ამაოდ უხდიდნენ.

ბიუტნერის ცხოვრება საზარელ ტალღებთან ბრძოლას წააგვდა, იმ ადამიანის ბრძოლას, რომელიც ჯერ კიდევ დასცურავდა ზღვის ზეირთებზე, მაგრამ იმიტომ კი, რომ უკანასკნელ ღონეს ხმარობდა და შრომით წელში სწყდებოდა.

აი, ამისთანა ბრძოლით ბიუტნერმა სამოც წელს მიაღწია.

IV

მოხუცი ბიუტნერი პროვინციის უმთავრეს ქალაქში შევიდა და, როგორც ყოველთვის, „თავგამეტებულ გმირის“ სასტუმროში გაჩერდა. ცხენი თითონვე წაიყვანა თავლაში, თითონვე მოუხარა და მერე ბაზრისკენ გასწია. დღეს საბაზრო დღე იყო და მთელი მოედანი სოფლებიდან ჩამოსულ ურმებით თუ ხალხით მთლად გაჭედილი იყო. ბიუტნერი ერთხელ და ორჯერ არა ყოფილა ამ ბაზარში და ამიტომ ნაცნობიც ბევრი გამოუჩნდა — მეწვრიმალები და ხელოსნები წამ-და-უწუმ უძახდნენ და თავ-თავიანთ დუქანში იწვევდნენ. მაგრამ ბიუტნერს დღეს იმათვის არა სცალოდა, რადგან სულ სხვა მიზეზით იყო ქალაქში ჩამოსული და სულ სხვა რამე აფიქრებდა. ჯერ

თავისი საქონელი უნდა გაეყიდნა სარფიანად და მერე ნახავდა სავაჭროთ დარჩებოდა რამე თუ არა.

მოედანზედ ერთი კუთხე იყო, სადაც ხორბლეულობით ვაჭრობა იყო გაჩაღებული. ეს კუთხე ვისაც კი ან გაეყიდნა როდისმე, ან ეყიდნა ხორბლეული, უველამ კარგათ იცოდა-ბიუტნერი ჯერ არც კი მისულიყო ამ ადგილს, რომ ვიღაც ვაჭარი მიეგება ხელებ გაწვდილი და ჩამოსვლის მიზეს დაე-კითხა. ცოტა ხნის შემდეგ შეგროვილ გლეხის ჯგუფში ამო-ჰყო თავი; აქ მხარზედ არტყამდნენ და ეკითხებოდნენ, აქამ-დის სად იყავი და რატომ სადმე არა სჩანდიო. თითქმის სრუ-ლიად უცნობი ხალხის ასეთი ალერსიანი და ტკბილი მიგებე-ბა, ცოტა არ იყო, არცხვენდა მოხუცს და აკვირვებდა. მოტ-ყუილებას ხომ არ მიპირებენ? — ჯიუტად ჰფიქრობდა ბიუტ-ნერი და როცა დაეკითხნენ, ხომ არათერი ჩამოგიტანია გასას-ყიდა აო, ბიუტნერმა ურთხილი და თავდაჭერილი პასუხი მის-ცა. მერე ამ ჯგუფს თავი დაანება და მეორეში გადავიდა-როგორც ეტყობოდა, მოხუცს ჯერ მაზანდის გაგება უნდოდა-ხელები ზურგზედ შემოეწყო, დინჯის ნაბიჯით დადიოდა და ყოველ სიტყვას გულდასმით ისმენდა. მყიდველნი ძალიან ბევ-რნი იყვნენ და შვრიას კი უფრო მეტი შუშტარი ჰყავდა. რო-გორც სჩანდა, ცოტა საქმე არ გარიგებულიყო მოედანზედ, რომ საცა გინდოდა და არ გინდოდა, შეთანხმების ნიშნათ, მოვაჭრენი ერთმანეთს ხელს ართმევდნენ.

ცოტა ხნის შემდეგ ბიუტნერმა ბაზარს თავი დაანება და, მწარედ დაფიქრებული, სადღაც წავიდა. ვაჭრებს ცვირილზედ ეტყობოდათ, რომ გლეხის მოტყუილების სურვილით იყვნენ გატაცებულნი და ამ უამაღ სხვა არა აფიქრებდათ რა.

დღეს კი ბიუტნერს უსათუოდ ხელსაყრელათ უნდოდა შვრიის გაყიდვა, რომ ამ ზამთარს დაკლულ ძროხის ნაცვლად სხვა ეყიდნა.

ამ დროს შოაგონდა, რომ შარშან ქალაქის შიგ შუა ნა-წილში, ერთ კანტორაში, ძალიან კარგ ფასად გაჰყიდა ჭვავი და ეს კანტორა დღევანდლამდის არ ივიწყებს. ბიუტნერს და

სამ თვეში ერთხელ პრეისკურანტებს უგზავნის: ამ ორი თუ სამი დღის წინათაც მოხვდა ხელში ამგვარივე პრეისკურანტი. ფირმა აცხადებდა მოტანილ ხორბლეულში „დიდ ფასს“ გადავიხდით და ყოველგვარ საქონელს გამყიდველთათვის ხელსაყრელად ვიყიდით.

რატომ ისევ სამუილ გარჩასსოვიცს არ უნდა მივმართოდა ბედი ისევ იქ არა ვცადოო, — გაიფიქრა გლეხმა: თუ ვერა გავარიგე რა, ბაზარი და მოედანი ხომ არსად გამექცევიან?

გარჩასსოვიცს კანტორა ქალაქის ერთ-ერთ ვიწრო ქუჩაზედ დიდ სახლის ქვედა სართულში იყო მოთავსებული. ჯერ ქვით დაფენილ გრძელ დერეფანში უნდა შესულიყო აღამიანი, რომელსაც ეზოში მიჰყავდა, და იქ კანტორის კარებსაც მიაგნებდა.

ბიუტნერმა ჯერ კარი დააკაკუნა, დერეფანშივე მოიხადა ქული და მერე ძლივს გაჰშედა და მოწიწებით კანტორის კარები შეაღო. კანტორა გრძელ და ვიწრო ოთახში იყო მოთავსებული და მოაჯირით შუაზედ იყო გაყოფილი. მოაჯირს იქითა მხარეს რამდენიმე კაცი მაგიდებს მოსჯდომოდა და რაღაცა სწერდაა.

ვიღაც ახალგაზდა ბიუტნერის შესვლისთანავე ფიცხლავ ჩამოხტა სკამიდან გლეხს მიუხალოვდა და მოსვლის მიზეზს დაეკითხა. მოხუცმა მიუგო, ცოტაოდენი შვრია მაქვს გასასყიდი და თქვენ ხომ არ იყიდითო.

— რამდენი გექნებათ? — დაეკითხა ახალგაზდა კაცი და კალაშ სახელოზედ დაუწყო წმენდა.

— ასე ათიოდე ტომარა იქნება, — მიუგო გლეხმა.

ახალგაზდა კაცმა მედიდურად გაიღომა და მიუგო, — ჩვენ დიდიალ საქონელს ნარდად ვყიდულობთ მარტოო.

გლეხი ვერ მიუხვდა რის თქმა უნდოდა ახალგაზდა კაცს. ბიუტნერი დაეკითხა, მაგრამ მაინც ვერ ვაიგო და კვლავ დაეკითხა. მწერლები მოხუცისკენ მობრუნდნენ და იმის ძველ გემოვნებაზედ შეკერილ სერთუქს დაცინვით შეჰყურებდნენ.

ამ დროს მეორე თახიდან შუატანის კაცი გამოვიდა; ახლად გამოსული კანტორის პატრონ-ბატონი სამუილ გარჩა-სსოვიცი იყო. სამუილს ცხვირი მოკაუჭებული ჰქონდა, თავი მოტვლეპილი და წითელი წვერები ორათ გაეყო. კანტორაში მომუშავენი ფიცხლავ მიბრუნდნენ და ისევ წერა დაიწყეს.

გარჩასსოვიცმა მოხუცს თვალები დააშტერა, მერე მიუხლოვდა, ხელი გაუწოდა და უთხრა:

— გამარჯობა, ძვირფასო ბიუტნერ! რითი შემიძლიან გემსახუროთ?

გლეხს მეტად გაუკვირდა — საიდან უნდა მიცნობდეს ეს უცნობი კაცი და საიდან იცის ჩემი გვარიო? თითონ ბიუტნერს სრულიად არ აგონდებოდა უცნობი ბატონის სახე, ისე რომ, მგონი, არასოდეს არ შეხვედრია და არ უნახავს.

— მე კარგათ გიცნობთ, ბ. ბიუტნერ! — განაგრძო ვრჭარა. — თქვენ ცნობილი პირი ბრძანდებით. თქვენ ჩინებული მამულის პატრონი ხართ გალბენაუში, არა?

გლეხი ხახა დაღებული და თვალებ დაჭუებული იდგა და, გაკვირვებული, გონს ვეღარ მოსულიყო.

— მე მშვენიერათ გიცნობთ, ბ. ბიუტნერ, მშვენიერათ! პო, აბა რა სამსახური შემიძლიან გაგიწიოთ?

ამ დროს ახალგაზდა კაცმა თავის ბატონს რაღაც წასჩურ-ჩულა.

— რაღა ლაპარაკი უნდა, ბიუტნერის მოტანილ შვრიას იყიდდით კიდეც, ბელვიც, არა? — ხმა მაღლა დაეკითხა ვაჭარი.

— მე მეგონა... — დაიწყო ახალგაზდა კაცმა.

— რა იყო, რა გეგონა! თქვენ მარტო გგონიათ და მე კი ამისთანა ვაჭარს მაკარგვინებთ. რასაკვირველია, ვიყიდით, ბ. ბიუტნერ, თქვენ შვრიას! ჩვენ არც კი გავსინჯავთ ხოლმე თქვენგან მოტანილ საქანელს, ისე ვიყიდით მუდამ. შვრია ქალაქში გაქვთ ჩამოტანილი?

გლეხი დიდი ხანი ეძებდა და ბოლოს სერთუკის უკანა ჯიბიდან ტილოს პატარა ტოპრაკი ამოიღო და გარჩასსოვიც გაუწოდა.

— რა, ნიმუშია? რა საჭირო იყო, ბ. ბიუტნერ, უმაგი-
სოთაც კარგათ მოვრიგდებოდი! თქვენ საქონელს გასინჯვა-
არა სჭირდება. ლაპარაკი არ უნდა, პირველი ხარისხისა იქ-
ნება.

მიუხედავათ ამ სიტყვებისა, გარჩასსოვიცმა მაინც გახსნა
ტოპრაკი, ხელის გულზედ წამოჰყარა შვრია და კათ ხანს სინ-
ჯავდა.

— აკი გითხარით, ვიყიდიო. მეთქი! ჩვენზედ მეტს არა-
ვინ მოგცემს ქალაქში! ბელვიც, აბა ვინმე გაგზავნეთ „თავ-
გამეტებულ გმირის“ სასტუმროში. შვრია აქ უნდა მოვიტა-
ნოთ. თქვენ კი ჩემთან შეწიარეთ. მიამბეთ რა ამბებია სო-
ფელში, მოსავალს როგორი პირი უჩანს და ხომ კმაყოფილი
ზართ თქვენის ბედისა.

გლეხს ჯერ გონება არც-კი მოეკრიფა, რომ მეზობელ
ოთახში ამოჰყო თავი. ამ ოთახის ერთად-ერთი ფანჯარა ეზო-
ში გადიოდა. წითელ წვერა ღაჭარმა თითქმის ძალით ჩასვა
გლეხი სავარძელში და თითონაც იმის პირ და პირ მაგიდის
შინ ჩამოჯდა.

— აბა, ჩემო ძვირფასო, როგორ მიდის თქვენი საქმე
გალბენაუში? მე კარგათ ვიცი იქაური ამბები. მიწა ისე, სა-
შუალოა და ცოტა მაღლობი ადგილია, არა? დაგვიანებული
ზამთარი ცოტას შეგაწუხებთ ხოლმე. ჭვავს ჯერ კარგი პირი
უჩანს, მაგრამ ბოლოს მარცვალი მსუბუქი გამოდის ხოლმე,
არა? ვიცი, ყველაფერი კარგათ ვიცი. აბა, ახლა ის მითხა-
რით, გაზაფხულის ნათესების საქმე როგორლაა?

— ეხლა ჩემი ვაუი და ქალი კარტოფილსა სთესენ, მერე
ჭომბოსტო-ლა დაგვრჩება. მე მგონი, ერთი-ორი კვირის შემ-
დეგ სუყველაფერს მოვრჩებით.

— მომილოუავს, მომილოუავს! უსათუოდ ოჯახი დიდი
გექნებათ, ბიუტნერ?

— დიალ, საქმარისი გახლავართ, ბატონო, — ლიმილით
მიუგო გლეხმა.— შეილის - შეილებით რვა ხანა გვაქვს მშიერი
და ყველას ჭამა უნდა... დიალ!

— მერე რა უშავს, სანაცვლოთ, ხვნისა და მკის
დროს მუშა ხელიც თქვენ გიხაროდეთ, — არა, ბ. ბიუტნერ? დიდი ოჯახი ღვთის კურთხევაა, მით უმეტეს გლეხი კაცის-
თვის. მე ვიცი როგორცა სცხოვრობენ სოფელში, მშვენივ-
რათ ვიცი. მერწმუნეთ, ბატონი, კარგად ვიცი. შემოდგომის-
ნათესი როგორილაა?

გლეხმა უამბო, რომ ჭვავმა ჩინებულათ გაატარა ზამთარი
და თითქმის სრულიად არ დაძრულაო.

— სანახავათაც-კი სასიამოვნოა, მე და ჩემმა ღმერთმა.

— სასიამოვნოა, ღმერთმანი, ზაგისთანა კარგ ამბების გა-
გება! როგორც გეტყობათ, კაი მოსავლის იმედი უნდა გქონ-
დეთ. მაშ წლეულს გლეხები ფულებს იშოვნიან, ჰა? თუ გლეხს
ექნება ფული და მაშინ ხომ ყველას ექნება.

— თქვენ პირს შაქარი!.. რასაკირველია, ძალან კარგი
იქნება, ბ. გარრასსოვიც! — მიუგო თავის ქექით გლეხმა. —
მხოლოდ ეხლა კი ვერსად იშოვნი ფულსა. ღმერთო, ღმერთო,
როგორ გაძნელდა ამ ბოლოს დროს ფულის შოვნა!

— ჰო, მაგრამ თქვენ კი საჩივლელი არა გაქვთ-რა, ბიუტ-
ნერ! თქვენი ბამულის პატრონი როგორ უნდა სჩიოდეს? ნება
მიბოძეთ გკითხოთ რამდენი მორგენი მიწა გაქვთ?

— ტყავანათ ორას სამოც და ათი მორგენი *) იქნება.

— რას ამბობთ? ეგ ხომ მებატონის მამულსაც არ დაუ-
ვარდება. კიდე რომ წუწუნებთ! ლარიბმა ხალხმა რაღა უნდა.
ჰქნას, მაშ!

— გაღასახადები და ვალები რომ არ ყოფილიყვნენ, კი-
დევ რა უშავდა.

— ვიცი, ვიცი, რომ სოფლად ცხოვრება გაჭირდა. განა
გალბენაუში გადასახადი და ბეგარა ეგრე დიდია, რომ სჩივით?

პასუხათ ბიუტნერმა მთლად გადუშალა გული და სული-
გარრასსოვიც გულმოდგინეთ უგდებდა ყურსა; მხოლოდ დრო
გამოშვებით თუ ჩაურთავდა სიტყვას, მაგრამ ისეთ სიტყვას-კი,

*) გერმანიში 384 კვ. საჟ.

რომელიც უფრო გულახდილათ ალაპარაკებდა გლეხს. ბოლოს იმ საგანსაც მიუახლოვდა ბიუტნერი, რაც მძიმე ლოდივით აწვა გულზედ და მოსვენებას არ აძლევდა: ბიუტნერმა თავის მძლავრ მეზობელზედ და იმის მამულ სალანდზედ დაიწყო ლაპარაკი.

— დიაღ, მე სრულიად გეთანხმებით, ბ. ბიუტნერ, — შესძახა ვაჭარმა.— მაგისთანა მძლავრი მეზობლის ყოლა, რასაკვირველია, სახუმარო არ არის. მაგისთანა ხალხი ისეთი გაუმაძლარი და ხარბია, რომ მზათ არის უკანასკნელი ლუკმაც კი პირიდან გამოჰველიჯოს საწყალ გლეხს. ჩვენი ხალხისთვის ეგ დიდი ზვარები და თვალ გადუწვდენელი მამულები სასიკვდილო სენს წარმოადგენ. თავისუფალი და დამოუკიდებელი გლეხობა სახელმწიფოს კეთილდღეობის საფუძველი ყოფილა და კიდეც იქნება მუდამ. თუ გლეხი არ გვეყოლება, ჯარის-კაცებს ვინდა მოგვცებს მაშინ, ვინ? სად უნდა ვიშოვნოთ ჩვენი ჯარისთვის საჭირო ჯანსაღი ახალგაზდა კაცები, თუ არ გლეხობაში? თქვენი მამული რამდენიმე მხრით საზღვრავს სალანდს თუ მარტო ერთის მხრით?

გლეხმა უამბო, რომ თითქმის ყველა მხრიდან ვარ შემოზღუდულიო და თან ნათესების გაფუჭებაც უამბო.

— საშინელებაა! — შესძახა ვაჭარმა და ისე აჩვენა თავი; თითქოს ძალიანა სწუხს გლეხის უბედურებასაო. — აბა, სადა სცალიან გრაფსა, რომ ვიღაც გლეხის ნათესების გაფუჭებაზედ თავი შეიწუხოს. ძალიან სამწუხაროა ყველა ეს, ძალიან! გრაფი ხომ არ შემოგვაჭრებიათ როდისმე მამულსა?

ბიუტნერმა გამოუტადა, რომ გრაფი ეხლაც მევაჭრება ტყესა, მაგრამ მე გადაწყვეტილი მაქვს ერთი მტკაველიც კი არ დაცუთმო ჩემი მამულიდანაო. ამის გაგონებაზედ გარჩასსოფიცა ყურები დაცევიტა და მთლად სმენად გადაიქცა. მერე, თითქო გლეხის დარღით შეწუხდაო, ისიც დაფიქრდა.

სამწუხაროა, სამწუხარო! მერე ყველა ეგ როგორ აღატა-კებს კაცს. რამდენი დარღი და საფიქრებელი გაქვთ, ძვირ-

ფასო ბიუტნერ! იქნება დაგირავებულიცა გაქვთ მამული, მაშინ ხომ აშენდებოდა თქვენი ოჯახი!

— ოჰ, ღმერთო! ღმერთო! — გარჩასსოვიცისაგან თითქოს გულუბრყვილოთ ნათქვამ სიტყვებზედ გულ მხურვალეთ შესძახა გლეხმა და ფეხზე წამოხტა. — ვალები, ვალები. იმდენი ვალი მაქვს, რომ ვეღარც კი ვსუნთქავ იმათ სიმძიმის ქვეშ. ცოტა ნაკლები რომ მქონოდა ვალი, კიდევ, როგორც იქნებოდა, ფეხზედ წამოვდგომიდი და წელში გავიშლებოდი, მაგრამ ვალებს რა ვუყო?

— ძალიან დიდი ვალი გაქვთ? ამას მე, როგორც მევრბარი, ისე გეკითხებით.

ერთ წუთს გლეხი გაჩერებული იყო, ეტყობოდა, გულში ვალებსა სთვლიდა და მერე გულჩათუთქულმა ძლივს-ლა წარმოსთქვა.

— ოც-და-ორი ათასი მარკა იქნება.

ვაჭარმა ოდნავ დაუსტვინა, თავი გააქნია და წარბები მაღლა ასწია.

— კარგა ბლომათ ყოფილა.

— ხომ ბევრია, არა? — დაეკითხა გლეხი, საოცრათ მოკუშშა და ნაღვლიანათ მიწას ჩააჩერდა.

— კარგი და სარგებელის გადახუას როგორდა ჭხერხებთ, რომ არ მესმის? — ამ სიტყვებთან გარჩასსოვიცმა პატარა ქალდი აიღო და ანგარიში დაიწყო.

— დიაღ, ძვირფასო ბიუტნერს, აქ არაფერი გამოდის! როგორა სკოვრობთ მიკირს!.. მერე ისიც მაგოდენა ოჯახით. ეგ ყოვლად შეუძლებელია! თქვენ თავს ატყუილებთ მხოლოდ და მეტი არაფერი.

— ძნელია, ძნელი, — ოხვრით წარმოსთვა ბიუტნერმა, — ხანდახან იქამდის მივა ხოლმე საქმე. რომ მზათა ხარ შენივე თავი დააგირავო, ოლონდ საზმე იშოვნო სარგებლის შესატანი ფული. ისეც ყველაფერში უარს ეუბნები შენ თავსა და დილიდან საღამომდის მოყოლებული მუშაობ გამუდმებით. კუჭის ვერ გაიძლობ, რადგან საითაც მიიხედავ, ყველგან რამე გაკლია

და რამეა საჭირო. რაღაც ცხოვრებაა, როცა ისე გახვევია ვალი, როგორც ძალლს რწყილი.

— მერე ეგრე გულგრილად იტანთ ყველაფერს? სწორედ გითხრათ, არ გაქებთ, რომ მოვალეებისთვის ეგრე იშუხებთ თავსა.

— იმათ რა მერე, რომ მე ვიტანჯვი? ეგ მამული ეგრე ვალებით დატვირთული მივიღე. ჩემმა ნათესავებმა მაგაზედ იაფად არ დამითმეს და რა მექნა.

— აქ ერთი სახსარი-ლა დარჩენალა, ჩემო კარგო — მიუგდოთ ეგ მამული თქვენს მოვალეებს და ამით თავი დაალწიოთ. მოკლეთ და გარკვევით უთხარით: მე აღარა მსურს ამ მამულის წარმოება. და სხვა ვინმემ სცადოს სარგებლის გამოლება და მე კი გამანთავისუფლეთ, მეყოფა ამდენი ტანჯვა. აბა უყურეთ როგორ დაიღრიჯებიან. ერთი არავინ მოჟკიდებს ხელს, ნუ გეშინიანთ! მაშინ ყველანი მოვლენ და მუხლებზედ ჩოქვით შეგვედრებიან, ისევ შენ მოჟკიდე ხელიო. არ იზამენ ასე და სრულიად დაეკარგებათ გირაოს ქალალდები. ამისთანა საქმეები ერთხელ და ორჯერ არ გარიგებულა. თქვენ თითონ გამოაცხადეთ მამულის საჯაროთ გასყიდვა, რადგან სხვაფრივ ხსნა არ არისთქო, აბა უყურეთ, როგორ დაჭკვიანდებიან თქვენი მოვალეები. იქნება თქვენვე იყიდოთ მერე ან რომელმამე თქვენმა შვილმა და მაშინ ცოტაოდენი ვალი შეგიმსუბუქდებათ. ამისთანა საქმეებში ცოტა ფრთხილად კი უნდა იყვეს ადამიანი! სხვა სახსარს ვე არაფერს ვხედავ. კიდევ მაღლობა ლმერთსა, რომ ერთი სახსარი მაინც დარჩენილა!

ბიუტნერმა თავი გააქვიდა. რასაკვირველია, მოხუცმა სრულიად ვერ გაიგო ამ წინაღდების აზრი, მაგრამ პატიოსნებამ მაინც წასჩურჩულა, რომ კაი საქმეს ვერ ეუბნებოდნენ.

გლეხმა გამოაცხადა, რომ მე ჩემ მამულში მინდა დავრჩე და იმედი მაქვს, როგორმე გავისტუმრო სარგებელი, თუ ღმერთი მიშველის და ცოტა კარგი წლები დაგვიდგება და ვინმე დამეხმარება ეხლაო.

ამ დროს სასტუმროდან შერიცაც მოიტანეს. კანტორიდან ახალგაზლა ვაჟი შემოვიდა და გამოაცხადა, ტომრები მოვიტანეთ და ეზოში დავალაგეთო.

— მაშ მიიღეთ, ბ. ბიუტნერ, თქვენი ფული—მიუბრუნდა ვაჭარი,—იქ პირველ ოთახში მოითინეთ, მე თითონ გამოგყვებით.

გლეხმა ფული მიიღო და, რასაკვირველია, ფულის მიღბაში ხელი უნდა მოეწერა, მაგრამ ხელის მოწერა ასე ადვილი არ გამოდგა, რადგან დიდი ხანი იყო, რაც ბიუტნერის ხელი წერას გადაეხებია, ბოლოს როგორც იყო, მაინც მოახერხა და ქალალდზედ თვისი სახელი და გვარი გამოიყვანა.

მიუხედავად იმისა, რომ ბიუტნერმა ფული დაითვალა და ქისაშიაც კი ჩააწყო, მაინც არ მიღიოდა. ის გაჩერებულიყო ერთ ადგილის, ხელში შლიაპას ატრიალებდა და თითქოს რალაც დაწრდისა და ვარმის შესახებ ლაპარაკს აპირებდა.

მოხუცის ასეთი საოცარი საქციელი შეუმჩნევლად არ გამოეპარა ვაჭარს, რომელიც დახლთან გაჩერებული ვიღაცას ელაპარაკებოდა.

— რა იყო, ბ. ბიუტნერ, იქნება რამეთი შემიძლიან კიდევ დაგეხმაროთ? ჩვენ ნიადაგის გასანოყიერებელი სითხე უვაჭვს დამზადებული, ხომ არ ინებებთ?

— არა, რათ მინდა! — მიუგო გლეხმა. — ეგ არ მინდა მაგრამ სხვა რამეზედ მინდოდა თქვენთან მომელაპარაკნა, — იქნება რამეს მირჩევდეთ, ერთ გირაოს ქალალდით ვალის გადახდას თხოულობენ და უკანასკნელ ვადათ ივანობა დღე დამინიშნეს!

— ჰოო! — შესძანა ვაჭარმა და გლეხს თავი გაკვირვებულად აჩვენა. — ამ საქმეში კი ვერაფერს გირჩევთ, რადგან გირაოებისა მე არა მესმის-რა... მაგრამ მიუხედავათ ამისა გლეხი შეორე ოთახში გაიწვია მაინც.

— მაშ ეგრე, თხოულობენ ივანობა დღისთვის ვალი გადაიხადეო? ეგ გირაოს ქალალდი შერამდენეა რიცხვით? რამდენი სარგებელია? ვადა როდის გასდის?

გარჩასსოვიცა დაწვრილებით გამოჰკითხვა ყველაფერი და მერე რაღაცის ანგარიში დაიწყო. მოხუცი კი მოუსვენრად ადევნებდა გარჩასსოვიცის სახის გამომეტყველებას თვალსა და შეძრწუნებულზა შენიშნა, რომ ვაჭარმა ჯერ ნაღვლიანათ თავი გააქნია და მერე წარბებ აწეული რაღაცაზედ დაფიქრდა.

ბოლოს გარჩასსოვიცი წამოდგა ფეხზედ, მიუახლოვდა გლეხსა და შიგ სახეში ჩააშტერა თვალები. მერე გამოუცხადა, ფულებს მე თითონ ვერ მოგცემ, რადგან მე ვაჭარი ვარ და გირაოებში ფულის მიცემა ჩემი საქმე არ არისო. მაგრამ რა კი ჰედავს, რომ ბიუტნერი პატიოსანი კაცია და იცის, რომ არავის მოტყუილებას არ იკადრებს, უნდა როგორმე დახმარება გაუწიოს, იმას ერთი მეგობარი ჰყავს, რომელიც მაგისთანა საქმეებში ძალიან გამოცდილია. აი, სწორედ იმ კაცთან წაიყვანს და შეიძლება იმ მეგობარმა ფულიც კი მისცეს ბიუტნერს, მაგრამ ამ საქმეს მარტო მეგობრობით და ნაცნობობით იყისრებს, თორემ მაგგვარ საქმეებს გარჩასსოვიცი არასოდეს ხელს არ მოჰკიდებს.

ამ სიტყვებთან გარჩასსოვიცი ტელეფონს მიუახლოვდა და ზარი დარეკა.—გამარჯობა! ბ. შენავრეგერი კანტორაში მომანდება? ცოტაოდენი სალაპარაკო მაქვს... გმადლობთ!

გლეხი განცვიფრებული შეჰყურებდა რაც ჰედებოდა იმის თვალშინ. იმას მთელ თავისს სიცოცხლეში ლაპარაკითაც კი არ გაუგონია ტელეფონზედ რამე არა, თუ თავისს საკუთარი თვალით ენახა ასეთი საუცხოვო მანქანა.

გარჩასსოვიცი გაჩერებულიყო ტელეფონთან და სიცილით წელში ცხრათ იხრებოდა, რადგან გლეხის განცვიფრება შეტად სასაცილოთ მიაჩნდა.

— აბა, ეს ყურზედ მიიდეთ!—მიუბრუნდა გარჩასსოვიცი გლეხსა და მანქანის ერთი ნაწილი მიაწოდა.—მიიდეთ, რისა გეშინიანთ, ხომ არ გიკბენთ.

მაგრამ გლეხის შეცდენა ეგრე აღვილი არ იყო.

ამ დროს პასუხიც მოვიდა.

— ჰო, გარჩასსოვიცი... დიალ, დიალ!.. გამარჯობა, შენ-
ბერებული. აქ კანტორაში ერთი გალბენაუელი მემამულეა, ბ.
ბიუტნერი. გირაოს ქალალდი სხვა პირზედ სურს გადაიტანოს—
შეიძლება შემოვიაროთ?

ამის შემდეგ ხანგრძლივი სიჩუმე ჩამოვარდა და გარჩა-
სსოვიცი გაფაციცებით ტელეფონს ყურს უგდებდა.—მერე
უცებ გადიხარხარა; დაცინვით გადახედა გლეხსა და ჩასახა-
ტელეფონში:

— კაფეერუს¹⁾ უჭირს ძალიან... ფეინეს მასსემატენ...²⁾
რას ლაპარაკობ?! შენ მეშუკე.³⁾ როგორ? მაგას რაღა ლა-
პარაკი უნდა. რასაკვირველია კიპპედ⁴⁾ უნდა გავაკეთოთ...
არ მესმის! კაფეერი ნახევრად მეხულეა⁵⁾). დარღი ნუ გაქვს
რებუსსიმს⁶⁾ მოგცემ. კარგი, კარგი. მოვალთ მაშ! მშვიდო-
ბით! გათავდა!

— ამას ტელეფონი ჰქვიან, ჩემო კარგო!—მიუბრუნდა
გარჩასსოვიცი და სიცილით მხარზედ ხელი დაჭრა გლეხს.—
ხედავთ ჩვენჯან რამდენი რამე ისწავლეთ? ეხლა შეგიძლიანო
სოფელში უამბოთ თქვენს ნაცნობებს.

მერე დაუმატა, უხლა კი შენბერგერთან უნდა წავიდეთო
და კარებისკენ გასწია.

ისიდორე შენბერგერის საკომისიო კანტორა ქალაქის
მეორე ნაწილში, იმგვარსავე მისახვევში იყო მოთავსებული,
როგორშიც გარჩასსოვიცის კანტორა. გარჩასსოვიცი პირ-
დაპირ კანტორაში არ შევიდა, ირგვლივ მოუარა და გლეხი
ეზოდან შეიყვანა კანტორის უკანა ოთახში.

ამ ოთახში საწერ მაგიდას ვიღაც სქელი თავ-მოტვლეპი-
ლი კაცი უჯდა. მისი დიდორნი, შავი და ჩაცვიცნული თვალე-
ბი მოკალქებულ ცხვირთან შეზავებით უცნობ კაცს ბურნაჭოს
ამგზავსებდნენ.

— გამარჯობა, შენბერგერ!

— გაკიმარჯოს, სამ.

1) ე. ი. აზა. ურიას²⁾). ხელიაყრელი საქმეა³⁾). გადარულხარ⁴⁾). სა-
ნახევროთ⁵⁾). გაუგებარია⁶⁾). მოგებას.

სქელი კაცი იჯდა ტყავის გაცვეთილ სავარძელში და არც კი მოძრაობდა, თითქოს სავარძელს შესისხლხორცებია საშუალამოთაო. გარჩასსოვიცს, რომელსაც ვაჭრები ასამათ იცნობდნენ, როგორც ეტყობოდა, მშვენივრად უნდა სცოლნოდა თავისი მეგობრის ჩვეულებები. გარჩასსოვიცმა ორი სკამი მიღება მაგიდასთან, ჯერ გლეხი დასვა და მერე თითონაც ჩამოჯდა.

— აი, ჩემი კაი მეგობარი ბ. ბიუტნერი მოგიყვანეთ. პატიოსანი და მართალი კაცია და თქვენ თავისუფლათ შეგიძლიანთ ენდოთ და რამდენიც გინდათ, ასესხოთ ფული.

შენბერგერი უსიამოვნოთ შეიშმუშნა.

— ეხლანდელ დროში მამულების დაგირავება ძალიან საძნელოა და საშიშიც. ჩვენს დროში, როცა თითქმის ყოველ დღე გესმის მამულების საჯაროთ გაყიდვის ამბავი და როცა გლეხები უფრო ხშირად აცხადებენ თავს გაკოტრებულად, ვიდრე ვაჭრები და მრეწველები, მეტად ძნელია მათი ნდობა.

— მე შემიძლიან თავდებათ დავუდგე ჩემ მეგობარს. — შესძახა გარჩასსოვიცმა. — ბიუტნერი ძველებური კაცია. ამას ისე შეგიძლიანთ ენდოთ, როგორც ანდამატის მთასა! — ამ სიტყვებთან ერთად გარჩასსოვიცმა მხარზედ დაჭრა ბიუტნერს ხელი: — რას ლაპარაკობს? მე და თქვენ კოტრად ხომ არაოდესარ გამოვაცხადებთ თავსა, როგორა გვინიათ?

მაგრამ ისიდორე შენბერგერი არას გზით არა სთანხმდებოდა თავისს მეგობარს. ის ირწმუნებოდა, რომ ბოლოს დროს ბევრგან წავაგე პკუა და ძალიან დავისაჯეო. სარგებელს არ მაძლევდნენ და თუ საჯაროთ გავყიდე მამული, ჩემ ფულს ვერ ვინაზლაურებო.

— რავენა, მე ხომ გეუბნებით ამ კაცს თავისუფლად შეგიძლიანთ ენდოთ მეთქი! მე ჩემი პატიოსანი სიტყვით თავდებათ ვუდგები ბ. ბიუტნერს! აბა ერთი შეხედეთ, ბ. შენბერგერ, განა ამას შეუძლიან გვაზარალოს? თუ გეუბნებით, ეს კაცი საიმედოა მეთქი, მაშასადამე, საიმედო ყოფილა და ამას გაგება უნდა.

— სადა მდებარეობს ეგ დაგირავებული მამული? — და-
კითხა შენბერგერი, რომელიც მეტის-მეტ გულგრილათ
ეპყრობოდა ამ საგანს და გაცხარებულ გარჩასსოვიცისაგან ძა-
ლიან განსხვავდებოდა.

— საკა უნდა იყვეს, სულ ერთი არ არის! — შესძახა გარ-
ჩასსოვიცა. — საუკეთესო მიწის ორას მორგზედ მეტია დაგი-
რავებული. ეს საქმე სიკვდილსავით აუცდენელია და ნამდვი
ლი.

— მაშ რათა თხოულობენ ვალის დაბრუნებას? — დაეკით-
ხა შენბერგერი.

— ეს გირაოს ქაღალდი ამის ძმას უჭირავს ხელში და
თუ ფულსა სთხოვს, მხოლოდ იმიტომ, რომ თითონ ძალიან
უჭირს ამ უამათ ფული. ალბათ, ჭიუაზედ თუ შეიშალა, რომ
ამისთანა გირაოსა ჰკარგავს. მე გირჩევთ, შენბერგერ, მიეცით
ფული, თუ ჭიუა გაქვთ, უარს ნუ ეტყვით!

შენბერგერმა დავთარი გადმოილო, ყარანდაშს წვერი
მოუსველა და ბიუტნერს მოუბრუნდა, აბა ჩამომითვალე რამ
დენი ვალი აქვს შენს მამულსაო.

ბიუტნერს ცოტა დრო არ დასჭირდა, რომ ყველა ციფ-
რები მოეგონა, თუმცა ბოლოს კი მაინც ყოველი ვალი, ყო-
ველი გროვი და კაპიკი ჩამოსთვალა.

ყველაზედ უწინ ოთხი ათასი საერობო დაწესებულებას და
მერე ძმები და დები მოსდევდნენ: კარლ ლეტი. და გოტ-
ლიბი, აწ გარდაცვლილი და კაროლინა, რომლის მაგიერ ერნ-
სტკაშელი და მისი შვილები არიან მეტყვიდრეები. და მერე
მეორე და — ერნესტინა ყველა ამათგანს თანასწორი უფლებები
აქვთ და თანასწორ ნაწილსაც მიიღებენ. ამის შემდეგ ახალი
ვალები და მათ შორის ერნსტკაშელის ათას შეიღასი მარკა.

შენბერგერი მშვიდათ იჯდა სავარძელში და ჩვეულებრი-
ვი სახის სასტიკი გამომეტყველებით ყოველ ციფრს დავთარში
სწერდა კაცს ეგონებოდა, ეს ქონათ გადაქცეული და და
სიებული სახე ვერც გაკვირვებას და ვერც აღელვებას ვერ
გამოჰქონდა ვერასოდესო.

— ეგ არის სულა? — დაეკითხა ბოლოს, როცა შეამჩნია, რომ გლეხი გაჩუმდა და აღარაფრის თქმას აღარ აპირებდა.

ბიუტნერმა გულის ფანცქალით თავი დაუქნია.

— კარგი, ფულს მოგცემთ! — ეს იყო; ამით დააბოლოვა ვაჭარმა თავისი ანგარიშები.

გარჩასსოვიცი სკამიდან წამოხტა.

— ნახეთ, აკი გეუბნებოლით, ჩემი მეგობარი შენბერგერი კარგი და პატიოსანი კაცია. მეთქი? ჰედავთ, უარს არ გეუბნებათ და ფულს გაძლევთ!

— რა სარგებელს აძლევდით თქვენ ძმასა? — დაეკითხა შენბერგერი.

— ოთხ პროცენტს, — მიუგო გლეხმა.

— მე კი ხუთი უნდა მაძლიოთ და სამ თვეში ერთხელ უნდა ჩამაბაროთ ხოლმე ფული. — ჩემი პირობა ეს არის.

ამ სიტყვებზედ, თითქო მძამე ლოდი მოეშვა გულიდანაო, გლეხმა თავისუფლად ამოისუნთქა. ის სულ სხვანაირ პირობებს ელოდა.

— აჲა, აკი გითხარით! — შესძახა გარჩასსოვიცა. — ლმერთო: რა ლვთისნიერი კაცია ეს შენბერგერი! ხუთ პროცენტს მეტს არა თხოულობს! ამაზედ კარგათ საქმეს ვერსად ვერ გაარიგებდით, ბიუტნერ!

გლეხი თითონაც ასე ჰეთიქრობდა ეხლა. ბიუტნერის უეშ-მაკო გულში მადლობის გრძნობა გაღვივდა. მართლაც სახუ-მარო ხომ არ იყო? ამისთანა გაჭირვებაში ასეთ დახმარებას უწევს ვილაც უცნობი კაცი. ის მივიდა შენბერგერთან და წინ გაუჩერდა. მერე ჩამოართვა თეთრი, გაფუფუნებული და მრავალ ბეჭდებით მორთული ხელი და ხესავიჩ მაგარი და მზისგან დაწითლებული ხელი მოუჭირა.

— გმადლობთ, ბ. შენბერგერ, დიდათ გმადლობთ! ლმერთო: სამაგიერო გადაგიხადოთ. დიდი ვარამი მომაშორეთ, დიდი.

ისიდორე შენბერგერმა ისევე უკმაყოფილოთ გადახედა, როგორც ყველაფერს უყურებდა ცხოვრებაში, რაც ციფრებით

არ იყო გაშოხატული, მერე ოდნავ დაუკრა თავი, გამოთხოვდას ნიშნათ, და ისევ ქალალდებს ჩაცეცა თვალები.

— აბა, ეხლა ნატარიუსთან წავიდეთ, ბ. ბიუტნერო, და შერე ცრთ მოხელესთან, რომელსაც მამულების წიგნები აბა რია, — მიუბრუნდა გარჩასსოვიცი, დერეჭანში როცა გაჭიდნენ. — მართლა, ერთი რაღაც სულ სხვა საქმე მომავონდა, თქვენ ქუჩაზედ მომიცადეთ და მე ცრთ წუთს გადავცემ შენბერგერს რაც მინდა. სულ ერთი წუთი, მეტი არა!

მაგრამ ერთი წუთის ნაცვლად, სულ უკანასკნელ ათი წუთი მაინც აცდევინა გარჩასსოვიცმა. ბოლოს, როგორც იყო გამოვიდა და გლეხს ხელი ჩასჭიდა მკლავში.

— აბა, ჩემო ძვირფასო, წამო ეხლა გავათავოთ საქმე! ცრთი ქალალდი უნდა შევადგინოთ, რომ თქვენ უზრნუველ ყოფილი იყოთ და ეს ქალალდი თქვენა გქონდეთ. მე ჩემ ნატარიუსთან წაგიცვანთ, რომელიც ყველაზედ იაფად გაგიკეთებთ ყველაფერს.

ნატარიუსისა და სასამართლოს შემდეგ — სადაც ამ გვარ ხააქმებში გარჩასსოვიცი დიდ გამოცდილებასა და უნარს იჩინდა, ისე რომ ბიუტნერს ხელის მოწერა დასჭირდებოდა, — ორთავენი „თავ გამეტებულ გმირის“ სასტუმროში წავიდნენ. ამასობაში საღილის დროც მოვიდა და გლეხი წასასელელად გაეშადა. გარჩასსოვიცი არწმუნებდა ბიუტნერს, უეჭველად შემოვივლი გალბენაუში და გნახავთო, რადგან ჩემი თვალით ჩინდა თქვენი მამული ვნახოო.

— მობრძანდით, ბ. გარჩასსოვიც, მობრძანდით! — ეხვეწებოდა გლეხი. — პატიოსნებას გეფიცებით, ძალიან მასიამოვნებთ თქვენის ნახეოთ.

ამ სიტყვებით გამოეთხოვა ბიუტნერი გარჩასსოვიცს და წრფელის გულით ხელი ჩამოართვა.

მოხუცი ბიუტნერი ძალიან კარგ გუნებაზედ იყო. ჯიბე სავსე ჰქონდა შერიაში აღებული ფულით. ეს კიდევ არაფერი. ყველაზე კარგი და სასიხარულო კი ის იყო, რომ გირაოს

საქმე კარგათ გაარიგა. კიდეც ამიტომ იყო, რომ გული მხია-
რული ჰქონდა და ულილინებდა. იმას ეგონა, ქვეყნათ აღარც
დარდი, აღარც ნალველი აღარ არსებობდნო და მომავალიც
ვარდისა და იის ფერად ეჩვენებოდა. ეხლა ძროხასაც იმის-
თანას იყიდის, როგორიც დიდი ხანია ენატრებოდა—დიდ ჯი-
ქანა და თუ შეიძლება შავი იყოს და თეთრი ლაქები ეყაროს.
იმან გამოცდილებით იცოდა, რომ ამისთანა ჯიშის ძროხები
უფრო ბევრსა და კარგ რძეს იწველიან. ამ ოცნებიდან ეხლა
შხვაზედაც გადავიდა, უფრო გაბედულ და ძნელად ასასრულე-
ბელზედ. ბელეს დღევანდლამდინ ჩალა ეხურა, რომელსაც
შეკეთება ხშირათ სჭირდებოდა ხოლმე. აი, სწორედ ამ სახუ-
რავის გამოცვლაზედ ოცნებობდა ეხლა ბიუტნერი. ჯერ კი-
დევ გუშინ ეუბნებოდა მოხუცი თავის შეილს გუსტავს, რომ
თუმცა ძალიან საჭიროა ამ სახურავის გამოცვლა, მაინც ვერა-
სოდეს ვერ მოვახერხებ, რადგან საჭირო ფულს ვერას გზით
ვერ მოვუყრი თავსაო. დღეს კი აგერ ანგარიშობდა კიდეც რა
დამიჯდება და როგორ უფრო იაფალ გადავრჩებიო. ეხლა კი
საქმე კარგათ წავა! — პფიქრობდა გლეხი და სახეზედ კიმყო-
ფილების ღამი უკრთოდა და ძლივს გასაგონათ რაღაცას ღილი-
ნებდა, რაც ძალიან იშვიათად მოხდებოდა ხოლმე ბიუტნერის
ცხოვრებაში. მოხუცი თითქოს კვლავ გაყმაწვილდაო—სიმხი-
არულება და ცხოვრების—ბრძოლის სურვილს ძლივსღა იქერ-
და. ეხლა ვისმე, ფეხით მიმავალ მგზავრს რომ გასწორებოდა,
უსათუოდ მიიწვევდა თავის ურემზედ და მიიწვევდა მხოლოდ
იმიტომ, რომ თავისი სიმხიარულე და ბედნიერება სხვისთვი-
საც გაეზიარებინა. სამიკიტნოს რომ გაუარა, გაიფიქრა, კარგი
იქნებოდა შევსულიყავ და ერთი არაყი დამელიაო—ამგვარად
მხოლოდ დიდ დღესასწაულებში და მნიშვნელოვან დღეებში
თუ გაუმასპინძლდებოდა ხოლმე ბიუტნერი თავის თავსა. ის იყო
ცხენი უნდა გაეჩერებინა კიდეც, მაგრამ გაითიქრა—არაყის ხომ
გალბენაუს სამიკიტნოშიაც კარგათ დავლევო და აღარ გაჩერ-
და. გალბენაუში არაყის დალევა იმიტომ კი არ გადაწყვიტა,
რომ ნათესავის სარგებლობა ჰქონდა სახეში—სრულიადაც.

არა! ბიუტნერს მხოლოდ საძაგელის და ვერაგ მიკიტნის გაჯავ-
რება ედო გულში. ოკ, კაშელერნსტი როგორ გაცხარდება,
როცა გაიგებს, რომ ბიუტნერმა ფული იშოვნა და თითონ კი
ხუთი პროცენტი დაპკარგა...

გლეხმა ცხენები გარეკა. შურისძიების წინაგრძნობით
დამტკბარი ბიუტნერი გულში ჩუმათ იცინოდა. ძლივს, ერთხელ
შინუ გავაჯავრებ იმ კაცს, რომელმაც ამდენი შემავიწროვა და
ამდენი ზარალი მომცაო!

გალბენაუში სამიკიტნოს კარებთან გაჩერდა ბიუტნერი
და შოლტს ტლაშუნი აუტეხა.

შოლტის ტლაშუნზედ სამიკიტნოდან კაშელის შვილი
რიხარდი გამოვიდა. ახალგაზღა კაცი საოცრათა ჰეგავდა თავის
მამას, მხოლოდ იმ განსხვავებით, რომ მამაზედ ცოტა მაღალი
იყო. ტანით, ცხვირი ჯერ არ დაწითლებოდა და თვალებში
მუდამ ცრემლი არ ჰქონდა დაგუბებული. დანარჩენში ძალიან
წააგავდა მამას — იმასავით ვირთავეს მსგავსი სახე ჰქონდა, მამა-
სავით ილიმებოდა, მხოლოდ, რაკი ყმაწვილი იყო, უფრო
მოუხეშავი და უგვანი გამოსდილა ყველა ეს.

ბიუტნერი დაეკითხა — თითონ მიკიტანი შინ ხომ არ
არისო.

— ეს არის, ეხლა წავიდა მინდორში, — მიუგო ყმაწვილმა
და კბილები დაღრიჭა.

გლეხმა უბრძანა არაყი მომიტანეო.

— კარგისა? — დაეკითხა უმგზავსის ლიმილით რიხარდი და
თან თვალი ჩაუკრა ბიძას.

— მაგას რაღა ლაპარაკი უნდა! ცუდ არაყი მე რაღ დავ-
ლევ. თუ ცუდი არაყიცა აქვს მამაშენსა და დაე თითონ და-
ლიოს! გესმის! — დაუყვირა ბიძამ რიხარდსა.

მამაშავით წინდებში და ხის ქოშებში გამოწყობილი რი-
ხარდი შევიდა სამიკიტნოში და ის წუთსვე ბოთლით და ჭი-
ჭით ხელში სირბილით გამოვიდა კარში.

გლეხმა გადახუხა არაყი, დაიღრიჯა და დაეკითხა:

— რა ლირს?

რიხარდმა ზრდილობიანად მიუგო, თქვენ ფულს არ გამო-
გართმევთო!

— რა ლირს მეთქი? — დაუყვირა გაჯავრებულმა გლეხმა.
— მე შენ გაჩვენებ როგორც არ გამომართმევ ფულსა! მე ვალ-
ში დარჩენა ჯერ საზოგადოთ არა მსურს და მით უმეტეს თქვენ
ვალში! მამაშენი საჩივლელადაც კი წავა მერე ორი პედენი-
გის გულისთვის! რა ლირს მეთქი არაყი?

რიხარდმა უთხრა რაცა ლირდა. გლეხმა მედიდურად გა-
სხნა ქისა და კაი ხანი ჰქექა, თან ცალი თვალით რიხარდს უყუ-
რებდა, რადგან ძალიან უნდოდა გაეგო ამოდენა ფული რა გა-
ვლენას იქონიებდა ახალგაზღაზედ. ბოლოს, როგორც იყო,
ძლივ ძლივობისას ამოაძრო ოქრო და დახურდავება უბრ
ძანა.

ბიუტნერმა ხურდა ქისაში ჩაიდო და, მითომც არაფერიაო,
მიუბრუნდა რიხარდს.

— შეგიძლიან მამაშენს უთხრა, რომ შვრია კაი ფასად
გავყიდე და გირაოს საქმეც მოვაწესრიგეთქო. მე ეხლო აღარა
მინდა-რა და არც არავის შემწეობას ვსაჭიროებთქო.

ამ სიტყვებთან ცხენს შოლტი გაუტლაშუნა და კმაყო-
ფილი გზას გაუდგა. კაშელერნსტი ყველაფერს გაიგებს და ბიუ-
ტნერის აზრიც ხომ ეს იყო. ამ ერთ შემთხვევაში კი კარგა
მოხვდა კაშელერნსტსა, — ჰავა კრობდა პიუტნერი.

▲

ბიუტნერების ეზოში ვიღაც ცხენოსანი შემოვიდა. უცნო-
ბის ცხენი მართალია ბებერი იყო, მაგრამ სანაცვლოთ ნამდვილ
იანგლისურის ჯიშისა იყო და, როგორც ეტყობოდა, წარსულ-
ში ბევრი კარგი დღე უნდა ჰქონდა ნანაზი. უნაგირი და
უზანგი ისეთი ჰქონდა, როგორებსაც უმეტეს ნაწილათ სამხე-
დრო პირები ხმარობენ ხოლმე.

მოყვანილობასა თუ ცხენზე ჯდომაზედ ცხენოსანს ცხა-
დათ ეტყობოდა, რომ ნააფიცრალი უნდა ყოფილიყო. უცნო-

ბი გამხდარი იყო და ასე ორმოცულა-ათის წლისა იქნებოდა. მზე მოკიდებული სახე ქერა, მაგრამ ჭალარა შეპარებულ, წვერით ჰქონდა მთლად დაფარული.

ეზოში ბიუტნერის ქალებს კაბები მაღლა აეწიათ. მზე მოკიდებულ ხელებში სამთითები ეჭირათ და იქვე იმათ გვერდით ნახევრად დატვირთულს, მაგრამ ჯერ ცხენ შეუბმელ, ურემს პატივს უდებდნენ...

— ბიუტნერი აქა ცხოვრობს?

— დიალ, ბიუტნერის სახლია ესა,— მიუგო უფროსმა დამ.

— თითონ ბიუტნერი შინ არის?

— მამა და კარელი მინდორში წავიდნენ, მიწის სახნავათ.

— საქმე მქონდა, ერთ საქმეზედ მინდოდა მომელაპარაკნა. ვერ დაუძახებთ როგორმე, მე მგონი, სახლში ემჯობინება მოლაპარაკება.

ტონის პირი დაელო და თვალებ დაჭიუეტილი გამოყრუებულსავით შეჰყურებდა უცნობ კაცს. მისი გრძელი წვერი, წითელი ხელთათმნები და ვერცხლის თავიანი მათრახი,— მეტად აკვირვებდნენ სოფლის გოგოს. ტონის ისე გულიანათ უნდოდა სიცილი, რომ პასუხის მიცემაც კი დაავიწყდა.

უფროსი დის ნაცვლათ უცნობს ერნესტინა გამოელაპარაკა, რომელიც უფრო ფხიზელი და მიხვედრილი ქალი იყო. ერნესტინამ თითქმის შეუმჩნევლად კაბა ჩამოიშვა, ისე რომ უცნობი კაცი პატივში მოსვრილ კანკებს მაინც ველარ დაუნახავდა. და მერე დარბაისლურათ მიუბრუნდა:

— თუ მამასთან საქმე გაქვთ, ჩვენ შეგვიძლიან დავუძახოთ. ისა და ჩვენი ძმა აქ, ახლოს მუშაობენ.

ამ სიტყვებთან ერთათ ჩამოხტა ურმიდან და ჭაშკრისაკენ გაიქცა. ჭიშკარში უცბად გაჩერდა, ორივე ხელი პირზედ მიიღო და დაიყვირა:

— კარელ, წალი მამას უთხარი, შინ მოვიდეს. ვიღაც მოვიდა და ამბობს, საქმე მაქვსო. რას ამბობ, არ მესმის?.. ჰო, ჰო! ცხენოსანია. მოსალაპარაკებელი მაქვსო, ამბობს.

ამის შემდეგ ერნესტინა ისევ უკან დაბრუნდა.

— ჩემი ძმა ეტყვის და ეხლავე მოვა მამაჩვენი.—უთხრა ურნესტინამ და ისევ სამთითას წავლო ხელი.

უცნობმა მაღლობა გადაუხადა, ჩამოხტა ცხენიდან, აღვირის თასმები თავზედ გადააგდო ცხენსა, უზანგები მაღლა ასწია და უნაგირი მოუშვა. ყოველ ნაბიჯსა და მოძრაობაზე ცხადათ ეტყობოდა უცნობს, რომ ცხენის მოვლაში გამოცდილი უნდა ყოფილიყო და ცხენიც ძლიერ უნდა ჰყვარებოდა. მერე დაეკითხა, ადგილი ხომ არსადა გაქვთ, რომ ცხენი დავაბაო. გოგოებმა ჯერ ერთმანეთს გადახედეს და მერე ისევ ერნესტინამ გამოაცხადა — ბოსელში, მგონი, ერთი ადგილი თავისუფალი უნდა იყოსო და გაიქცა კიდეც კარების გასაღებად.

უცნობი უკან გაჰყვა და ცხენიც თან გაიყოლა. მხოლოდ ეხლა დაინახავდა კაცი უცნობის მაღალსა და მოყვანილ ტანს. კაი ჯიშის ცხენს დაბალი კარებისა და ბოსლის სუნისა შეეშინდა, შედრკა, ყურები დაცქვიტა და ნესტოებ-დაბერილი მძიმეთ მოჰყვა სუნთქვას. პატრონმა მიუალერსა, გავაზე ხელი გადაუსვა და მხოლოდ ამითი გააბედვინა, რომ საეჭვო ზღურბლს გადასცდენოდა.

— თქვენ ნულარაფერზე შესწუხდებათ, დანარჩენს ყველაფერს მე გავაკეთებ, — უთხრა ბიუტნერის ქალებს უცნობმა და დაბალ კარებში ძლივს შეჰყვა ცხენსა.

ამის შემდეგ დიდ ხანს აღარ გაუვლია, რომ მოხუცი ბიუტნერიც მოვიდა. სახის გამომეტყველებასა და სიაჩულზე ეტყობოდა, რომ რაღაცაზედ გაჯავრებული უნდა ყოფილიყო. ბიუტნერს ძალიან ეჯავრებოდა, როცა საქმეს თავს დაანებებინებდნენ და მოაცდენდნენ ხოლმე.

ერნესტინა მიეგება მამას და გამოუცხადა, ვიღაც უცნობი ცხენოსანი მოვიდა და შენთან მოღაპარაკება უნდაო.

— მგონი მებატონის მამულიდან უნდა იყვეს, — დაუმატა დაკვირვებულმა ერნესტინამ. მაგრამ ქალის ამ გვარმა აზრმა სრულიადაც არ დაამშვიდა მოხუცი, პირიქით, მოხუცი ლანძლვის მოჰყვა და ქალებს უბრძანა, კვლავ ვინც უნდა მოვი-

დეს. იქიდან, თქვენვე გააგდეთ და მე ნულარ შემაწუხებთ ხოლო-
მეო.

ამ დროს ბოსლის კარებში უცნობიც გამოჩნდა, რომე-
ლიც წელში ცხრად იყავდებოდა, რომ დაბალი კარებისთვის-
თავი არ შეეკრა. მოჰკრა თუ არა მოხუცს თვალი უცნობმა,
ქუდი მოიხადა, სალამი მისცა და გამოუცხადა, გრაფის ახალი
მოურავი კაპიტანი შროფთი გახლავართო.

მოხუცმა უსიამოენოდ გადახედა ახლად მოსულს. მება-
ტონის მოურავი! მებატონის სახლიდან კარგი ამბავი არასოდეს
არ მოსულა და ეხლა რაღა იქნებაო, გაითიქრა გულში. რაკი
მოხუცი ბიუტნერი ჯიუტობდა და ხმას არ იღებდა, კაპიტანი
თითონ დაეკითხა: სალაპარაკო მაქვს თქვენთან და ნებას ხომ
არ მომცემთ ოთახში შევიდეთო.

პასუხის ნაცვლად ბიუტნერმა კარებისკენ გასწია და კა-
პიტანი შროფთიც უკან გაჲყვა.

ოთახში ბიუტნერის ცოლი იყო მარტო.

— დედაკაცო, პატარახანს კარში გადი! — მოკლეთ და
უხეშათ მიუბრუნდა გლეხი თავის მეულლეს.

სანაცვლოთ უცნობმა მოიხადა ბიუტნერის ცოლის წი
ნაშე ბოლიში და უთხრა, ძალიან საჭირო საქმეზედა მაქვს მო-
სალაპარაკებელი თქვენ ქმართან, თორეშ არასგზით არ გავგე-
დავდი თქვენ შეწუხებასაო.

მოხუცი თავის კუნჭულში მიჯდა და უცნობის ლაპარაკს
შუბლ შექმუხენილმა დაუწყო ლოდინი. კაპიტანმა თითონ
მოიტანა სკაში, მოხუცის პირდაპირ დადგა და ჩამოჯდა ხმა
ამოუღებლივ. უცნობმა, თითქოს ძალათი იბრმავებს თვალებს,
რომ მოხუცის უხეში სახე და ცივათ მიგებება არ შენიშნოს,
დინჯათ დაიწყო ლაპარაკი:

— აი, ბატონო ბიუტნერს — სთქვა კაპიტანმა და წინ გა-
წოდებულ ფეხებს, უკეთ რომ ვსთქვათ, დეზებიან ბრჭყვიალა
წალებს წვრილი მათრახი გაუწყაპუნა, — საქმე რაშია: გრაფს
ძალიან უნდა თქვენი ტყის შეძენა. ამ საგანზედ უწინაც გქო-
ნიათ ლაპარაკი, მაგრამ ვერაფერ დასკვნამდის ვერ მისულხართ,

ეხლა კი გრაფს უნდა უსათუოდ დააბოლოვოს ეს საქმე. მართალი უნდა გითხრათ, თქვენი ტყის შეძენა ჩვენთვის დიდათ მნიშვნელოვანი და სასარგებლო იქნება, რადგან პალისავით არის ჩვენს ტყეში შეჭედილი და ორ ნაწილად გვიყოფს ამოდენა ტყეს, რითაც სულ ერთიანად უკარგავს მას მნიშვნელობასა და ფასს. ამ ორი ნაწილის შეერთება მეტად სასარგებლო იქნება ჩვენთვის, რადგან ხე-ტყის გამოზიდვა გაზვიადვილდება და თქვენთვის კი ამ სამოც მორგენ ტყეს არავითარი სარგებლობა არც მაქვს და ვერც მოგიტანთ, პირიქით, საზარალოც არის თქვენთვის. ორ-სამ ურემ შეშის თუ გამოიტანთ წელიწადში, მაგაზედ ლაპარაკიც კი არა ღირს. გამხმარი ფოთლის კრეფით ხომ სულ ერთიანათ აფუშებთ ნიადაგსა, ამას გადასახადები, გაწერილი ხარჯი დაუმატეთ. თუ ჩვენ ჩაგვივარდა ეს სამოცი მორგენი ხელში, მთლიად გავკაფავთ და ხელ იხლად გავაშენებთ ტყესა. რასაკირველია, პირველად მოგებაზედ ფიქრი არ შეგვიძლიან, დანახარჯსაც კი ვერ ავინაზლაურებთ. ასე, ბატონო ბიუტნერ, თქვენ აშკარათ უნდა ჰქედავდეთ, რომ ეს საქმე როგორც ჩვენთვის, ისე თქვენთვისაც ხელსაყრელია. ჩვენთვის სასარგებლოა ამ ტყის ყიდვა და თქვენთვის კი გაყიდვაა საჭირო. მე მგონი, ამ შემთხვევაში უსათუოთ მოვრიგდებით მე და თქვენ.

— მე-კი მგონია, რომ ვერ მოვრიგდებით,—გესლიანათ წაილაპარაკა გლეხმა თავის კუნჭულში.

— გამიგონეთ, ძვირფასო ბიუტნერ! — შესძახა კაპიტანმა და გრძელი ფეხებით ახლო მიუხოხა გლეხს სკამი—იმას რაღალაპარაკი უნდა, რომ გრაფი ლირებულზედ მეტ ფასს მოგცემთ, სახელდობრ მე ისეთი ფასის მოცემა მომანდეს, როგორიც ამ აღილებში ჯერ არავის აულია მაგოდენა ტყეში.

— მე უწინ გრაფის მამასაც შევუთვალე ორჯერ, რომ ჩემ ტყეს მე არა ვყიდი მეთქი, იმავე პასუხს მოგცემო თქვენცა.

— კარგათ იფიქრეთ, მეგობარო, და არ დაგავიწყდეთ, რომ ამ ტყის გაყიდვით დიდ ძალ ფულს ჩაიგდებთ ხელში. და ფული კი ამ უამათ, თუ არა ვცდები, ძალიან უნდა გიჭირ-

დეთ, რადგან თქვენი საქმეები, ცოტა არ იყოს, კარგათ ვერ უნდა მიღიოდნენ.

— კარგათ მიღის ჩემი საქე თუ ცუდათ, მე ამას არავის ვაკითხებ! — შეჰყვირა მოხუცმა და ხმის კანკალზედ შეეტყო, რომ ძალიან უნდა ყოფილიყო აღელვებული.

— ღმერთო ჩემო! თქვენ სულ ვერ მიმიხვდით, რასაც გეუბნებით. მე აზრათაც არ მომსვლია თქვენ საქმეში ჩარევა. მე მხოლოდ იმის თქმა მანდოდა, რომ როცა ტყეს მოიშორებთ, მაშინ მთელ ძალასა და ღონეს სულ სახნავ-სათეს მიწებს მოანდომებთ მეთქი. დარწმუნებული ვარ, ამ საქმეში ჯერ კი-დევ ბევრი რამე გექნებათ გასაკეთებელი. ამას წინათ თქვენის ტყისკენ გავიარე და იქ რამდენიმე ქცევა ბალახ-ბულახითა და ჯაგით ავსილი ვნახე.

ამ სიტყვებზედ ბიუტნერი მოუსვენრათ შეინძრა სკამ-ზედ — გრაფის მოურავი სრულიად შემთხვევით შეეხო გლეხის სავალალო და სადარდელ კითხვას. ბიუტნერს თითონაც არ მოსწონდა, რომ მუშა ხელის უქონლობისა გამო აგერ ორი წელიწადი იქნებოდა, რაც ის ადგილი უპატრონოთ ჰქონდა დატყვებული.

— დიალ, ჯერ კიდევ ბევრი რამეა იქ გასაკეთებელი, — განაგრძო დინჯათ შროთფუმა: — უპირველესად ყოვლისა ნიადა-გის განოყივრება უნდა გაფიქრებდეთ. ამისთვის კი ნალდი ფუ-ლია საჭირო. ჩემის აზრით, ორივე ხელით უნდა მოებლაუ-ჭოთ ჩვენს წინადადებას.

თავის აზრებითა და ლაპარაკით გატაცებული მრუქავთ ვერც კი ამჩნევდა, მოხუც ბიუტნერს სახე როგორ ეღმისქვერ-და ბრაზისა და უსიამოენებისაგან და სკამზედ რა მოუსვენრათ ბორგავდა. კაპიტანი ახალს არაფერს ეუბნებოდა, ყველა ეს კითხვა ერთხელ და ორჯერ არა ჰქონდა მოხუცს მოფიქრე-ბულ-მოსაზრებული, მაგრამ რაკი ამას უცხო კაცი ეუბნებო-და, საწყენათ და შეურაცხებათ მიაჩნდა.

— მართლა, — განაგრძო გაპიტანმა, — ეს კი სულ დამავი-წყდა, გრაფის ტყიდან ერთხელ და ორჯერ არ გამოდის ნადი-

რი თქვენ ტყეში და სშირათ მინდვრებსა და ყანებსაც გი-
ფუჭებთ, მგონი...

აქ კი მოხუცს მოთმინების ფიალა აევსო. ნადირის გახსე-
ნებამ, რომელიც სულ ერთიანად უფუჭებდა და უნადგურებდა
ხოლმე ყანებს, მწარედ გადაკრუთ მათრახსავით იმოქმედა ისე
დაც გაბრაზებულ და გაშმაგებულ გლეხზედ. სახე წამოჭარხ-
ლებული უცებ წამოხტა ადგილიდან და, რაც ძალი და ორნე
ჰქონდა, შექმნიალა:

— სულელათა მთვლით, თუ როგორ არის თქვენი საქმე?!
იმისთვის მოხველით, რომ თქვენ ნადირზედ მელაპარაკოთ! ეგ
თქვენი საძაგელი ნადირი, მგონი, ჩვენც შეგვჭამს მალე! მე
საჩივლელადაც ვიყავი, მაგრამ განა სამართალი არის ქვეყა-
ნაზედ? როგორცა სჩანს, გლეხები, ცამდისაც რომ იყვნენ
მართალნი, ბატონების წინააღმდეგ მაინც ვერაფერს გახდებიან.

მერე ბუზღუნით ისე თავის კუნჭულში მიჯდა გულ-ხელ
დაკრეფილი და სტუმარს მტრულად დაუწყო ცქერა.

გრაფის მოურავმა, ალბათ, კარგათ იცოდა გლეხების ხა-
სიათი, რომ გლეხის გაცხარებაზედ არც კი გაიღიმა და დინ-
ჯათ განაგრძო:

— აბა, რა გაცხარებთ, ჩემო მეგობარო. დამაცადეთ პა-
ტარა და სუყველაფერს ჯეროვანათ აგიხსნით. გრაფს აზრათა
აქვს მთელ თავის ტყეს მოაჯირი შემოვლოს ირგვლივ,
რომ ტყიდან გამოვარდნილმა ნადირმა მეზობელი გლეხები არ
შეაწუხოს. მაშინ ხომ არც თქვენ შეგაწუხებთ ნადირი. ამ
აზრის განხორციელებისთვის კი თქვენი ტყე უსაჭიროეს სა-
განს შეადგენს ჩვენთვის, რადგან იმ ადგილს ხომ ვერ შევკ-
რავთ და მაშინ მოაჯირის შემოვლებას რაღა ჭკუა ექნება?
მოვრიგდებით თუ არა, სთქვით თქვენი აზრი? — ამ სიტყვებთან
კაპიტანმა ხელი გაუწოდა მოხუც ბიუტნერს: — ჩემის აზრით,
თუ ვისთვისმე სასარგებლოა ეს საქმე, ისევ თქვენთვის, ჩემო
ჰეგობარო.

მოხუცმა ბიუტნერმა ტუჩები მოიკუშა, შუბლი შეიკრა
და, სტუმრისთვის რომ არ შეეხედა, იმ კაცსავით, რომელიც

ფრთხილობს პტყელ-პტყელი სიტყვებით შეცდომაში არ შემიუვანონ, ერთ წერტილს ჩააჩრდა. განა თუ ძნელი გასაგები იყო ბიუტნერისთვის გრაფის წინადადების სარგებლობა, მაგრავისტორიულად შექმნილი და გლეხებისაგან შეთვისებული უნდობლობა მებატონის ყოველი სიტყვისა, საქციელისა თუ ნაზიჯისა ბიუტნერსაც ხელს უშლიდა, რომ ფხიზლათ შეეხედა კაპიტანის წინადადებისთვის და იმისი მოსაზრებანი და საბუთები ჯეროვანათ დაეფასებინა.

— ღრმა შეურიგდეთ მებატონეს, — დაიწყო კაპიტანმა, თითქოს გულის ნადებს მიუხვდა გლეხსაო: — მით უმეტეს იმიტომ უნდა შეურიგდეთ, რომ ეხლა ახალგაზდა გრაფთან გექნებათ საქმე. ის უთანხმოება და უსიამოვნება, რომელიც მაგის მამასთანა გქონდათ, საცა სამართალი იყო, ბატონთან ერთად უნდა დაგემარხათ მიწაში და აღარ მოგევონათ ხოლმე. მე მგონი, თქვენთვის უფრო სასარგებლო იქნებოდა ჩვენთან დამეგობრება და დაახლოება. რაც უნდა იყვეს, გლეხობასა და აზრაურობას ბევრ რამეში აქვთ საერთო ინტერესი და მიზანი. ესეც რომ არ იყოს, ეს ორი წოდება თითქოს დანათესავებული ნი არიან: ერთნიცა და მეორენიც მეურნეები არიან, როგორც თქვენც მოგეხსენებათ. განსხვავება მხოლოდ იმაშია, რომ მებატონეებს უფრო დიდი მამულები აქვთ შედარებით გლეხებთან.

„საერთო ინტერესებსა და მიზანზედ“ ლაპარაკმა ხომ უფრო გაუფუჭა კაპიტანს საქმე, რადგან ამან უფრო გააჯიუტა გლეხი. კაპიტანი როგორლაც გადამეტებულს ჰფიქრობდა ბიუტნერისთვის და ეს მეტად საეჭვოთ ეჩვენებოდა გლეხსა. უკაცრავათ, ისეთი სულელი არ გახლავართ და მაგისთანა მახეებში. მე ვერ გამაბამთ — ჰფიქრობდა გულში ბიუტნერი! გრაფი გლეხების სიყვარულით და იმათ სასარგებლოთ რომ არ ავლებდა ტყეს მოაჯირს, ეს ყველასთვის ცხადი. უნდა ყოფილიყო, რა საჭიროა აქ ბევრი ლაპარაკი და ტყუილად სიტყვების. და ზარჯვა? აქ კი ერთიანათ დარწმუნდა ბიუტნერი, რომ მოტყუილებას უპირებდნენ.

— თუ ღმერთი გწამო, თავს ნუდარ შეიწუხებთ ტყუი-ლად! — მიუბრუნდა შუბლ-შეკრული ბიუტნერი. — ჩემის მამულიდან მე ერთ მტკაველსაც არ გავყიდი ერთხელ და უკანა-სკნელად გამომიცხადებია თქვენთვის და, იმედი მაქვს, აღარ შემაწუხებთ მაგ საგანზედ ლაპარაკით.

კაპიტანმა გაწოდებული ხელი ჩამოილო, ამ ჯიუტ გლეხ-თან ისე ადვილი არა ყოფილა საქმის გარიგება, როგორც წინათ ეგონა.

— კიდევ მოიფიქრეთ, ბ. ბიუტნერ, — შეაწყვეტინა სი-ტყვა შროფთმა. — მე მესმის, რომ თქვენთვის ადვილი არ არის საკუთრების დაკარგვა. ჩემის საკუთარის გამოცდილებით ვიცი, როგორ ძნელია მამულის დაკარგვა და როგორ უფლითავს ადა-მიანს გულს მარტო ფიქრიც კი ამ საგანზედ. გული სისხლით გევ'ება და გგონია უფრო დიდის სიამოვნებით მარჯვენა ხელს მოვიწრიდი, ვიდრე მამულიდან ერთ მტკაველს დავუთმობდი ვისმეო.

კაპიტანი რამდენიმე წუთით გაჩუმდა. დალვრემილ და დალონებულ სახეზედ ეტყობოდა, რომ გულში რაღაც მწარე და არა სასიამოვნო მოგონებანი უნდა აშლოდნენ. მერე თი-თებს ლაწუნი აუტეხა, თითქოს მწარე მოგონებებს ამითი ერე-კებაო, და კვლავ განაგრძო ლაპარაკი.

— აი, სწორედ ამ საკუთრების სიყვარულში შეიძლება კრცმა ძალიან გადატოპოს და საზღვარს გადასცდეს. ამისთანა შემთხვევაში ეს სიყვარული უაზრო ჯიუტობათ გადაექცევა ზოლმე ადამიანსა. დიდ მამულს, რომელსაც ვერ უძლვები, ისევ ჰატარა სჯობია, თუ დაჭირება აღამიანი. მე კარგათ ვიცი, ბიუტნერ, რა მდგომარეობაშიცა ხართ და გამოცდილებით ვიცი, რომ თუ თქვენ ჯიუტობას თავს არ დაანებებთ და ჩემ წინადადებაზედ არ დამეთანხმებით, დიდი ხანი ველარ გასძლებთ თქვენს მამულში, რადგან, სულ ერთია, სხვები გაგაძევებენ.

ეს-კი მეტის-მეტი იყო, მეტის მოთმენა გლეხს აღარ შე-დოლო.

— აგერ ოცდა-ათი წელიწადი ვდგევარ ჩემს მამულში და თქვენმა მებატონეებმა, როგორც ჰედავთ, ვერა დამაკლეს-რა-

მე ისე ადვილად ვერ გადაშელაპავენ, როგორც სხვა გლეხებს მოექცნენ! თუ გლეხი კაცი იღუპება, ამაში მხოლოდ მებატონეთა მამულებს მიუძლვით დანაშაული! ყველა ჩვენა გვჭამს და გვანადგურებს—მოხელეეცა და მებატონეც. ეხლა უკანასკნელი ლუქმის გამოგლეჯა უნდათ პირიდან. ისინი მზად არიან ყველანი კარში გაგვრეკონ, ზურგზე მათხოვარას გუდა-ნაბადი წა-მოგვიდონ და ქვეყნად გვაწოდიალონ ქვეყნისა და ხალხის შესაწუხებლად. ჯერ კიდევ მამულების დაყოფის დროს, როცა მიწებს „მიჯნავდნენ“ თუ რაღაც ჯანაბა იყო, — ეს დიდის ხნის ამბავია და მამა მიამბობდა ხოლმე,— თურმე პაპაჩემი იძულებული იყო მთელის მამულების მესამედი მებატონისთვის დაეთმო. ეგეც არ იკარეს— მამა ჩემი მთელი თავისი სიცოცხლე კიდევ მაინც ღალებსა და რენტას იხდიდა! ეხლა, მე მგონი, დროა განთავისუფლებაზედაც ვიფიქროთ— საბატონო და შინა-ყმობა გადავარდა, მე მგონი, არა!.. ახლა ეშმაკობით გვიპირებენ მოტყუილებას და პირიდან ლუქმას გვტაცებენ უსინიდისოდ. მაგრამ ამაზედ კი ცოტა უკაცრავად გახლავართ! ეხლა უწინდებურად სულელები და ტუტუცები ალარა ვართ გლეხებიბატონყმობა გადავარდა დიდი ხანია. თუ არ გვინდა და არ მოგვწონს, არც ვიზამთ, ძალას ველარავინ დავვატანს. და კერძოთ მე ვერავინ გამაყიდვინებს მამულს, ვერა, თუნდა თითონ გრაფიც მოვიდეს აქ თავის ფეხით და მუხლ-მოდრეკილი შემე-ვედროს.

კაპიტანმა გულისყურით მოისმინა გლეხის თვითცნობიერების ალფროთვანება და შესწყვიტა თუ არა ბიუტნერმა ლაპარაკი, თითონ დაიწყო!

— სულით და გულით თანაგიგრძნობთ, ბიუტნერ, მერწმუნეთ. მეც მქონდა ერთ დროს მშვენიერი— დიდი და შემუშავებული მამული, რომელიც მამაჩემისაგან მერგო სამკვიდროდ. მეც თქვენსავით გატაცებით მიყვარდა იგი, რადგან იქ ვიყავ დაბადებულ აღზრდილი და იქ შევისწავლე თავი. იმ დროს მეც სწორედ თქვენსავით ვფიქრობდი. მაგრამ ხშირად, ძალიან ხშირათ გარემოებანი ჩვენ სურვილებზედ და აზრებზედ

ძლიერი და გამჭრიახნი არიან ხოლმე. რას იზამ? რამდენიმე მოუსავლიანი წელიწადი ზედი-ზედ, ამასთან გირაოს ქალალდები, ჩემო კარგო, და გათავდა ჩვენი ავლა-დიდება!.. აი, სწორედ ეს სენია, რომ დინჯათ, მაგრამ სამუდამოთ, ულევს მეშამულეს ძალ-ღონეს და ბოლოს ფუტურო ხესავით ძირს დასცემ ხოლმე. ეს სენი ცეცხლზედ, სეტყვაზედ და მეხზედ უარესია, ჩემო ძმაო! გინდ დაგირავებული მამულის პატრონი იყავ და გინდ კისერზედ სახრჩობელის თოკი გქონია გადაგდებული, რომელ-ზედაც, გამოგეცლება თუ არა ფეხ ქვეშ ნიადაგი, უსათუოდ დაიღრჩობი და მწარედ გაათავებ შენ სიცოცხლეს. აქ ვეღარა-ფერი გიხსნის. რამდენიც გინდა იშრომე, რამდენიც გინდა იყაირათე—შველა აღარსაიდან გექნება. სულ ერთია, შენ მაინც თავისუფალი კაცი აღარა ხარ, რადგან ისეთ რამისაგანა ხარ დამოკიდებული, რასაც თვალსაც კი ვერ აღევნებ და სწორედ ეს გილევს ძალასა და ლონეს. ცრემლით, მწარე ცრემლით და ნაღველით მოვშორდი ჩემ მამაპაპეულ მამულს. მამულის აწერა, საჯაროთ გაყიდვა— ეს ყველაფერი გადამხდა მე, ჩემო კარგო! ჰედავთ, კეთილო ბიუტნერ, მე უფლება მქონია, რომ ამ სა-განზედ გელაპარაკოთ.

კაპიტანი გაჩუმდა, აღელვებულმა რამდენჯერმე გადისვა წვერზე ხელი და ბოლოს მწარედ ამოიოხრა.

— ღმერთმა გისხნათ ყველა ამისაგან, ჩემო კეთილო ბიუ-ტნერ!—დასძინა ბოლოს.

მოხუცმა თავის კუნჭულში ხმა ჩაიკმინდა. შროფფის სი-ტყვებმა ძლიერი შთაბეჭდილება იქონიეს ჩაზედ.

კაპიტანმა კი მაინც განაგრძო.

— ადვილი არ არის სიბერეში იმის დათმობა, რასაც მოელი შენი სიცოცხლე საკუთრებათ სთვლიდი. იქ, სადღაც, რომელილაც ქალაქში შენი მოვალე ცხოვრობს თავისთვის და შენი გირაოს ქალალდები მაგრა უჭირავს ხელში. ის კაცი, რომელიც არც ხნავს შენს მიწას, არც რასა სთესავს, მოვა და რაც უნდა, იმას გიბრძანებს. იმას შეუძლიან, თუ მოისურვა, გაგაგდოს შენი სახლიდან. უვარგის საქონელსავით გაიყიდება

შენის სისხლითა და ოფლით მორწყული მამული, გაიყიდება საჯაროთ. და ის, რასაც თვალის გუგასავით უფრთხილებოდნენ შენი მამა, პაპა და მთლათ შენი წინაპრები, რასაც რამდენიმე ათეული წელიწადი უვლიდნენ, აშენებდნენ და აკეთებდნენ, ვიღაც უცნობი ხალხისაგან იქნება დაყოფილ დაცალკევებული. შენ კი, შენ კარში გაგდებენ! ცოლშვილით ლვის ანაბარათ დარჩომა შოხუცი კაცისთვის ადვილი არ არის, ჩემო კარჯო, არა!

კაპიტანი გაჩუმდა და, თითქოს ფეხებზე ქვეშ რაღაც ლირს-შესანიშნავი შენიშნაო, თავი ჩაჰერინდრა და იატაკს ჩაშტერდა.

არც ბიუტნერი არღვევდა. სიჩუმეს. შროფფი მართალს ეუბნებოდა. განა ბიუტნერსაც ესრე არ ექცევიან? განა სწორედ ეგრე არა ჰერმნობდა თითონ თავსა, როცა სარგებლის შესატანათ შინ ფული არ მოეპოებოდა და შუბლზედ ხვითქ გადადენილი ფულის საშოვნელად დარბოდა? რამდენი საშინელი და მძიმე წუთი გამოიარა იმ უამათ! ამ კაცს უსათუოდ თითონაც უნდა ჰქონდეს ეს მდგომარეობა გამოცდილი, თორებ ამ საგანზედ ასე კარგათ ლაპარაკს ვერ მოახერხებდა.

კაპიტანი ისევ გამოვიდა თავის ფიქრებიდან და სიჩუმე კვლავ დაარღვია.

— მოღით, ისევ ჩვენ საქმეზედ მოვილაპარაკოთ. ვე ვიცი, რა მდგომარეობაშიაც არის თქვენი საქმე და ამიტომ გირჩევთ ტყის გაყიდვას! მარტო ეს თუ გისხნით, თორებ სხვა აღარაფერი. ტყის ფულით უმთავრეს მოვალეებს მოიშორებთ, არა და ერთ მშვენიერ დღეს სულ ერთიანად ჩაიფუშება თქვენი საქმე. თქვენც ჩემი დღე დაგადგებათ, მერწმუნეთ. გრაფის წინადადება ცოტა არ არის თქვენთვის. გირჩევთ დასთანხმდეთ. ამას მარტო გრაფის მოურავი კი არ გირჩევთ, ამასვე გირჩევთ თქვენ მდგომარეობაში ნამყოფი აღამიანიც.

გლეხი ხმას არ იღებდა. სახეზედ ეტყობოდა, რომ გულში ორნაირი გრძნობა უღვივოდა და უწინდელი მტრული გამომეტყველება-კი ბიუტნერის სახემ ერთიანად დაჰკარგა. ბოლოს მიყრუებულის ხმით გამოაცხადა, მე გულითაც რომ ჩინდოდეს გაყიდვა, მოვალეები არას გზით არ დამანებებენო.

ამის პასუხიც ჰქონდა კაპიტანს მომზადებული.

— მაგას რაღა ლაპარაკი უნდა, რომ მოვალეები ერთ აურ-ზაურს ასტეხენ, თუ ვინიცობა უიმათოთ მოინდომეთ ტყის გაყიდვა. ცხადია, წინდაწინვე უნდა მოელაპარაკოთ და, დარწმუნებული ვარ, თუ აღუთქვით, ამ ფულიდან ვალის ერთნაწილს გადავიხდიო, უსათუოდ დაგთანხმდებიან. თქვენი მოვალეები ნათესავები არიან, მგონი, თქვენი, არა? იმათვის უფრო ხელსაყრელი არ არის, რომ მამული ისევ თქვენ შეიტჩინოთ.

მოხუცმა მწარე ღიმილით თავი გაიქნია.

— განა არ გაგიგონიათ ანდაზა: „ახლო ნათესავი ის არის, ვინც პირველი გიკბენს და სისხლს გამოგადენსო?“

— განა თქვენი საქმეც ეგრეა? ეგ ანდაზა მეც გამიგონია და ვიცი, რომ სიმაროლეს მოკლებული არ არის, მაგრამ თქვენმა ნათესავებმა, მე მგონი, თუ ნათესავური გრძნობით არა, საკუთარი სარგებლობით მაინც უნდა დაგიჭირონ მხარი, რა დგან თუ თქვენ არ შეგრჩათ მამული, გირაოების ქალალდები ყველას დაეკრებათ. დავალიანებულ მამულში მესაკუთრე თავისთვის კი არა, მოვალეებისთვის მუშაობს. თქვენ წელზედ ფეხს იდგამთ, ეწვალებით მხოლოდ იმიტომ, რომ თქვენმა ნათესავებმა უნაკლულოთ მიიიღონ სარგებელი. მართალს გეუბნებით თუ არა, ჩემო კარგო?

— თქვენ კი მართალსა ბრძანებთ, მაგრამ აბა ეხლა მოვალეებსაც დაეკითხეთ. არასგზით არ დამთანხმდებიან ტყის გასყიდვაზედ, მე კარგათ ვიცი.

— ა რას გეტყვით, ბიუტნერ! — შესძახა კაპიტანმა, უფრო ახლო მიუხოდა გლეხსა და ხელი მუხლზედ დაადო: — მე მომანდეთ ეს საქმე, მე თითონ მოველაპარაკები და, იმედი შაქვს, ყველას დავიყოლიებ. კარგათ რომ დაუკვრდეთ, ეს ფორმალური მხარეა მხოლოდ. აბა დამისახელეთ თქვენი, მოვალეები.

მოხუცმა თავი მოიქექა. როგორც ეტყობოდა, მოვალეების დასახელება ეძნელებოდა. მაგრამ დიდი ხვეწნისა და თხოვ-

ნას შემდეგ ბიუტნერი იძულებული იყო კაპიტანის ცნობის მიყვარეობა დაკმაყოფილებინა, მაგრამ ახსენა თუ არა მოხუცმა შენბერგერი, კაპიტანი გაშრა.

— რას ლაპარაკობთ? მაგისთანა კაცს როგორ ჩაუვარდით კლანჭებში?

პასუხათ გლეხმა ყველაფერი დაწვრილებით უამბო. დიდი ხანი ილაპარაკა კარლ ლებერენტის წერილზედ, თავის გაჭირვებაზედ, ფულის უქონლობაზედ და ბოლოს გარჩასსოვიცის დახმარებაც არ დაავიწყდა, რასაკვირველია.

შროფფი დაფიქრდა და უსიამოვნოთ გაიქნია თავი.

— ეგ ამბავი კი არ მესიამოვნა, ჩემო მეგობარო! — შენბერგერი და ადამიანურის გრძნობით ხელმძღვანელობა?

ბიუტნერმა უთხრა: — ფულს არავინ მაძლევდა და ასე გაჭირვებულს ისევ შენბერგერი დამეხმარა, ფულიც მასესხა და არც დიდი სარგებელი გამომართვაო.

— ეგ კი ეგრე, მაგრამ მაინც!.. — მიუგო კაპიტანმა: — კაცობრიობის სიყვარულით შენბერგერი ერთ ნაბიჯსაც არ გადასდგამს. მაგრამ საქმე გათავებულია და ლაპარაკი ველარას უშველის! სხვა მოვალეები ვიღა არიან?

გლეხმა დანარჩენი მოვალეებიც ჩამოსთვალა.

— როგორცა სჩანს, უმთავრესი მოვალე თქვენი სიძე კაშელი ყოფილა. გარდა ამისა, იმის გირაოს ქალალდი უკანასკნელია და, მაშასადამე, ყველაზედ უმთავრესი. როგორა გგონიათ, კარგი არ იქნებოდა, რომ თქვენ სიძეს მე მოვლაპარაკებოდი? აქვე გალბენაუში სცხოვრობს, მგონი, მიკიტანიაო, ეხლა ამბობდით არა?

— ეგ ყველა ეგრე, მაგრამ ვინც კაშელერნტის დაყოლიებას მოინდომებს, იცოდეს — კბილზედ ბანალი უფრო მაღე ამოუვა, ვიდრე მიზანს მიაღწევს, — მიუგო მნიშვნელოვანი ღია მილით მოხუცმა. — კაშელი ნამდვილი ნაკვესია. ავი ძალლიც კი კაშელთან შედარებით ცხვარია, ბატონო კაპიტანო, დიალ ცხვარი!..

კაპიტანმა უპასუხა, ჯერ ერთი — ცდა ბედის მონახევრეაო და ეგეც რომ არ იყოს, ბუნებითვე მე ისეთი მშიშარა არა ვარ,

რომ კაშელს ვერიდებოდეო. ამასთან წამოდგა და გამოაცხადა, აქედანვე წაგალ სამიკიტნოში და ბედსა ვცდიო. ბიუტნერმა წინააღმდეგობა აღარ გაუწიო.

სტუმარი და მასპინძელი ერთად გავიდნენ ოთახიდან. კაპიტანმა თითონ გამოიყვანა ცხენი, უნაგირი გაუსწორა და მარჯვედ შეახტა ზედა.

— მოლაპარაკების შედეგს უსათუოდ შეგატყობინებთ, ბ. ბიუტნერ! — მოაძახა გზაში მიმავალმა კაპიტანმა გლეხსა

სანამ კაპიტანი სოფლის გზაზედ არ გავიდა და სახლებს სრულიად არ მოეფარა, მოხუცი ბიუტნერი იდგა და მიმავალ ცხენოსანს შესცემოდა.

ბიუტნერს, ცოტა არ იყოს, ნუგეშსა სცემდა იშაზედ ფიქრი, რომ ამ ბატონსაც გამოუცდია ის დარღი და ნალველი, რომელიც ბიუტნერსაც უხუთავდა ამ უამაღ სულსა და გულსა. ამ გარემოებამ ცოტა დაახლოვა ეს ორი პირი.

გლეხი შიგ შეა ეზოში გაჩერებულიყო, ნიკაპისთვის ხელი მიეცა და მწარედ ჩაფიქრებული გზას გასცემოდა. რა ყოფილა ქვეყანა! საკუა კაცი იქამდისაც მიაღწევს, რომ არ ეცოდინება, რა ჰქნას და როგორ იცხოვროს ქვეყნად.

ძირს ნალის დაუანგებული ლურსმანი ეგდო. ბიუტნერმა გაშეშებული წელი მოიღრიკა, დასწვდა და ლურსმანი ხელში აიღო. არაფერი არ უნდა გადაიგდოს ოჯახში, — გაიფიქრა გულში და მერე მთელ ეზოს შემოუარა და ყოველი კუთხე გასინჯა. ჰელლის ყავარი დამპალიყო და აღმოსავლეთით სულ ერთიანათ დამტვრებულიყო. მეორე აღგილას კედელზედ გაჯი ჩამოწოლილიყო. ყველა ამის გასწორებას ფული უნდა, აგერ ახლად ნაყიდ ძროხის ფულიც არა ჰქონდა ჯერ გადახდილი სრულად. ამას გარდა, ნახევარი წელწადიც გავიდა და სარგებლის გატახდის დროც მოდის. საღ ვიშვოვნო ამოდენი ფული, საღ? შვრია, ჭვავი, ბზე და შარშანდელი თივა დიდი ხანი იყო, რაც გაძყიდა: ბელელი და ძარი რამდენი ხანია ცარიელები ჰყრია.

მაგრამ სანაცვლოთ მოსავალს მშვენიერი პირი უჩანდა. თუ კაი დარი იდგება სულა, მოსავალი ჩინებული იქნება. და

ამ ფიქრებთან ერთად გლეხმა ნება უნებურად ჭისკრისაკენ გასწია, საიდანაც ბიუტნერის სახნავ-სათესი მიწები მოსახანდ-ნენ. მზის სხივების მოსარიდებლად გლეხმა შუბლზედ ხელის გული მიიფარა და შუა ღლის მზეზედ ნაზათ მობიბინე ყანებს ცქერა დაუწყო. ჭვავი მწვანე ზღვასავით ჰლელავდა და ვერც-ხლებრივ მბრჭყვინავ ტალღებს ისვრიდა. კაცს ეგონებოდა, ამ თავთავს, რომელსაც თბილი ნიავი ასე ცელქათ ეთამაშება და ხან დაბლა დაახრევინებს თავსა და ხან ამაყათ აამართვი-ნებს ხოლმე, საზღვარი აღარა აქვსო. შვრია კი რაღაც სა-უცხოვო მუქი ფერის ხალიჩასავით გადაშლილიყო და ნაზათ ბიბინებდა. კარტოფილის ქორფა და მწვანე ლეროები ჯარის კაცებსავით რიგზედ დამწკრიივებულიყვნენ. სუფთათ შემოთოხნი-ლი და გადალახული კართოფილი ყველა მეურნეს გაახარებ და და სიამოვნებას ავრძნობინებდა. ყველა ეს მისი საკუთრე-ბაა! თავგამეტებულის, მძიმე მუშაობით ბიუტნერმა ასჯერ და ათასჯერ დაიმსახურა საკუთრებათ ეს მინდვრები. ამ ვეებერ-თელა მამულში ერთი მტკაველიც კი არ მოიძებნება ისეთი, რომელიც ბიუტნერის ოფლითა და სისხლით არ ყოფილიყოს მორწყული. გულმოდგინეთ დამუშავებული მინდვრები ბიუტ-ნერის საუკეთესო მეგობრათ უნდა ჩათვლილიყვნენ; რადგან გლეხმა დაწვრილებით იცოდა ყოველივე მტკაველის თვისება — სისუსტე და ლირსება. ბიუტნერი მოყვარულ დედასავით ექცე-ოდა თავის მამულს. თუმცა თითონვე იყო მათი შვილი: არა-ფერს უჭერდა, არაფერი შურდა მისთვის, ყველაფერს გულ-უხვათ აძლევდა, ყველაფერს, რაც კი ებადა — შრომასაც, სიყვა-რულსაც, ღროსაც, თავის ჯანსა და ოფლსაც.

ეხლა კი ბიუტნერისა და იმ მიწის შორის, რომელმაც საზრდო და ძალა მისცა მასაც და მის ოჯახსაც, ვიღაც უცხო პირები უნდა ჩადგნენ. გლეხის გაუნათლებელ და მდაბიურ გო-ნებას ეს მოვლენა ავი სულის ხრიკებათ ეჩვენებოდა. წარმა-ვალის და ხელიდან ხელში ადვილად გადამსვლელ კაპიტალის ძალისა და მნიშვნელობისა გლეხმა არა იცოდა-რა და რკინის იმ კოწონებისა ხომ, რომლის ძალით მთელი წოდებანი და

ხალხის. ერთი ნაწილი ეცემა და ჰქონება ქვეყანაზედ, და მათ ნაცვლით სხვანი ძლიერდებიან ხოლმე, არაფერი არ ესმოდა და ვისმეს რომ აეხსნა კიდევ; მაინც ვერაუერს გაიგებდა. მხოლოდ ერთსა ჰქონობდა და ერთსა ჰქედავდა, რომ მთელ თავის სიცოცხლეში რაღაც სიმძიმის მოშორებას ელამებოდა ზურგიდამ, მაგრამ ვინ წამოჰკიდა ეს ტვირთი და ვინ გაუმწარა სიცოცხლე, იმას კი ვერცა ჰქედავდა და არც ესმოდა. საკვირველი კიდევ ის იყო, რომ რასაც უფრო მეტ ძალას ხმარობდა ბიუტნერი ამ ტვირთის მოსაშორებლად, ტვირთი უფრო მძიმე აწვებოდა ხოლმე ზურგზედ და უფრო მეტად უწამლავდა სიცოცხლეს.

ამისთანა აყვავებულ და ღვთის კალთა-დაბერტყილ მცნების მაცერალს როგორ უნდა მოსვლოდა ასეთი შავი ფიქრები?

კაცს ეგონებოდა, ღმერთს რაც მადლი და კურთხევა ჰქონია, სულ ბიუტნერების ყანებში დაუბერტყიაო. როგორც სჩანდა, მიწაც არა ძუნწობდა და თუ ბიუტნერი შრომასა და სიყვარულს არ უჭერდა, ისიც გულუხვათ უმასპინძლდებოდა თავის პატრონს. დედა-მიწაც არ ჰქალატობდა იმას, ვინც ასე ერთგულად ემსახურებოდა მუდამ.

რომელ ყანაშიაც უნდა გადაგეხედნათ, ყველგან ღვთის მადლი შიგ ტრიალებდა. პურის თავთავი კედელსავით შეიძროთ ჩაჰკვროდნენ ერთი-მეორეს, როგორ უნდა დალონებულიყო ის, ვისაც ამისთანა უხვი მოსავალი მოელოდა და რომელსაც ერთი ბელელი და ამბარი არ დარჩებოდა გაუვსებელი? ნუ თუ მართლა არსებობს ქვეყნად ისეთი ძალა, რომელიც ამ ღვთისგან მოცემულ მოსავალს შეეცილება?

უცბათ, თითქოს რაღაც მოჩვენებამ გადიარა ყანაო, რაღაც შავი და ბნელი წამოვიდა და თუმცა ფეხები არ უჩანდა, მაინც საშინლათ ჩქარა მიღიოდა — ეს იყო მოახლოვებულ ღრუბლების ჩრდილი. მან უწყალოდ დაჩრდილა ამართულ თავთავის ბრწყინვა და აჭრელებულ მინდვრებზედ ღია ფერები წაშალა, გაათახსირა და რაღაც შავი ელფერი წასცხო.

ჩრდილმა ჯერ სახლს გადააბიჯა, მერე მინდვრებს მოედო და ტყისკენ გასწიო.

გლეხმა შუბლიდან ხელი ჩამოილო, რადგან მზის სხივების მორიდება ეხლა საჭირო აღარ იყო, და სახელოთი აცრემლებული თვალები მოიწმინდა.

სახლიდან ტონი გამოვიდა და სადილათ შეიწვია მამა, მინდვრიდან კარლს ცხენები მიჰყავდა. მოხუცმა ურჩია ტონის სადილათ დამსხდარიყვნენ და უიშისოდ ესადილნათ, რადგან იმ უცნობ კაცს ველი და მინდა კიდევ მოველაპარაკონ. ცოტა ხნის შემდეგ კაპიტანი შროფფიც გამოჩნდა, დაღვრე-მილ სახეზედ უტყობოდა კარგი აშბავი არ მოჰქონდა.

— არაფერი გამოვიდა! — გზიდანვე დაუყვირა კაპიტანმა. — თქვენ მართალს ამბობდით, ბიუტნერ! თქვენი სიძე კაშელი... ეჭ, აღარას ვიტყვი. ძალიან მებრალებით, ბიუტნერ! მამულის ერთი ნაწილის გაყიდვა ყოვლად შეუძლებელია. ეხლა ერთი-ლა დაგრჩენიათ: გრაფი მთლად იყიდის თქვენ მამულ-დედულს, მოვალეებს მოგაშორებთ, ტყეს თითონ აიღებს და დანარჩენი მამულის მფარავ მოიჯარადრეთ გაგხდათ. სხვა აღარაფერი გე-შველებათ.

მოხუცი მთლად გამოიცვალა სახეზედ, წელში გაიმართა, გამხმარი შავი ხელი წინ გააწოდა და ბრაზმორეულმა შეჭლ-რიალა:

— აი იმ სანავეს ჰქედავთ? იქ სიკვდილს ვირჩევ და ჩემ მამულს კი არ გავყიდი.

ვგ. პოლუმორდვინივა.

(შემდეგი იქნება)

მოცლე მინერალური ქიმია

თეორეტიული ცაფილი

ფიზიკა და ქიმია

(ცუძღვნი საუგრელ დედა)

ფიზიკური მოვლენანი და მექანიკურად შეზავებული ნივთიერებანი. ქიმიური მოვლენანი და ქიმიურად შეზავებული ნივთიერებანი. მინერალური და ნახშიროვანი ქიმია. ქიმიური ანალიზი და სინტეზი. ქიმიური რეაქცია. რთული ნივთიერებანი და მარტივი. ნივთიერებანი ანუ ელემენტები. ლითონები და არა ლითონები.

ყოველივე ცოტაოდნად მაინც დაკვირვებული კაცი უჩქველია ამჩნევს, რომ ბუნებაში ადგილი აქვს ორ გვარ მოვლენას: ერთის მხრით სწარმოებენ ისეთი მოვლენანი, რომლებსაც არავითარი არსებითი ცვლილება არ შეაქვთ ნივთიერებაში; ხოლო მეორეს მხრით კი ვამჩნევთ ისეთ მოვლენებსაც, რომლებიც სრულიად, ძირითადად სცვლიან ნივთიერებას.

პირველი ჯგუფის მოვლენებს „განიხილავს მეცნიერება „ფიზიკა“ და აქედან წარმოსდგა მათი. სახელიც „ფიზიკური მოვლენანი“, ხოლო მეორე ჯგუფისას კი „ქიმია“ და აქედან მათი სახელი „ქიმიური მოვლენანი“. საკმარისია მოვიყვანოთ ორიოდ - სამიოდე მაგალითი, რომ ამ ორ გვარის მოვლენებზედ ცხადი წარმოდგენა ვიქონიოთ და ამას შემდეგ - კი ჩვენ თვითონ მოგვაგონდეს ყოველ დღიურ ცხოვრებიდან ასობით და ათასობით ესრედ წოდებული ფიზიკური და ქიმიური მოვლენანი.

ყველა ჩვენგანს ჰქავებია ხელში ანდამანტი, რომლითაც ხან წევსი აგვიწ-დაგვიწევია, ხან კალამი; ვამჩნევდით, — რომ ანდამანტი რკინეულობას მიიკრავდა ხოლმე და ამ მოვლენის ხასიათის გაცნობა კი ფიქრადაც არ მოგვსვლია. ეხლა კი საკმარისია გითხრათ, რომ ანდამანტის ზედგავლენა რკინეულობაზედ ფიზიკურ მოვლენას წარმოადგენსთქო და თქვენც ამ მოვლენის ხასიათს ნათლად წარმოიდგენთ.

მართლადაც ჩვენ ვამჩნევდით, რომ ანდამანტის ზედგავლენის დროს და შემდეგაც არავითარი არსებითი ცვლილება არ ხდებოდა არც ანდამანტში და არც იმ რკინეულობაში, წევსში, კალამში, რომლებზედაც ის ჰმოქმედებდა. არც წონა, არც გარეგანი შეხედულობა და არც შინაგანი შედგენილება ამ საგნებისა ოდნადაც არ შეცვლილა. ავილოთ მეორე მაგალითიც: ყოველივე საგანი, თავისუფლად მაღლიდან ჩამოგდებული მიწისაკენ მიისწრაფვის და მასზედ ვარდება. ქვა იქნება ეს საგანი, ხე, წყალი ან სხვა რამ, ამ მოვლენის დროს, ესე იგი ჩამოვარდნის დროს და შემდეგაც თავის შინაგან შედგენილებას არასდროს არ შეიცვლიან: ისინი ისევ ქვას, ხეს და წყალს წარმოადგენენ. აღსანიშნავია ამ მოვლენაში კიდევ ის გარემოება, რომ ქვა უფრო სწრაფად ვარდება მიწაზედ, ვიდრე წყალი ან ხე, ესე იგი მძიმე ნივთიერება უფრო სწრაფად, ვიდრე მსუბუქი. ეხლა ავილოთ უფრო რთული მაგალითიც: თუ ჩვენ რკინის ნაქლიბვარს ანუ რკინის ფხვნილს დანაყულ გოგირდს მივუმატებთ და ამგვარად შეზავებულ ნივთიერებებს კარგად არ-დავურევთ ერთი ერთშანეთში, ჩვენ მივიღებთ ფხვნილს, რომელშიაც ცხადათ ვამჩნევთ როგორც გოგირდის, აგრეთვე რკინის პაწაწა ნაწილებს. ჩვენ ადვილად შეგვიძლიან ამ შეზავებულ ფხვნილში გოგირდი რკინას მოვაშოროთ და ამ რიგად მივიღოთ ცალ-ცალკე დამზადებულ ფხვნილის შემაღებელი ნაწილები. საკმარისია ასეთს ფხვნილს ჯამში წყალი დავასხათ და ჩვენ დავინახავთ, რომ გოგირდი, როგორც უფრო მსუბუქი ნივთიერება, წყალს ზევით მოიყრის თავს, ხოლო რკინა-კი, როგორც მძიმე ლითო-

ნი, ჯამის ძირზე დაილეკება. ან ამავე მიზნისათვის ჩეცნ შეგვიძლიან მიემართოთ ისევ ანდამანტს და მის შემწეობით ამგვარად დამზადებულ მშრალ ფხვნილიდან რკინა სულ ერთიანად ამოგბოჭოთ და დავტოვოთ მხოლოდ გოგირდი. ასეთნაირად შეზავებულ ნივთიერებას, რომელშიაც ძალიან აღვილად ფამჩენება მის შემადგენელ ნაწილებს და რომელიც სრულიად უბრალო საშუალების შემწეობით შეიძლება დანაწილდეს ამ შემადგენელ ნაწილებად, მეცნიერებაში უწოდებენ სახელად მექანიკურად შეზავებულ ნივთიერებას. მდინარის ლვრია, ტუნტყლიანი წყალი, რომელშიაც ბევრი თიხა, სილა და ხვინჭკა ურევია, წარმოადგენს ასეთსავე მექანიკურად შეზავებულ ნივთიერებას; საკმარისია ასეთი წყალი საწურავ ქალალდში გავატაროთ, რომ ის სრულებით განთავისუფლდეს ხვინჭკა. სილისაგან. კიდევ ბევრი ამგვარი მაგალითების მოყვანა შეიძლებოდა ფიზიკურ მოვლენების გასაცნობლად, მაგრამ აქ აღწერილი მაგალითებიც საკმარისად ახასიათებენ მათ და თუ საჭიროდ დაინახავს, თვით მკითხველსაც აღვილად შეუძლიან თავის ცხოვრებიდან მოიგონოს არა ერთი და ორი ამგვარივე მაგალითები.

სრულებით სხვა ხასიათის მოვლენებს წარმოადგენენ ეს-რედ წოდებული ქიმიური მოვლენანი, რომლების გასაცნობლად და შესასწავლად საჭირო არის ისევ ყველასაგან ცნობილი და ყველასათვის აღვილად გასაგები მაგალითები მოვიყანოთ.

კარგად ვიცით, რომ ხის, ქალალდის, ხორცის და კიდევ ბევრი სხვა რამ ნივთიერებების დაწვის დროს ჩნდება კვამლი, რომელი და სხვა გაზოვანი ნივთიერებანი. ყოველივე ეს მაღლა ჰაერში მიდის და ამნაირად ხის, ქალალდის და ხორცის მაგივრად რჩება ჯერ ჯოტაოდენი ნახშირი და საბოლოოდ კი ვეზებერთელა დამწვარ ნივთიერებიდან მხოლოდ ოდნავი ფერფლილა რჩება. სჩანს, ნახშირი, ფერფლი და მრავალი გაზოვანი ნივთიერებანი ხის, ქალალდის და ხორცის შემადგენელი ნაწილები ყოფილან, ხოლო ისინი სრულებით არა ჰგვანან მათ წარმომ-

შობს ნივთიერებებს. საკმარისია ასეთი ნივთიერება გავახუროთ შესაფერ ტექნიკატურამდე და ამას შემდეგ იმის დაშლით თავის შემადგენელ ნაწილებად სწრაფად დაიწყება და სწრაფადვე გა- თავდება. ვის არ უნახავს ყოვლად შემაძრტუნებელი სურათი, როდესაც მშვენიერი ორ-სამ სართულიანი სახლი ერთის საა- თის განმავლობაში კვამლად და ფერფლად ქცეულა: გალაქუ- ლი ჭერი, იატაკი, ხელოვნურად გაკეთებული ფანჯრები, კა- რები, ძეირფასი სამკაულები და ხანაც საბრალო ცხოველები ცეცხლის ზვირთების შემდეგ თითქოც სადღაც განქრენ და ადამიანის თვალებს არა სჯერა, რომ ყოველივე ეს ორთქლად, გაზად და ნაცრად გარდაიქცა. არ, ასეთს მოვლენას, რომლის დროსაც ნივთიერება სრულებით ძირითადად იცვლება, უწოდე- ბენ სახელად ქიმიურ მოვლენას და თვით მეცნიერებას კი, რო- მელიც ისეთ მოვლენებს განიხილავს — „ქიმიას“. ქიმიურ მო- ვლენას მივიღებთ მაშინაც, თუ ჩვენ გოგირდ-რკინის ნა- რევს ცეცხლზედ გავახურებთ. ასეთ პირობაში გოგირდი ქი- მიურად უერთდება რკინას და სჩნდება ახალი კაუისავით მა- გარი შავი ნივთიერება, რომელსაც გოგირდოვან რკინას უძა- ხიან; აქვე ისიც უნდა შევნიშნოთ, რომ საკმარისია გოგირდ- რკინის ნარევი მხოლოდ ერთ აღგილას გავახუროთ, რომ ამის შემდეგ გოგირდის რკინასთან შეერთება მეტის-მეტად ცხოვ- ლად ე. ი. ძლიერის სითბოს წარმოშობით დასრულდეს მთელს შეზავებულს ნივთიერებაში. ამნაირად რკინის და გო- გირდის შეერთებას ქიმიურ შეზავებას უძახიან. შეუძლებელია ასეთ შეზავებულ ნივთიერებაში ან წყლის ან ანდამანტის შემ- წეობით რკინა და გოგირდი ერთი ერთმანეთს დავაშოროთ. ამნაირად ქიმია ირკვევს, სწავლობს ისეთს მოვლენებს, რომ- ლების დროსაც ნივთიერების შედგენილება ძირითადად ანუ არსებითად იცვლება.

მთელი მსოფლიო ორგან ნივთიერებებისაგან შესდგე- ბა: არა ორგანიულ ანუ მინერალურ და ორგანიულ ანუ ნახშიროვან ნივთიერებისაგან. ორგანიულ ნივთიერებებს ეძა- ხიან ისეთ ნივთიერებებს, რომლებიდანაც შესდგებიან და რო-

მლებსაც ჰედებენ ხოლმე მცენარეები და ცხოველები. არა ორგანიულს მინერალიურს კი უველა დანარჩენ ნივთიერებებს: ქვა, მიწა-მაღნეულობას და სხვას. ამგვარ ნივთიერებებისდა მიხედვით ქიმიას ჰყოფდნენ ორ დიდ განყოფილებად — არა ორგანიულ და ორგანიულ ქიმიად. წინათ ორგანიული ქიმია განიხილავდა მცენარეულობაში და ცხოველებში გაჩენილ, წარმოშობილ ნივთიერებებს და აღიარებდა, რომ მათი შემზენელი ძალა გაუგებარი ცხოველი რამ ძალა არისო. არა ორგანიული ქიმია-კი იკვლევდა არა ცხოველ ნივთიერებებს ქვა, მიწა, მაღნეულობას და მათ დაშლი-შეზავებას ფიზიკურ ძალებით ხსნიდა როგორც არის, მაგალითად, სითბო, სინათლე და სხვები. შემდეგ, როდესაც 1828 წ. ვიოლერმა არა ორგანიულ ნივთიერებებიდან დამზადა ერთი შარტის შემადგენელ ნაწილთაგანი ესრედ წოდებული ურეა და 1856 წლიდან მოკიდებული გამოჩენილმა ქიმიკოსმა ბერტელოშ მიიღო არა ორგანიულისავე ნივთიერებებიდან ჯიანჭველის სიმუავე*) და ბევრი კიდევ სხვა ორგანიული ნივთიერებანი, რალა თქმაუნდა, ქიმიაში სამუდამოდ დაეცა რალაც ცხოველ ძალის მნიშვნელობა. მართალია დღესაც ქიმია ისევ არა ორგანიულ და ორგანიულ ქიმიად განიყოფება, მაგრამ საფუძველი ამგვარად დაყოფისა სულ სხვა არის. ორგანიული ნივთიერებები, რომლების აუცილებელ შემადგენელ ნაწილს ნახშირმბადი ანუ ნახშირის წამოშობი ნივთიერება წარმოადგენს, ნამეტანი თავისებურ ხასიათისანი არიან შედარებით არა ორგანულ ნივთიერებებთან და ამიტომაც მათ შესასწავლად უმჯობესი იყო ისევ ცალკე განყოფილების დატოვება. რასაკვირველია, ცხოველ ძალის უარყოფის შემდეგ სასურველიც იყო ძველებურ ორგანიულ ქიმიისათვის სახელიც გამოეცარათ, მაგრამ ჯერ-ჯერობით არ იქნა, არ გადავარდა ეს ძველებური სახელი.

ჩვენ ჩვენს ქიმიურ წერილებში საჭიროდ ვსთვლით ორგანიულის და არა ორგანიულის მაგივრად ვიხშაროთ ტერმი-

*) ეს მუავე ნივთიერება ჯიანჭველის ტანში იმყოფება.

ნები: „ნახშიროვანი“ და „მინერალური“, რადგანაც ეს ტერ-
მინები ნათლად აღნიშნავენ მცენარე-ცხოველების და სხვა არა
ცხოველ ნივთიერებების ერთგვარობას ფიზიკურ ძალების
წინაშე. ძველი ტერმინები კი ამ მხრით უფრო ბუნდოვან და
გამოუდეგრად მიგვაჩნია.

ქიმიურ მოვლენების გასაცნობლად ჩვენ მოვიყვანეთ
ორი მაგალითი, რკინის გოგირდთან შეერთება და ხე, ქალა-
ლის და ხორცის დაშლა ცეცხლის შემწეობით. აღვილი წარმო-
სადგენია, რომ ეს ორი მაგალითი სრულებით სხვა და სხვა
ხასიათისანი უნდა იყვნენ. პირველ შემთხვევაში ორ სხვა და
სხვა ნივთიერებებიდან სჩნდება ერთი ახალი, რომელიც არც
ერთს თავის შემადგენელ ნაწილებს არა ჰგავს. ამგვარ ქიმიურ
მოვლენას უწოდებენ სახელად ქიმიურ შეერთებას. მეორე
მაგალითიდან - კი სჩანს, რომ ერთი ნივთიერება, ხე იქნება
ეს ან სხვა რამ რთული ნივთიერება, ცეცხლის შემწეობით
ირლვევა, იშლება რამოდენიმე თავის შემადგენელ ნაწილე-
ბად, რომლებიც სრულებით არა ჰგვანან მათ წარმომშობ
ნივთიერებას. უკანასკნელ ხასიათის მოვლენას, რომლის დრო-
საც რთული ნივთიერება ირლვევა, ნაწილდება უფრო ნაკლე-
ბებად, უწოდებენ სახელად ქიმიურ დაშლას, დარღვევას. რო-
დესაც ჩვენ რთულ ნივთიერებას ვარღვევთ თავის შემადგენელ
ნაწილებად, ჩვენ ამ საშუალებით ვიკვლევთ, რა და რა უბრა-
ლო ნივთიერებებიდან შესდგება ესა თუ ის რთული ნივ-
თიერება. ამ გვარ საშუალებას მეცნიერებაში უწოდებენ სა-
ხელად ანალიზს.

ნივთიერებების გასაცნობლად, შესასწავლად საჭირო არის
მეორე საშუალებაც, ესრედ წოდებული სინტეზი ანუ ქიმიუ-
რად შეერთება-შეზავება. გოგირდოვან რკინის მისაღებად ჩვენ
მივმართეთ სწორედ ასეთს საშუალებას, ე. ი. ავილეთ ორი
სხვა და სხვა ნივთიერება და ცეცხლის შემწეობით შევაერთეთ
ისინი ქიმიურად, მივიღეთ სრულებით ახალი ნივთიერება. ნივ-
თიერებათა სინტეზი შედარებით ანალიზთან მეტად საძნელოა,
დარღვევით ჩვენ აღვილად შეგვიძლიან ყოველი ნივთიერება

დავშალოთ, დავანაწილოთ, ხოლო რაც შეეხება დაშლილ ნივთიერების ღლდგენას, გამთელებას, ამისათვის შეტად საძნელოა შესაფერ პირობების გამოძებნა და მიღება. ამგვარი სიძნელე სინტეზისა ანალიზთან შედარებით ადვილი წარმოსადგენია თუნდაც, მაგალითად, შენობის დაქცევა-აშენებაზედ. ყოველ გვარ დაშლა - შეზავებას, რომელიც ხდება ნივთიერებაში ან ნივთიერებათა შორის ფიზიკურ ძალების და ნივთიერებათა ურთიერთშორის ზედგავლენით, უწოდებენ სახელად ქიმიურ რეაქციას.

ჩვენ უკვე გავიცანით რამდენიმე ქიმიური რეაქციები ორ გვარ ნივთიერებებზედ: რთული ნივთიერება, ხე, ხორცი დავშალეთ ცეცხლის შემწეობით მის შემაღენელ ნაწილებად (ნაცარი, ორთქლი და გაზოვანი ნივთიერებანი) და რთულივე ნივთიერება მივიღეთ იმავე ფიზიკურ ძალის შემწეობით რკინისაგან და გოგირდისაგან. აქ, ცხადია, თავის-თავად იბადება კითხვები—რას წარმოადგენს რთული ნივთიერება? არის თუ არა არა რთული ანუ მარტივი ნივთიერებანი და თუ არის, რა განსხვავება არის ამ ორგვარ ნივთიერებათა შორის? რთულია ნივთიერება თუ მარტივი, ამის გაგება ადვილი არის ანალიზის შემწეობით. ჩვენ შეგვიძლიან სითბოს, სინათლეს, ელექტრონის ან სხვა ნივთიერებისავე ზედგავლენით ესა თუ ის ნივთიერება დავშალოთ და მივიღოთ სხვა და სხვა მისი შემაღენელი ნაკლებად რთული ნივთიერებანი, შემდეგ ამ გვარივე საშუალების შემწეობით შეგვიძლიან უკანასკნელი ნაკლებად რთული ნივთიერებანი კიდევ დავშალოთ სხვა შემაღენელ ნაწილებად და ამრიგად განვაგრძოთ კვლევა-ძიება, სანამ ბოლოს არავითარ მეცნიერებაში ცნობილ საშუალებათა შემწეობით ველარ შევსძლებთ უკანასკნელი მრღვებულ ნივთიერებათა დაშლა-დარღვევებს. აი, ამგვარი ნივთიერებანი, რომლებიც დღემდე ვერასთრის გზით ვერ იქმნენ დაშლილნი სხვა შემაღენელ ნაწილებად, და ყოველგვარ დღეს არსებულ და პრაქტიკულად ცნობილ პირობებში ერთგვარს შეუცვლელ თვისებების ნივთიერებებს წარმოადგენენ, ეძახიან სა-

ხლად მარტივ ნივთიერებებს ანუ ელემენტებს. ერთ მარტივ ნივთიერებიდან შეუძლებელია მეორეს მიღება. მართალია, მეცნიერულ გამოანგარიშებით ცნობილია ისეთი პირობებიც, რომლების ზედგავლენითაც შესაძლოა ყველა დღეს მარტივად აღიარებული ნივთიერებანი ან კიდევ დანაწილდნენ სხვა უფრო მარტივ ნივთიერებებად, ან ყველანი გარდაიქმნენ ერთგვარის ხასიათის მარტივ ნივთიერებად, რაც უფრო ყუათში მოსასვლელი იქნება. მაგალითად, დღეს ქიმიკოსებს თავიანთ გამოკვლევებისათვის ვერ მიუღიათ 3000° გრადუსზე მეტი და— 300° -ზე ნაკლები ტემპერატურა, მაშინ როდესაც შესაძლოა ტემპერატურა ათასობით უფრო მეტი 3000° და ნაკლები 300° გრადუსზედ. ამგვარ მაღალ ტემპერატურას აღილი უნდა ჰქონდეს მზეზედ, ასეთივე ტემპერატურა უნდა ყოფილიყოს, როდესაც ჩვენი მიწა ჯერ გაზიურს და შემდეგ გამდვალ სითხეს წარმოადგენდა, მაგრამ იმაზედ ლაპარაკი, თუ ასეთ პირობებში რას უნდა წარმოადგენდნენ დღეს მარტივად აღიარებული ნივთიერებანი, უსაფუძლო და უმნიშვნელო იქნება, რადგან ასეთ კითხვების გამოცდილებით გამორკვევა, საუბედუროდ, შეუძლებელია.

მიუხედავად ამისა ჩვენ მაინც შეგვიძლიან დაწვრილებით გავეცნოთ ნივთიერებათა დაშლა-შეერთებას და, საზოგადოდ, მათ ცვალებადობის კანონებს.

როგორც ზევით ვთქვით, მეცნიერებმა დაუცხრომელ კვლევა-ძიების შემდეგ ათას გვარ რთულ ნივთიერებების ანალიზის შემწეობით უღმოაჩინეს მრავალი არა რთული ნივთიერებანი ანუ ელემენტები.

დღეს რიცხვი ამგვარ ელემენტებისა მეცნიერებაში 706 აღემატება. ჩვენ ზედმეტად მიგვაჩნია ყველა ელემენტების ჩამოთვლა და გაცნობა. არის ისეთი ელემენტები, რომლების რაოდენობა ბუნებაში იმდენად ნაკლებია, რომ ის სულაც შეუმჩნეველია სხვა ნივთიერებათა შორის და არც არავითარ მონაწილეობას არ იღებს მიწა, ქვა-მაღნეულობის და მცენარეულელების გაჩენაში. ი სწორედ ასეთ ელემენტებს ჩვენ არ

შევეხებით ჩვენს წერილებში და განვმარტებთ მხოლოდ ისეთ ელემენტების შესახებ, რომლებიც ამ მხრით უფრო მნიშვნელოვანად მიგვჩინია.

ყველასაგან ცნობილი რკინა, სპილენძი, ვერცხლი, ვერცხლის წყალი, ოქრო, ცინკი და სხვა წარმოადგენენ მარტივ ნივთიერებებს; გარეგან შეხედულობით ისინი ბრწყინავენ, პრიალებენ და ამიტომაც უძახიან მათ სახელად ლითონებს. სხვა მარტივი ნივთიერებანი არა ჰგვანან ამ მხრით ლითონებს და ამიტომ ეძახიან მათ არალითონებს ანუ მეტალოიდებს, რაც ნიშნავს ლითონის მსგავსს. ამ გვარ მარტივ ნივთიერებებს ეკუთვნიან ნახშირმბალი, გოგირდი, ფოსფორი და სხვანი. ელემენტების ერთი ერთშანეთში სხვა და სხვა რაოდენობითი შეერთებით ჩნდებიან ურიცხვი მინერალური და ნახშიროვანი ნივთიერებები, რომლებიდანაც შესღება ჩვენი მიწა და მასზედ მცხოვრები მცენარეები და ცხოველები.

თრი უმთავრესი ქიმიას ჭეშმარიტება.

ნივთიერების მუდმივობა, ძალის მუდმივობა. ძალის ცვალებადობა. პოტენციალური და ჭიმიური ძალა. ან ენერგია. ჭიმიურ ენერგიის გამოანაგრიშება კალორიმეტრის შემწეობით. სითბოს მექანიკური ეკვივალენტი.

რთულ ნივთიერებების გაჩენა ელემენტებისაგან, რთულივე ნივთიერებების დარღვევა მათ შემაღვენელ ელემენტებად და, საზოგადოთ, ნივთიერებათა ჭიმიური ცვალებადობა დამყარებული არის ორს უმთავრეს ჭეშმარიტებაზედ.


პირველი ოლიარებს, რომ წონა წარმოშობილ რთულ ნივთიერებისა ყოველთვის უდრის მის წარმომშობ ნივთიერებების წონათა ჯამს. ასეთი კანონი თითქოც ეწინააღმდეგება ყოველ დღიურ ცხოვრებაში ნახულ მაგალითებს. სანთლის ნელნელა დალევას და საბოლოოდ სულაც განქრობას ცეცხლის მოკიდების შემდეგ; ვეებერთელა ჯირკის დაწვის შემდეგ მხო-

ლოდ ფერფლის-და დარჩენას და სხვებს, მაგრამ საკმარისია ცოტათი მაინც ჩავუფიქრდეთ ამ გვარ მაგალითებს და ჩვენ ადვილად დავრწმუნდებით, რომ ამ შემთხვევებშიაც ზევით მოყვანილი კანონი საქსებით მართლდება. მართლათაც ავილოთ ცოტა მოზრდილი ჭიქის ჯამი თითქმის წყლით სავსე, დიდი ჭიქისავე ქილა, ისეთი კი რომ ის თავის ღია თავით თავისუფლად ჩადიოდეს ჯამში; წყალში ჩავაგდოთ მსუბუქი და სქელი ხის რგვალი ფიცარი, უკანასკნელზედ დავდოთ ქალალდი, ბამბა ან სხვა რამ ადვილად დასაწვავი ნივთიერება; შემდეგ წყლიანი ჯამი, ხის ფიცრით დასაწვავ ნივთიერებით და ქილა ავწონოთ ცველა ერთად რაც შეიძლება ნაზ სასწორზედ და როდესაც სასწორი სისწორეში მოვა, სწრაფად წავუკიდოთ ცეცხლი ფიცარზედ მდებარე ნივთიერებას და სწრაფადვე დავამხოთ მას თავზედ სასწორის ჯამზედვე მდებარე ქილა. როდესაც ნივთიერების ცოტაოდენი ნაწილი დაიწვება და ნახშირად იქცევა, ჩვენ დავრწმუნდებით, რასაკვირველია, დაახლოვებით, რომ სასწორი სისწორიდან არ გამოსულა და, მაშასადამე, დამწვარ ნივთიერების წონა უდრის მის შემაღენელ ნივთიერებების ნახშირის და გაზების წონათა ჯამს. ასეთი გამოცდილება ნაკლებად აღწევს თავის მიზანს, რადგან დასაწვავ ნივთიერებას ჭიქის ქილის ქვეშ ვერ ჰყოფნის დასაწვავად დაწყვდეული ჰაერი და ამის გამო ნივთიერება მხოლოდ ოდნავ იწვება. უეჭველია ვიუიქრებთ, რომ ნივთიერების ოდნავად დაშლა მხოლოდ ოდნავად თუ იმოქმედებს სასწორზედ და ასეთი მოქმედება კი მეტად ძნელად შესამჩნევი იქნება.

ყოველ შემთხვევაში ეს გამოცდილება ნათლად გვეუბნება, რომ თუ კი დასაწვავ ნივთიერებებიდან წარმოშობილ სხვა და სხვა შემაღენელ გაზებს ნახშირს და ფერფლს არსად არ გავუშვებთ, არ დავკარგავთ, მათი წონა საქსებით უნდა უდრიდეს დამწვარ ნივთიერების წონას. სანთლის წვის დროს კი უქილოთ სხვა და სხვა გაზოვანი ნივთიერებანი სანთლისაგან წარმომდგარნი ცეცხლის შემწეობით ჰაერში მიისწრაფვიან და,

რასაკვირველია, საბოლოოდ სანთლის ადგილზე აღარაფერი აღარ ჩეხბა.


ამ გამოცდილების საესებით აღსასრულებლად საჭირო არის ნაზი ქიმიური სასწორი, რომელზედაც შეიძლება გრამის მეათიათასედ ნაწილის აწონა, ამასთანავე საჭიროა წყლიან ჯამის და ქილის მაგივრად სხვა რამ ნაზი და მსუ-



სურათი 1.

ბუქი მოწყობილება. ასეთ მიზნისათვის ქიმიურ სასწორის ერთ ჯამს ზევით დაჰკიდებენ ხოლმე რკინის ან პლატინის

მავთულის შემწეობით ორს ერთი მეორესთან კაუჩუკით შეერთებულს ჭიქის ხელსაწყობს, ერთი მათგანი წარმოადგენს ყერ-



სურათი 2.

ზედ დასმულ ქართულ ასოიანივით მოხრილს და მეორე კი ალაგ-ალაგ მსხალივით დაბერილ ჭიქის მილებს. ამ მილების ერთ ლია ბოლოს შეუერთებენ ხოლმე კაუჩუკისავე შემწეობით თავდალმა ჩამოკიდებულ გრძელ ტუჩიან ჭიქის ძაბრის (ვ) ვიწრო და მოკლე ყელს; ჭიქის ძაბრში კი მოთავსებული უნდა იყვეს დახვრეტილ თავსაცავში ჩამაგრებული დასაწვავ სანთლის ნაჭერი, რომელსაც ასეთ პირობაში აღვილად შეუძლიან დაიწვეს სვრეტილებში შემავალ ჰაერის ზედგავლენით. გამოცდისათვის სასწორის ჯამზედ ჩამოკიდებულ ჭიქის მილებში მოთავსებენ ხოლმე სანთლის დაწვის დროს წარმოშობილ გაზების აღვილად ჩამულავავ, შემთვისებელ სხვა და სხვა ხსნილს და შაგირ ნივთიერებებს *) და ამას შემდეგ ასწონიან ერთად მილებს მათში მოთავსებულ ნივთიერებებით, ჭიქის ძაბრს სანთლის ნაჭრით და თავსაცავით. როდესაც სასწორის ჯამები სისწორეში მოვლენ, დაანთებენ სანთლის ნაჭერს და ძაბრში

*) დაწვრილებით ამგვარ ნივთიერებებს ჩვენ შემდეგ გვიცნობთ.

ჩაამაგრებენ; ჩამოკიდებულ მილების მეორე ღია თავიდან კი რაიმე შესაფერ საშუალებით ნელ-ნელა იწყებენ ჰაერის გამოწუწვნას, რომ ამნაირად სანთლის დაწვის ღროს გაჩენილი გაზები მილებში მოთავსებულ ნივთიერებებში გაატარონ და ამ რიგად ისინი ოდნავადაც არ დაპკარგონ. ცოტა ხნის შემდეგ და სანთლის დაწვის მერე კი სავსებით დავინახავთ, რომ სასწორის სანთლიანი ჯამი არამც თუ არ გამჩატებულა, არამედ ბევრად მეტსაც აიწონის, ვიდრე თავიდანვე გათანასწორებული მეორე ჯამი. ამნაირად ასეთ მეტნიერულ გამოცდის შემდეგ სანთლის გაქრობა, მის დაწვის შემდეგ სასაკილოდაც არ გვეყოფა. ცხადათ სჩანს, რომ რაც სანთლის დაწვის ღროს გაზოვანი ნივთიერებანი გაჩნდნენ, ისინი მთლად ჭმთანთქა, დაკავა ჭიქის ხელსაწყოუბში მოთავსებულ ნივთიერებებმა, ხოლო რაც შეეხება სანთლიან ჯამის წონის მომატებას, ეს აიხსნება იმით, რომ დაწვის ღროს სანთელს უერთდებოდა გარეშე გაზოვანი ნივთიერება, ესრედ წოდებული მუავმბადი, რომელიც შეადგენს ჰაერის ნაწილს და რომლის შეერთებას სხვა-და-სხვა ნივთიერებებთან უწოდებენ სხელად დაწვა-დაფანგვას. ამ გაზოვან ნივთიერებაზედ და დაწვა-დაფანგვაზედ შესაფერ ადგილზე ვილაპარაკებთ.

ჩვენ დავრწმუნდით, რომ ზევით მოყვანილი ქიმიური კანონი მართლაც უტყუარი ჭეშმარიტება ყოფილა: ნივთიერება არასღროს არ იბადება და არც ჰქრება, ის მუდმივია. ეს ჭეშმარიტება ქრისტეს დაბადებამდისაც იცოდნენ საბერძნეთის ფილოსოფოსებმა, მაგრამ მის ყოველ მხრივი გამორკვევა და გამოყენება უკვდავ ფრანგთა ქიმიკოსის ლავუაზიეს საქმე იყო. (1743—1794).

მეორე ქიმიის დედა ბოძი და უმთავრესი ჭეშმარიტება მდგომარეობს ესრედ წოდებულ ძალის მუდმივობაში. ეს ჭეშმარიტება გვეუბნება, რომ ძალა არასღროს არ სჩნდება და არც ჰქრება; ყველა ფიზიკური ძალები, სითბო, სინათლე, ელექტრონი და სხვანი წარმოადგენენ სხვა-და-სხვა ფორმას ერთსა და იმავე ბუნების ძალისას, რომლის რაოდენობა მუდამ ერთი და

იგივე არის. ერთი ფორმის ძალას შეუძლიან პირობებისდა
მიხედვით მეორე ფორმის ძალად გარდაიქცეს. ავიღოთ თუნ-
დაც ასეთი მაგალითი: როდესაც დაღმართში მიმავალ მატა-
რებლის ან დატვირთულ ეტლის გოგრებს ტორმაზებს მოუჭე-
რენ, ჩვენ თავდაპირველად ვამჩნევთ, რომ გოგრების სწრაფი
ტრიალი თან და თან სუსტდება და ამავე დროსვე გვესმის
ხის ტორმაზის და რკინის გოგორის ერთი ერთმანეთთან
ხლახუნი; შემდეგ ხის ტორმაზიც და რკინის გოგორიც
ნელ-ნელა იწყებენ გახურებას, ხის ტორმაზიდან ამოდის კო-
მლი და ბოლოს ალიც ჩნდება. ამ ჩაგალითიდან აშკარად
ვხედავთ, რომ გოგორების მატრიალებელი ძალა ტორმაზის მო-
ჭერის დროს ჯერ გოგრების ტორმაზთან ყურისათვის არა სა-
სიამოვნო ხლახუნს და მოძრაობის შესუსტებას მოუნდა, ამავე
დროსვე ესავე ძალა სითბოდ იქცა, სითბომ კი კომლის მო-
ძრაობა დაპირადა და ბოლოსაც ალის გაჩენით თითონ სინა-
თლედ გარდაიქცა. თუ ჩვენ ერთსა და იმავე ძალის ამგვარ
ცვალებადობას კარგად ჩავუკირდებით, ადვილად შევამჩნევთ,
სხვათა შორის, ძალის ერთგვარ ფორმასაც ქიმიურ ძალას ანუ
ენერგიის. მართლადაც, როდესაც ხის ტორმაზი გოგორისთან
ხლახუნის გამო მეტის-მეტად გახურდა, ის, როგორც როგორი
ნივთიერება, ქიმიურად დაიშალა, დაირღვა თავის შემადგე-
ნელ ნაწილებად. ასეთ დამარტვეველ ძალის წარმომშობ მი-
ზეზად, რასაკვირველია, სითბო უნდა ჩაითვალოს: ხის ტორმა-
ზის მეტის-მეტად გახურებამ გამოიწვია მის შემადგენელ ნა-
წილების სხვანაირად შეზავება, შეერთება და ამ რიგად ახალის
ნივთიერებების გაჩენა. ამნაირად გოგორების მატრიალებელ
ძალას თავის მრავალ გვარ ცვალებადობის დროს ქიმიურ ძა-
ლის, ენერგიის ფორმაც კი მიუღია. საყურადღებო ძალის ამ-
გვარ ცვალებადობაში ის არის, რომ ერთი ფორმის ძალა მრა-
ვალ გვარ ცვლილების შემდეგ შესაძლოა პირველსავე ფორმას
დაუბრუნდეს. სწორედ ასეთი წრე ძალის ცვალებადობისა ად-
ვილი შესამჩნევია იმავე გოგრების მატრიალებელ ძალის ცვ-
ლილებაშიაც: თავდა პირველად ეს ძალა მატარებელში. დასა-

წვავ შეშაში იყო და ასეთ მდგომარეობაში კი ის უხილავ და პოტენციალურ ანუ შემძლე ძალად უნდა მიგვაჩნდეს; შემდეგ, როდესაც ეს პოტენციალური ძალა სითბოთ იქცა დაწვის ღროს და ამრიგად მატარებელში გაჩენილმა ორთქლის ძალამ გოგორა აატრიალა, ტრიალმა კი ტორმაზის გახურება და დაწვაც-კი გაშოიწვია, ის ისევ პოტენციალურ და უხილავ ძალად დარჩა ხის ტორმაზის შემადგენელ ნაწილებში: ორთქლში, სხვა და სხვა გაზებში და ნახშირის მტვერში, რომლებიდანაც შეს-დგება კვამლი.

აქ მოყვანილ მაგალითით ჩვენ უფრო გვინდოდა მკითხველისათვის აგვეხსნა, თუ რაში მდგომარეობს ძალის ცვალებადობა, ხოლო რაც შეეხება კერძოთ ქიმიურ ძალას, ენერგიას, მის თვისებებს, ამის გასაცნობლად საჭირო არის მოვიყვანოთ სხვა რამ, ამ მხრით უფრო საყურადღებო მაგალითები. უველამ იცის, რომ თოფის წამლის ასაფეთქებლად საჭირისი არის მხოლოდ ერთი ნაპერწკალი. რამდენიმე ფუთ თოფის წამალი აფეთქების ღროს, შეუძლიან უზარ-მაზარი შენობა დაანგრიოს და ასეთი საოცარი ძალა, რასაკვირველია, ჩნდება თოფის წამლის შემადგენელ ნაწილების დარღვევა-შეერთებით. მართალია ის ნაპერწკალიც, რომლითაც ააფეთქებენ თოფის წამალს, ფიზიკურ ძალას წარმოადგენს, მაგრამ ის იმდენად პატარა არის, რომ წამლიდან წარმოშობილ ძალაში არავითარ მონაწილეობას არ იღებს.. ქიმიურად დაშლა-შეზავება იწყება თოფის წამლის იმ წერტილიდან, საცა ნაპერწკალი დაეცა და შემდეგ კი ქიმიურ რეაქციისაგან წარმოშობილი ძალა თავად უწყობს ხელს მთელის თოფის წამლის აფეთქებას. როგორც ვიცით, თოფის წამალი შესდგება დანაყულ ნახშირისაგან; გვარჯილისაგან და გოგირდისაგან; ისინი ნაპერწკლის ზედგაცლენით სწრაფად იწყებენ ქიმიურად დაშლა-შეზავებას და სხვა და, სხვა გაზოვან ნივთიერებებად გარდაქცეულნი, რალა თქმაუნდა, სწრაფადვე უზარ-მაზარ ალაგას იქერენ შედარებით თავის დაწყებით მდგომარეობასთან ე. ი. როდესაც ისინი შავს მტვერს წარმოადგენდნენ. აქედან ჩვენ შეგვიძლიან დავსკვნათ,

რომ ნახშირში, გვარჯილაში და გოგირდში შენახული ყოფილი უხილავი პოტენციალური ძალა, რომელმაც იწყო მოქმედება ნაპერწკლის ზედ გავლენის შემდეგ. მან უხილავად ხელი შეუწყო ამ ნივთიერებათა გაზოვან ნივთიერებებად გარდაქცევას და ამ უკანასკნელთა წარმოშობისთანვე ხილულ მოძრავ ძალად გარდაიქცა. აი ის მაღლი, პოტენციალური ძალა, რომელიც იმყოფება ყველა ნივთიერებებში და მოქმედების შესაფერ პირობებში სითბო, სინათლის, ელექტრონის ან სხვა რამ ძალის ზედგავლენით მეცნიერებაში ცნობილი არის ქიმიურ ენერგიათ. ჩვენ დავინახეთ, რომ ეს ენერგია თოფის წამლის აფეთქების დროს ხილულ მოძრავ ძალად გარდაიქცა და, მაშასადამე, ის ყოფილა ერთი ფორმათაგანი ბუნების ძალისა. ასეთივე ქიმიურ ენერგიის შემწეობით ჩნდება დანაყილ გოგირდისაგან და რკინის ფხვნილისაგან ახალი რთული ნივთიერება კაუივით მაგარი გოგირდოვანი რკინი. როგორც ვიტით, —საკმარისია მექანიკურად შეზავებული რკინა და გოგირდი მხოლოდ ერთ ადგილას გავახუროთ, რომ ცოტა ხნის განმავლობაში დიდის სითბოს წარმოშობით რკინა მთლად შეუერთდეს გოგირდს და ამნირად გაჩნდეს ახალი ნივთიერება. სჩანს, ორ მარტივ ნივთიერებაში,—რკინასა და გოგირდშიაც შენახული ყოფილა პოტენციალური ენერგია ანუ შემძლე ძალა, რომელმაც თავი იჩინა ნივთიერებათა ერთ ადგილას გახურებით და შემდეგ; იწყო რა რკინის გოგირდთან შეერთება, იმავე დროსვე ვადაიქცა ხილულ ძალათ, სითბოდ. სჩანს, ყველა მარტივ და რთულ ნივთიერებებშიაც იმყოფება ესრედ წოდებული პოტენციალური ენერგია, რომელიც თავს იჩენს მხოლოდ შესაფერ პირობებში და ამ დროს აჩენს ხოლმე ქიმიურ რეაქციას, ესე იგი ან ნივთიერებათა დაშლის ან მათ შეერთებას. რადგან ნივთიერების დაშლა—შეერთების დროს, როგორც დავინახეთ, ქიმიური ენერგია საბოლოოდ ჩვეულებრივ ფიზიკურ ძალად იქცევა ან მოძრაობად ან სითბოდ, აშკარაა შესაძლოა გვიგოთ—რამოდენი ქიმიური ძალა ანუ ენერგია უნდა იმყო-

ფებოდეს ნივთიერებაში პოტენციალურად ან მომქმედათ რეა-
ქციის დროს.

შეცნიერებაში მიღებული არის ქიმიურ ენერგიის რაო-
დენობის გასაგებად ამავე ძალის ჩვეულებრივ ფორმის ე. ი.
სითბოს ზომა. პირველ დაწყებით ანუ უმცირეს ზომად მიღე-
ბულია ის რაოდენობა სითბოსი, რომელიც ჩნდება ერთ კუ-
ბიკურ სანტიმეტრ წმინდა წყალში ცელზის 0°-დგან ერთ გრა-
დუსამდე გათბობის დროს.

ამ უმცირეს ზომას სითბოს რაოდენობისას უძახიან სახე-
ლად კალორის; ეს არის პატარა კალორი. ესრედ წოდებული
დიდი კალორი კი არის სითბოს ის რაოდენობა, რომელიც ჩნდე-
ბა, ერთ კილოგრამ წყლის 0°-დგან 1 გრადუსამდე გათბობის დროს.
იმის გასაგებად, თუ რამდენ კალორის უდრის ქიმიურ რეაქციის
დროს გაჩენილი სითბო, შეცნიერები ხმარობენ ერთგვარ უბრა-
ლოდ გაკეთებულ ხელსაწყობს, კალორიმეტრს, ანუ კალორის
მზომს. კალორი მეტრი შესდგება ორის ერთი მეორეში ჩამდგარ
თხელ ლითონის ქილებისაგან. გარეგანი ქალი ბევრად უფრო ფარ-
თოა, ვიდრე მასში ჩამდგარი პატარა და გარედან შეხვეული არის
სხვა და. სხვა სითბოს გლახად გამყვან ნივთიერებებით. დიდ ქი-
ლაში ჩაასხამენ ხლომე წმინდა წყალს განსაზღვრულ რაოდენო-
ბით კუბიკურ სანტიმეტრების ანგარიშით და სახურავში მო-
წყობილ სარევით. წყალს ხშირად აურ - დაურევენ, რომ ის
ყველგან ერთნაირის ტემპერატურისა იყოს; წყლის ტემპერა-
ტურის გასაგებად კი წყალში ჩაკიდებული არის ცელზის ტერ-
მომეტრი. ვსოდეთ ჩვენ გვსურს გავიგოთ, რამდენი კალორი
სითბო ჩნდება განსაზღვრულ რაოდენობის გოგირდის და
რკინის ქიმიურად შეერთების დროს; ამისათვის ეს ორი მექა-
ნიკურად შეზავებული ნივთიერებანი. უნდა ჩავდოთ რაიმე
შესაფერ ჭურჭელში, ვსოდეთ ფართორის პარაწა ჯამში, და
ამრიგად მოვათავსოთ ის ლითონის პატარა ქილაში; გარეგან
ქილაში უნდა ჩავსხათ განსაზღვრულ რაოდენობით წმინდა
წყალი კუბიკურ სანტიმეტრების ანგარიშით. შემდეგ გოგირდ
რკინის ნარევს რაიმე შესაფერ საშუალებით ერთ ადგილას

ძალიან გავახურებთ და, დაიწყება რა ამ ორ ნივთიერებათა ქიმიურად შეერთება, კალორიმეტრს სწრაფად დავახურავთ ზევი-დან თავსახურავს და დავიწყებთ სატრიალებელით წყლის არევ-დარევას. რასაკვირველია, აქ მხედველობაში უნდა მივიღოთ იმ სითბოს რაოდენობაც, რომელიც რკინის და გოგირდის პირ-ველ გახურებაზედ დაიხარჯა, ამას კი ადვილად გავიგებთ იმავე კალორიმეტრის შემწეობით. როდესაც ბოლოს წყლის ტემპე-რატურა ტერმომეტრის ერთ მაჩვენებელზედ გაჩერდება, ესე იგი სითბო აღარც მატულობს და აღარც კლებულობს, საკმა-რისია ტერმომეტრით ნაჩვენები გრადუსთა რიცხვი გავამრავ-ლოთ წყლის კუბიკურ სანტიმეტრების რიცხვზედ და ჩვენ მი-ვიღებთ სავსებით კალორიებში იმ სითბოს რაოდენობას, რო-მელიც გაჩნდა განსაზღვრულ რაოდენობის რკინის და გოგირ-დის შეერთების დროს.*). მეცნიერებმა ამგვარის საშუალებით რკინა და გოგირდი და სხვა მარტივი ნივთიერებები სხვა და სხვა რიგად ერთი ერთმანეთს შეუერთეს, გაიგეს ამ შეერთე-ბის ან ამგვარად გაჩენილ რთულ ნივთიერების დარღვევის დროს წარმოშობილ სითბოს რაოდენობა და შესაფერ გამო-ანგარიშებით მიიღეს ყველა ნივთიერებების პოტენციალური ენერგია, რომლის შემწეობითაც აისწნება ნივთიერებების დაშ-ლა-შეზავება და საზოგადოდ ქიმიური რეაქცია. არის ისეთი მაგალითებიც, როდესაც ქიმიურ რეაქციის დროს სჩნდება მოძრაობა და ამიტომაც საჭიროა ვიცოდეთ, ასეთ შემთხვევებ-ში როგორ უნდა გამოვიანგარიშოთ რეაქციის დროს წარმო-შობილი ძალა.

ამისთვის ერთი ფორმის ენერგიის მოძრაობას ანგარიშო-ბენ ხოლმე მეორე ფორმის ენერგიაზედ სითბოზედ. ეს ორ გვარი ენერგია, როგორც ვიცით, ადვილად იღებს ერთი მე-ორის ფორმას და ამიტომაც ქიმიურ ენერგიის გამოსაანგარი-

*) ეს საზოგადო აღწერილობაც საკმარისია კალორიმეტრის მნიშვ-ნელობასა და ხმარების გასაგებად; მეცნიერულ გამოკვლევებისათვის კი საჭირო არის უფრო რთული და საზოგადოდ ჯეროვანად მოწყობილი კალორიმეტრი.

შებლად შემოღებულ იქმნა კიდევ ერთი საზომი ესრედ წოდებული სითბოს მექანიკური ეკვივალენტი ანუ სითბოს თანაბარ (ეკვივალენტი) მექანიკური ძალის მაჩვენებელი რიცხვი და უდრის 423,5. ეს რიცხვი იმას ნიშნავს, რომ 423,5 კილოგრამ სიმძიმის ერთი მეტრის სიმაღლეზედ აწევის დროს იხარჯება იმოდენივე სითბო (ამწევ ძალის მისაღებად), რამოდენიც სჩნდება ერთ კილოგრამ წყლის 0° — 1° ცელზის გრადუსამდე გათბობის დროს, სხვანაირად რომ ვსოდეთ ერთი დიდი კალორი უდრის 423,5 კილოგრამ მეტრს.

ზევით აღწერილ საშუალებების შემწეობით შესაძლოა ყოველგვარ ნივთიერების ქიმიურ ენერგიის გაგება. რასაკვირველია, ქიმიური ენერგია სხვა და სხვა მარტივ ან რთულ ნივთიერებებისა სხვა და სხვა არის და ამით აიხსნება ის გარემოება, რომ სხვა და სხვა ნივთიერებების დაშლა-შეერთებისათვის საჭირო არის სხვა და სხვა პირობებიც. ქიმიური ენერგია არის ერთი უმთავრესი თვისება ყოველივე ნივთიერებისა; როგორც ზევით ვსოდეთ, ამით აიხსნება ყოველგვარი ქიმიური მიმზიდველობა ნივთიერებათა შორის.

ა. გ. კლდიაშვილი.

(დასასრული იქნება)

ჰუნგრეთის მიმოხილვა

1. ჰუნგრეთი და ავსტრია.—2. მანჩჯურია.—3. კიდევ საერთო ნიადაგის გამო.

ჰუნგრეთისა და ავსტრიის კუპირის საფუძველია 1867 წლის შეთანხმება, რომელსაც საფუძვლად დაუდვეს 1723 წლის მორიგება. შინაარსი ამ შეთანხმებისა ის არის, რომ ავსტრიასა და ჰუნგრეთს ერთი ხელმწიფე ჰყავთ (ჰუნგრეთს მეფე, ავსტრიას იმპერატორი) ჰაბსბურგის დინასტიისა და რომ ორივე მხარე ვალდებულია ერთმანერთს დახმარება გაუშიოს საჭიროების დროს. რაკი ეს ურთიერთი დახმარება სავალდებულო იყო, ამიტომ ჰუნგრეთსა და ავსტრიას საერთო საქმეებიც უნდა ჰქონებოდათ; ასეთი საერთო საქმეა „გარეშე პოლიტიკა (ურთიერთი დახმარება მშვიდობიანობის დროს), სამხედრო წესწყობილება (ურთიერთი დახმარება ომიანობის დროს) და ამ ორ საქმისათვის საჭირო ფინანსები“. რადგან საერთო პარლამენტი ჰუნგრეთის დამოუკიდებელი მდგომარეობას ჩრდილს მიაყენებდა, ამიტომ დადგენილ იქნა, რომ ამ საერთო საქმეების გასაძლოლად და მოსავლელად ავსტრიის რეისსრატი და ჰუნგრეთის პარლამენტი თავის წევრებ შორის ამოირჩევდნენ დელეგატებს; მაგრამ ამ დელეგატებსაც თავ-თავისი სხდომა აქვთ, რომ კიდევ უფრო ცხადი ყოფილიყო ჰუნგრეთის განკერძოებითი არსებობა, მისი დამოუკიდებლობა. ავსტრიისა და ჰუნგრეთის საფინანსო და საღამოუნი კონვენცია ახლდება ყოველ ათ წელს; ავსტრიის სარჯი გაცილებით მეტია ჰუნგრეთისაზე საერთო საქმეებისათვის.

ხალხი, რომელიც თითქმის სრულ დამოუკიდებლობაშედე შისულა, რომელსაც უგემნია დამოუკიდებელი სახელმწიფო არსებობა და უნარიც გამოუჩენია ასეთ მდგომარეობის მოხმარებისა, ბუნებრივად მოწადინებულია ეს „თითქმის დამოუკიდებლობა“ სრულ დამოუკიდებლობად გადააჭიროს და მოსპოს გარეგანი ნიშანიც კი სხვათაგან დამოკიდებულებისა. ჯერ კი-დევ 1867-ში ძლიერი პარტია იყო წინააღმდეგი ავსტრია-ჰუნგრეთის ხსენებულ შეთანხმებისა, მაშინაც ხელავდნენ შორს გამჭვრეტი პოლიტიკოსები, რომ დეაკის მიერ შექმნილი დუალისმი ვერ დაკმაყოფილებს ჰუნგრეთის ხალხის ბუნებრივ სურვილსა და მისწრაფებას.

მით უფრო შეუფერებელია ეს დუალისმი ეხლანდელ მდგომარეობასთან: ჰუნგრეთი დაწინაურდა, გაძლიერდა, შექმნა უფრო ნამდვილი საპარლამენტო ცხოვრება, *) ვიდრე ეს ასესტრიაში არის, და, რა გასაკვირველია, რომ ეხლა მეტის ენერგიითა და სიმტკიცით მიისწრაფოდეს სრულ დამოუკიდებლობისადმი

თუ რამდენად მოძველდა ავსტრია-ჰუნგრეთის დუალისმი, მარტი იქიდანაც სჩანს, რომ ორივე მხრის თითქმის მთელი პოლიტიკური ცხოვრება უნდება ამ დუალისმის მოვლის საქმეს. ყოველთვის, როცა კი ვადა გაუვა ავსტრია-ჰუნგრეთის საფინანსო კონვენციას, ისეთი დავიდარაბა ატყდება მონარქიის ორივე მხარეში, რომ გარდა ამ კითხვისა სხვა ყველა მივიწყებულია. სრული ექვსი წლიწადი მოუნდა უკანასკნელ შეთანხმების შემუშავებას; რამდენი სამინისტრო გადადადგა ამ საქმის გამო ამ ხნის განმავლობაში!

1867 წლის შეთანხმებამ მოჭამა თავისი სოფელი და ეს არის მთავარი მიზეზი, რომ ეგრედ წოდებული „ჰუნგრეთის კრიზისი“ ასე გაუთავებელი და გამწვავებულია. უკანასკნელი საფლაველიც ერღვევა ავსტრია-ჰუნგრეთის დუალისმს და მა-

*) „კვალს“ არ სცოდნია, რომ ჰუნგრეთში სხვა საარჩევანო წესია და ავსტრიაში სხვა.

ლე ჰუნგრეთის ხალხი მიაღწევს კიდევ მიზანს. ამისი საბუთი უკანასკნელი კრიზისია.

ჰუნგრეთის ჯარის უფროსი მეფე; ჯარის საქმეში აქაშ-დე ვერავინ ჩაერეოდა, რადგან ეს მეფის უფლების შელახვად ითვლებოდა. ჰუნგრეთის ჯარს საერთო საიმპერიო ღროშები ჰქონდა, საკომანდო ენა გერმანული იყო, აფიცრების გადაყვან-გმდმოყვანა ჰუნგრეთიდან ავსტრიაში და ავსტრიიდან ჰუნგრეთში მეფის სურვილზე იყო დამოკიდებული; საქმის წარმოება, მიწერ-მოწერა გერმანულ ენაზე სწარმოებდა და სხვა: ჰუნგრეთის ნაციონალისტებს ეს წესი არ მოსწონდათ და მოითხოვეს მისი შეცვლა. ფრანც-იოსები მეტად გაარისხა ასეთმა მოთხოვნამ და გამოაცხადა საქვეყნოდ, რომ იგი არასოდეს არ დასთმობს თავის უფლებას, ე. ი. ნებას არავის მისცემს ჯარის საქმეში ჩაერიოს. ამ ამბავმა სულ ცეცხლი მოუკიდა ჰუნგრეთის პორტამენტს და, სანამ მეფეშ უკან არ წაილო მისი სიტყვები, სანამ თითქმის სავსებით არ დააკმაყოფილეს ნაციონალისტების მოთხოვნანი, მთელ ჰუნგრეთში საშიში მღვლებარება იყო გამეფებული. ეხლა ჰუნგრეთის ჯარს განსაკუთრებული ღროშები და ნიშნები ექნება; ჰუნგრი აფიცრები მარტო ჰუნგრების პოლკებში იმსახურებენ; ამას გარდა ჰუნგრების პოლკებში მარტო ჰუნგრი აფიცრები იქნებიან; ჰუნგრეთის სამხედრო სასწავლებლებში ჰუნგრულ ენის სწავლება სავალდებულო იქნება, ჰუნგრეთის სამხედრო სასამართლოებში საქმეებს ჰუნგრულ ენაზე აწარმოებენ; ჯარის უფროსებმა და ყველა სამხედრო მოხელემ მიწერ-მოწერა ჰუნგრეთის ყველა სამოქალაქო დაწესებულებასთან ჰუნგრულ ენაზე უნდა იქონიონ და სხვა.“

ამ გვარად ჰუნგრეთმა გაიჩინა საკუთარი ეროვნული ჯარი და ამით გადადგა დიდი ნაბიჯი სრულ დამოუკიდებლობისაკენ.

ავსტრიაში ჰუნგრეთის ასეთმა გამარჯვებამ დიდი უკმაყოფილება გამოიწვია და პირველმა მინისტრმა იმით მოინდომა ამ უკმაყოფილების დაწყნარება, რომ გამოაცხადა — მიუხედავათ ახალ დათმობისა, ჰუნგრეთი ავსტრიის ნებადაურთველად

ვერავითარ ცვლილებას ვერ მოახდენს ჯარშიო. ამაზედ ჰუნგრეთის პირველ მინისტრმა გასცა პასუხი ჰუნგრეთის პარლამენტში — ჰუნგრეთი თავის დღეში ნებას არ მისცემს ავსტრიას, რომ მის (ჰუნგრეთის) საქმეებში გაერიოს და კერძერს დაცინვით „წარჩინებული უცხოელი“ უწოდა, რომელსაც ჰუნგრეთის წესწყობილების ცოტა რამ გაეგება: ჰუნგრეთში ყველა საქვეყნო საქმეების (მაშასადამე სამხედრო საქმისაც) გამგებელი ჰუნგრეთის პარლამენტია და არა მეფე ან ავსტრიის მთავრობა და ამ პარლამენტის ნებადაურთველად ვერაფერი ვერ გადაწყდება.

პარლამენტის გაძლიერება და მეფის უფლების შემცირება არის მეტად მნიშვნელოვანი შედეგი უკანასკნელ კრიზისა.

რატომ არის, რომ ავსტრია უფრო სუსტი გამოდის ჰუნგრეთზე და იძულებული ხდება ყოველთვის დაუთმოს. მას? ან საიდან წარმოსდგება ჰუნგრეთის ძალა?

ამ რა პასუხს იძლევიან ამ კითხვებზე მცოდნე პირები: მთავარი მიზეზი ავსტრიის სისუსტისა ის არის, რომ აქ ჰაბსბურგების დინასტიურ ინტერესებს შეტად დიდი მნიშვნელობა აქვთ და პარლამენტი კი სუსტია; ეს დინასტიური ინტერესებია, რომ თხოულობენ 1867-ის დუალისმის შენახვას და, რადგან ჰუნგრეთის პარლამენტი ძლიერია და მეფის გულისათვის არ დასთმობს ჰუნგრეთის ეროვნულ ინტერესებს, ამიტომ ავსტრიის სუსტ პარლამენტს სჭიდებენ ხელს, რომ ნებას დაუყოლიონ. ავსტრიის ყოველ სამინისტროს პირველი ყოვლისა დავალებულია აქვთ იმპერატორისაგან, რომ როგორმე მოავაროს ჰუნგრეთთან შეთანხმება; ეს არის მთავარი მიზანი და დანიშნულება ავსტრიის მთავრობისა; და რადგან პარლამენტის უმრავლესობა ძნელია თუ დასთანხმდება ავსტრიის ინტერესები ჰუნგრეთს შესწიროს მსხვერპლად, მთავრობა „ვაჭრობას“ იწყებს სხვა-და-სხვა პარტიასთან, რომ ხელოვნური უმრავლესობა შექმნას. ავსტრიისაც რომ ძლიერი პარლამენტი ჰყავდეს და სამეფო ტახტს ნაკლები უფლებები, სამინისტრო რომ პარლამენტის წინაშე იყოს პასუხის მგებელი, დინასტიური

ინტერესები თავისას ვერ გაიტანდნენ და ჰუნგრეთის საქმე სხვანაირად გადაწყდებოდა: თუ ავსტრიისათვის საზარალო აღმოჩნდებოდა არსებული დუალისმი, ასეთი კავშირი ერთბაზად მოისცობოდა. ამიტომაც არის, რომ ავსტრიის მთავრობა იმის ცდაშია, რომ აქ პარლამენტი არ გახდეს ის, რაც უნდა იყოს—საქვეყნო საქმეების ნამდვილი გამგებელი.

თუ რას წარმოადგენს ავსტრიის ეხლანდელი პარლამენტი, იქიდან სჩანს, რომ აღუშფოთებლად, თითქმის დამშვიდებით მოისმინა პირველ მინისტრის კერძერის სიტყვა, სადაც იგი ამტკიცებდა; რომ ხალხისა და სახელმწიფოს ცხოვრებაში არის ისეთი მეტად მნიშვნელოვანი მხარეები; რომელნიც მხოლოდ მეფის საქმეა, მისი კომპეტენციაა და რომელთაც პარლამენტი ვერ შეეხებათ.

„ეს ხომ პარლამენტარისმის სამასხაროდ ამგდები აბსურდია, რომელსაც ყოველი პარლამენტი ენერგიითა და მხურვალედ წინააღუდგებოდა! ავსტრიის პარლამენტი კი კერძერისთანა მინისტრის ღირსი გამოდგა. როდის იქნება, რომ ჩვენ, ავსტრიიელებსაც, გვესმოდეს დეკის ღრმა სიტყვა, რომ ის უფლება კი არ არის დაკარგული, რომელიც ძალით წაგვართვეს, არამედ ის უფლება, რომელზედაც ჩვენ თვითონ ვამბობთ უარი! მეფის უფლებანი, შეიძლება, ღმერთის წყალობიდან მომღინარეობდნენ, მაგრამ ხალხის უფლებანი კი მიწიერ ჩამომავლობისანი არიან და ამიტომ მათი მოპოვება მხოლოდ ბრძოლით შეიძლებათ, სწერს ერთი ავსტრიელი გერმანელი ავსტრიისა და ჰუნგრეთის ურთიერთობის გამო.

ავსტრიიაში ხალხის წარმომადგენლობის საქმე ისეა დაყენებული, თითქოს ეს წარმომადგენლობა ხალხის უფლება არ იყოს, არამედ მონარქის „ნაბოძები საჩუქარი“. საარჩევნო სისტემა ისეა მოწყობილი, რომ ხალხის უმრავლესობას უმცირესობაზე ნაკლები წარმომადგენელი ჰყავს.

ჰუნგრეთის ძალაც ავსტრიის სისუსტეა. მაგრამ თვით იგი რომ არ არის სუსტი, ეს იმის შედეგია, რომ აქ პარლამენტი სულ სხვა ძალას, წარმოადგენს და ამ გარემოებას თავისი ღრმა მიზეზები აქვს,

გერმან ელი საზოგადოთ და ავსტრიელი გერმან ელი კერძოდ ვერ არის მეგობრულიად განწყობილი ჰუნგრელების მიმართ, მაგრამ მაინც იძულებულია დააფასოს ჰუნგრეთის ხალხის ნამდვილი ღირსება.. ჯერ კიდევ სულ ახალი დაწყებული იყო სამხედრო კითხვებით გამოწვეული კრიზისი, როცა ერთი გერმან ელი ჰუბლიცისტი სწერდა ვენურ „ცაიტ“ში: ჯერ ცხადათ არა სჩანს, როგორ გადაწყება უკანასკნელი დიდი კრიზისი, მაგრამ იმის მიუხედავათ, თუ როგორი არიან ამ საქმის გადა საწყვეტად არჩეული საშუალებანი და პირები, ერთი რამ ეჭვს გარეშეა: ამ ბრძოლიდან ჰუნგრეთი დიდის დავლით დაბრუნდება სახლში... უძნელეს პოლიტიკურ კითხვაში, ისეთ სფეროში, სადაც ავსტრიის პარტიები სულსაც ვერ დაბერავენ, ჰუნგრელები გამარჯვებული ყოფილან. ძალა-უნებურად ჰკითხულობ, თუ რა აძლევს ძალას ამ პატარა ერს, რომ ასე გამარჯვებულია ყოველთვის. კულტურულისა და ეკონომიკურის განვითარებით ავსტრიელ გერმან ელებზე დაბლა დგანან ჰუნგრელები; თვითონ ჰუნგრეთში სცხოვრობს ჰუნგრელებზე მეტი სხვა ხალხების წარმომადგენელნი და ყველა მტრულად არის განწყობილი გაბატონებული ელემენტთან; მიუხედავათ ამისა ჰუნგრელი ძლიერია და ანხორციელებს ყველა თავის უროვნულ მისწრაფებას.

ეჭვს გარეშეა, რომ ისტორიული გარემოებანი ხელს უწყობდა უნგრეთს. რაღაც საშიშ ოსმალეთს კრიჭაში უდგა ჰუნგრელი, ამიტომ მთავრობა მას მეტის მორიდებით ეკიდებოდა და ამიტომ ჰუნგრეთში დარჩა ძველი წოდებრივი კონტიტუცია, რომელიც მთელ ევროპაში მოსპონ გამარჯვებულ აბსოლიუტიზმა. ჰაბსბურგებს მეტად რთული საქმეები ჰქონდათ მთელ ევროპაში და ამიტომ ერიდებოდნენ ჰუნგრელებ შორის უკმაყოფილების გამოწვევას: უკმაყოფილონი ყოველ თვის მზად იყვნენ ავსტრიის სამფლობელობის საზღვრებ გარედ მოეძებნათ მოკავშირენი და აღვილადაც ჰპოულობდნენ.

ჰუნგრეთს ავსტრიის გარეშე ჰოლიტიკაზედ მუდამ დიდი გავლენა ჰქონდა, ჰუნგრეთსა და მეფის შორის არსებული

დაშოკიდებულება ყოველთვის ისეთი იყო, რომ მზგავსის პოვნა სხვაგან შეუძლებელია. ამ გვარად ბევრი მიზეზი იყო, რომ ჰუნგრეთის ხალხს როგორც წარსულში, ისე ეხლაც, განსაკუთრებული მდგომარეობა ჰქონდა. მაგრამ საგანგებო მნიშვნელობა ჰქონდა ერთ გარემოებას: ყოველ დროს არსებოდა ისეთი მინიმალური პროგრამა, რომლის განხორციელებას სცდილობდნენ ჰუნგრეთის ყველა პარტიები. შესაძლებელია, რომ ამ პარტიებ შორის გამწვავებული ბრძოლა ყოფილიყოს, მაგრამ ყოველთვის იყო ისეთი საერთო ნიადაგი—ვენის ცენტრალურ მთავრობის წინააღმდეგ ბრძოლა, რომელზედაც ყველა თანხმობით და ერთად მოქმედებდა.

რასაკვირველია, დიდი მემამულენი სხვებზე უფრო მზად იყვნენ მეფის სასამსახუროდ, კათოლიკები კალვინისტებზე ერთგულნი იყვნენ ტახტისა, მაგრამ ყოველთვის იყო საზღვარი, საღაც განსხვავება იკარგებოდა და მთელი ერთ რეინის კედელსავით იდგა მეფის წინააღმდეგ. და ამ საზღვრის მაჩვენებელი ყოველთვის ოპაზიცია ყოფილა ჰუნგრეთში. როცა კი რადიკალურ ოპოზიციას მოუთხოვდია სერიოზულად ერის რომელისამე მოთხოვნილების დაკმაყოფილება, მთავრობისა და სასახლის პარტიაც კი გარდუვალ ოპოზიციის გზას ადგა. და ასეთი მოვლენა ახალი არ არის ჰუნგრეთისათვის. წარსულშიც ასეთ მაგალითებს ვხედავთ. ბოგემიაში როცა ჩეხის ხალხი ამდგარი იყო მთავრობის წინააღმდეგ, რომ თავისი ვინაობა და სინიდისი დაეცვა, ადგილობრივი კათოლიკე თავადაზნაურობა მხარში უდგა მთავრობას და ამ თავადაზნაურობის წყალობით იყო, რომ ადგილობრივი თვითმართველობა მოისპო. ჰუნგრეთში კი ასეთ მაგალითს ვერ შეხვდებით. ბევრი ყოფილა ისეთი პირი, რომ ძალიან ერთგულებდა ჰაბსბურგებს, ბევრი ყოფილა ფანატიკოსი კათოლიკე, რომელიც მზად იყო გადაებუგა და აღეგავა პირისაგან ქვეყნისა სხვებ მორწმუნე თანა-მემამულენი (კალვინისტები); მაგრამ როცა საქმე ადგილობრივ თვითმართველობას, „ძველ თავისუფლებას“ ეხებოდა, ესენიც წინააღმდებოდნენ მეფეს. თუ ავსტრიის მთავრობას ისე-

თი პირი ეჭირვებოდა, რომელიც ყველაფრისათვის მზად იყო, ისევ ავსტრიის არისტოკრატიაში უნდა მოეძებნა. ეს არის საიდუმლო ჰუნგრეთის ერის გამარჯვებისა. ნიკოლოზ ზრინი იეზუიტების სკოლაში გაზრდილი მართლ მორწმუნე კათოლიკე იყო, მაგრამ აი რა უთხრა 1662 წელს სარწმუნოების თავისუფლებისათვის მებრძოლ პროტესტანტებს: „მე სხვა სარწმუნოებას ვეკუთვნი, თქვენ სხვას, მაგრამ თქვენი თავისუფლება ჩემი თავისუფლებაა, თქვენ რომ უსამართლოდ გექცევიან, მაშინ მეც მექცევიან უსამართლოდ“.

ჰუნგრელი იმ თავითვე იყო პოლიტიკურად გაწრთვნილი და განვითარებული, იმ თავითვე ესმოდა მას, რომ უცხო მტერის წინაშე ჰუნგრეთი ერთიანი უნდა ყოფილიყო და იყო კიდევ.

მშვენიერი აზრია გამოთქმული მანჯურიის კითხვის შესახებ „ვესტნიკ ევროპი“-ს ნოემბრის ნომერში.

მანჩჯურიის კითხვა სამედიატორო სამართალს რომ გადაეცემოდეს, ემჯობინებაო, ამბობს რუსული უურნალი, რაღან იგი არ ეხება არც ჩვენ (რუსების) ეროვნულ სახელს და არც რუსეთის არსებითს ინტერესებს. ეროვნული სახელი რუსებისა სრულებით არ თხოულობს, რომ საბოლოოდ შემოვიდან მანჩჯურია, საიდანაც, თანახმად დაპირებისა, ჯარები უნდა გამოგვეყვანაო. რუსეთის არსებითი ინტერესები კი პირდაპირ თხოულობენ, რომ თავიდან მოვიშოროთ ეს მმიმე ტვირთი და ამოდენა ფული არ ვხარჯოთ ჩინეთის პროვინციის მოსაწყობად, სადაც დიდალი ჩვენთვის სრულებით უცხო ელემენტია დასახლებული, გარდა ამისა ეს საქმე არევ-დარევს რუსეთის საერთაშორისო დამოკიდებულებას შორე-აღმოსავლეთში, აიძულებს მთავრობას დიდალი ჯარი იყოლიოს მანჩჯურიაში, რაც მავნებელია რუსეთის ინტერესებისათვის ევროპაში და ხალხის არსებით საჭიროებისათვის.

მაგრამ კითხვას ის აძნელებს, რომ მანჩჯურიაში ორი ტოტია რკინის გზისა გაყვანილი — ერთი ვლადივასტოკაშიდე,

მეორე პორტ-არტურისაკენ. „ვლადივასტოვის გზას ვერ გა-
დავსციმთ სხვასაო, განაგრძობს უურნალი, პორტ-არტურის
გზა კი თავისუფლად შეიძლება გადავიდეს ჩინელების ან უცხო-
ელების ხელში, თუ უარს ვიტყვით კვანტურის ნახევარ-კუნ-
ძულზე დაწყებულ ვრცელ განზრახვების აღსრულებაზე. ეჭვს
გარეშეა, რომ დიდი შეცდომა მოგვივიდა, როცა დიდ-ოკეა-
ნესთან შემაერთებელი რკინის გზა გავიყვანეთ ჩინეთის ტერი-
ტორიაზე: არ არის გარანტია გზის უზრუნველყოფისა; საჭირო
არ იყო, რომ ისე შორეულ ქვეყანაში შევქმენით წყარო დაუს-
რულებელ სინელეთა, მაშინ როდესაც ეს მხარე თავის კულ-
ტურულ განვითარებისათვის საჭიროებს სრულ მშვიდობიანობას.
ეს შორეული მხარე ისედაც მეტად ძვირად უჯდება სახელმ-
წიფო ბიუჯეტს, რომელიც იკვებება გალარიბებულ რუსების
მცირე ღონისძიებით; ათის წლის განმავლობაში, 1888 წლი-
დან 1898-მდე, ხაზინა იღებდა წლიურად „პრიმორსკაია ობ-
სასტაციისათვის 150 მილიონ მანეტს; სამხედრო და საზღვაო
ხარჯი კიდევ სხვა იყო. რუსეთის ვაჭრობა შორე აღმოსავ-ლეთ-
ში სრულებით უმნიშვნელოა და არც არაეითარი მომავალი აქვს,
სანამ რუსეთში არსებობს მფარველობითი სისტემა, რომელიც
მხარს აძლევს ცუდ ღირსების საქონლის წარმოებას და ყელა
უსაჭიროეს საგნების საშინელ სიძვირეს; ადგილობრივ ბურჟუა-
ზი რუსები, თვით უსასტიკესი პატრიოტებიც კი, იძულებული
არიან შეიძინონ საზღვარ-გარეთელი საქონელი, უფრო ამერიკუ-
ლი, მიუხედავათ საშინელ საღამოები გადასახადისა. ჩვენ რომ
კონკურენციას ვერ გავუწევთ მანჩჯურიაში ინგლისელებს, ამე-
რიკელებს და იაპონელებს, ამაზედ არც ღირს ღაპარაკი, და
სასარგებლო ხელსაყრელი რუსული ვაჭრობა არ გაჩნდება იქ
მაშინაც კი, თუ ხელოვნურ საშუალებით სრულებით აკრძა-
ლვენ საზღვარ-გარეთელ საქონელს; აქ გაჩნდებიან დიდამი-
მტაცებლები, რომელნიც თამამად გაინაწილებენ და გაჭილან-
გავენ ხაზინის მილიონებს. ჩვენ ვერ ვხედავთ საბუთს, თუ
რად უნდა ვუწყობდეთ ხელს ამ ახალ ჯიშის „მანჯურელე-
ბის“ მაღის განვითარებას. მაღალ-მაღალი სიტყვები რუსეთის

დიდებასა და სახელზე ვერვის მოატყვილებენ: აქ საქმე ის არის, რომ სურთ ახალ-ახალი გზები გამონახონ ჩქარ და ადვილ გამდიდრებისათვის, რასაკვრელია, ხაზინის ხარჯზე. რუსეთისკონტის საჭირო არ არის, რომ თავისი სიძლიერე ახალის ომით დაამტკიცოს; იაპონიასთან ომი ძალების უაზრო დახარჯვა იქნება, მით უფრო, რომ ინგლისი და ამერიკა მტრულად გვიყურებენ. რადგან იაპონელებს ზურგს უკან რაგლისელები უდგანან, რუსეთის ფლოტი დიდ ოკეანეში ადვილად იქნება მოსპობილი; კიდევ რომ გავიმარჯვოთ, მაინც არა გამოვა რა, რადგან საიმედო მშვიდობიანობა შორე აღმოსავლეთში მაინც არ იქნებოდა უზრუნველყოფილი: იაპონია გახდებოდა ჩვენი შეურიგებელი მტერი და ჩვენც იძულებული ვიქნებოდით მუდამ ფრთხილად / ყოფნას მოუსვენარ მეზობლობის გამო. იაპონიისათვის ხომ აზიას მატერიკზე გადმოსვლა სიკვდილ-სიცოცხლის კითხვაა. და მერე რათ უნდა ჩავიდინოთ ასეთი საქმე? იმ სიამოგნებისათვის, რომ ყოველ წელს რამდენიმე ასი მილიონი მანეთი ვხარჯოთ ჩინეთის პროვინციისათვის, სადაც ჩვენ არავითარი საქმე არა გვაქვს, და იმისათვის, რომ კარგი და იაფი უცხოელი საქონელი არ შემოუშვათ!... გაზეთის პატრიოტები ტყვილა უბრალოდ გვითითებენ იაპონელ მოლვაშეებისა და უურნალისტების მეტად გაბედულსა და თამამ კილოზე: თუ იაპონიის საზოგადოებრივი აზრი აღელვებული და აშეოთებულია, ეს მხოლოდ იმას მოწმობს, რომ იქ რუსეთს აწერენ ფარულსა და ხერხიან აგრესიულ პოლიტიკას, რომელიც იაპონიის არსებით ინტერესების წინააღმდეგ არის მიმართული.... როცა იაპონელები დარწმუნდებიან, რომ მათი ეჭვი უსაფუძვლოა, მაშინვე დამშვიდდებიან... რუსეთის სარგებლობა თხოულობს, რომ მანჩურიის საქმე სამართლიანად და მშვიდობიანად გადაწყდეს, რაც არ უნდა იყვირონ ხაზინის მილიონების მდებნელ პატრიოტებმათ, ათავებს თავის შენიშვნას უურნალი.

„რუსკია ვედომოსტი“ს 321 ნოემბერში დაბეჭდილია ფელეტონი ამ სათაურით: „სურათები ბელგიის ცხოვრებიდან“. სხვათა შორის აწერილია ერთი მანიფესტაცია სათემო არჩევნების წინ.

„სეკტემბრის დასასრული იყო, მაგრამ მაინც წყნარი და თბილი სალამო იყო, როცა ჩვენ რვა საათზე მივეღით იმ ადგილას, სადაც უნდა შეკრებილიყვნენ მანიფესტანტები — სოციალისტები და ლიბერალები; ამ მანიფესტაციისათვის ემზადებოდნენ მთელი კვირის განმავლობაში... უკვე შორიდან მოსჩანდნენ ხალხის პატარა ჯგუფები. იმ რესტორანის ფანჯრებიდან, სადაც ჩვეულებრივ იკრიბება ლიბელალური კავშირი, გამოკიდებული იყო ორი დიდი ბაირალი: ერთი წათელი სოციალისტებისა და მეორე კისფერი ლიბერალებისა.

ყველა ეს ხდებოდა ბრიუსელის ერთ განაპირა უბანში ეტერბეკში, სადაც ადგილობრივი საბჭო სულ კლერიკალები-საგან შესდგება. და ეს პარტია იმდენად ძლიერია, რომ ვერც სოციალისტებმა და ვერც ლიბერალებმა ვერ გაბედეს ცალკ-ცალკე შებრძოლებოუნენ მათ. ამიტომ მათ შეადგინეს ანტი-კლერიკალური კავშირი პროპაგანდისათვის და გადაწყვეტილი ჰქონდათ წარედგინათ არჩევანზე საერთო სია კანდიდატებისა.“

შეერთებული ლიბერალები და სოციალისტები დაიძრნენ ადგილიდან და მუსიკითა და დიდის ხმაურობით გაიარეს რამდენიმე ქუჩა, მოისმინეს ორატორების სიტყვა და ისევ თავ-თავიანთ აღგილს დაბრუნდნენ.

„ძირს ხალხის დამმშევები“ო გაიძახოდნენ შეერთებული მანიფესტანტები კლერიკალების წინააღმდეგ, რომელნიც თავიანთ მდიდარ ამომრჩევლების გულის მოსაგებად, უცხოეთი-დან შემოსულ სანოვაგეს დიდ ბაჟებს ადებენ და ხალხს საქმეს უჭირვებენ.

სოციალისტები წავიდნენ „სახალხო სახლისაკენ“; ლიბერალების ერთი წილი გაჰყვა მათ პატივსაცემლად; მივიდნენ იმ ადგილამდე, საიდანაც უნდა დაბრუნებულიყვნენ ლიბერალები: ესენი გამოვიდნენ დაწყობილ რაზმიდან და ქუჩის გასწვრივ დაეწყვნენ; მათ წინ გაიარეს სოციალისტებმა და „ვაშავაშა“ს ძალით ერთმანერთს გამოეთხოვნენ.

„ვისაც რამდენჯერმე უნახავს საარჩევნო კამპანიაო, ამ ბობს ფელეტონის ავტორი, მისთვის დიდათ საინტერესოა ამ გვარი შეერთებული მიტინგები: ჩვეულებრივ პირობებში სოციალისტები და ლიბერალები არჩევნების დროს სასტიკი მეტოქები არიან და რაც შეუძლიათ, ერთმანეთს ლანძღვენ; მათი ლაპარაკი რომ გესმის, ძნელად წარმოიდგენ, რომ მათ შორის რამე საერთო იყოს; ეხლა კი ისინი იძულებული არიან გვერდი აუხვიონ ისეთ პუნკტებს, რომელთა შესახებ სხვა და სხვა შეხედულებისანი არიან, აქონ ერთმანერთი და უჩვენონ საერთო ტენდენციები. საინტერესოა, რომ ამავე დროს სხვა კომუნებში ლიბერალები და სოციალისტები დამოუკიდებლად მოჰქმედებენ და თავ-თავიანთ კრებებზე ერთმანერთს არ ზოგვენ“.

მოყვანილი პატარა ფაქტი შშენიერი ილიუსტრაციაა „მოამბე“ში და „ცნობის ფურცელ“ში რამდენჯერმე გამოთქმულ მოსაზრებისა. შესახებ „საერთო ნიადაგი“ სა.

ბელგიელი ლიბერალები და სოციალისტები, მიუხედავათ იმისა, რომ მათი სახელმძღვანელო პროგრამები ძალიან შორის არიან, შეთანხმებულად მოქმედებენ კლერიკალების წინააღმდეგ; გამარჯვების შემდეგ, რასაკვირელია, ერთიცა და მეორეც თავ-თავისთვის იმოქმედებენ.

ხვალ რომ ბელგია გერმანიაშ დაიპყრას და თავისებურ პოლიტიკას დაადგეს, ე. ი. ბელგიელების გაგერმანელება მოინდომოს, როგორც ამას პოლონელების შესახებ სჩადის, ბელგიის სამივე პარტია, ესე იგი კლერიკალები, სოციალის-

ტები და ლიბერალები, ერთად შეებრძოლებიან უცხოელების მძიმე უღელს, თუმცა საბოლოო მიზანი ამ პარტიებისა სულ სხვა და სხვაა.

სანამ საერთო მტერი ძლიერი და გაბატონებულია, პარტიების შეთანხმება და საერთო მოქმედებაც შესაძლებელია.